# სარბიელი

სპორტული გაზეთი | სამშაბათი 21 სექტემბერი 1999 №180 (953) | ფასი 50 თეთრი


ეროვნული ბიბლიოთეკა

## 2 ცეზარი ერთი იყო

ქართველმა თვრამეტწლამდელებმა უელსთან 1:3 წააგეს

## 3 სიკვდილი ბარსელონაში

„ესპანიოლ“ — „ოვიედოს“ შეხვედრისას მასპინძელთა 18 წლის ქომაგი მეორე იარუსიდან გადავარდა

## 11 ძლიერთა ფეხბურთი



დღეს ჩემპიონთა ლიგის მეორე ტური სანახევროდ გაილევა

## 14 ნუ გააბრაზებთ დათვს!



„ლოკომოტივმა“ კაცნაკლულ „დათვებს“ ძვრა ვერ უყო

## 15 ევროპაში ვერც ხელბურთით შევედით

საქართველოს ნაკრებმა დანიაში, რა თქმა უნდა, წააგო — 23:31

# დინამომ ლოკომოტივს გადაუარბინა

*„ვიტ ჯორჯიას“ მორიგი მარცხი, „თბილისის“ პირველი მოგება, „სამგურალის“ საგარეო ქულა, „კოლხეთის“ სტუმრად პირველი გამარჯვება, „ლოკომოტივის“ დიდი ანგარიშით მარცხი ახალ მწვრთნელ თემურ მახარაძის ხელში და წლეულს „დინამოს“ პირველად გალიდერება — ყველაფერი ეს მეხუთე ტურში*

ირაკლი ნიკოლაშვილის ფოტო



შაბათს „ეროვნულზე“: „თბილისი“ — „ვიტ ჯორჯია“
დავით დიღმელაშვილი და თორნიკე რუხაძე (მარჯვნივ)

იხილეთ მესამე, მეოთხე და მეხუთე გვერდები

საქართველოს 11 ჩემპიონატი

## 5 ტური

«ა» ზონა

18 სექტემბერი, შაბათი

| | |
|---|---|
| სიონი | 1 |
| არსენალი | 0 |
| თბილისი | 2 |
| ვიტ ჯორჯია | 1 |
| ბათუმი | 0 |
| სამგურალი | 0 |

19 სექტემბერი, კვირა

| | |
|---|---|
| დინამო | 4 |
| ლოკომოტივი | 0 |

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| დინამო | 5 | 3 | 0 | 2 | 8:5 | 9 |
| ვიტ ჯორჯია | 5 | 2 | 1 | 2 | 5:3 | 7 |
| სამგურალი | 5 | 2 | 1 | 2 | 2:3 | 7 |
| სიონი | 5 | 2 | 1 | 2 | 4:6 | 7 |
| ბათუმი | 5 | 1 | 4 | 0 | 2:1 | 7 |
| თბილისი | 5 | 1 | 3 | 1 | 8:8 | 6 |
| არსენალი | 5 | 1 | 2 | 2 | 5:5 | 5 |
| ლოკომოტივი | 5 | 1 | 2 | 2 | 4:7 | 5 |

«ბ» ზონა

18 სექტემბერი, შაბათი

| | |
|---|---|
| დილა | 1 |
| ხობი | 0 |
| იბერია | 1 |
| გორდა | 0 |
| მერანი | 1 |
| კოლხეთი | 2 |

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ტორპედო | 4 | 3 | 1 | 0 | 10:3 | 10 |
| კოლხეთი | 5 | 3 | 0 | 2 | 7:7 | 9 |
| დილა | 5 | 2 | 2 | 1 | 7:5 | 8 |
| გორდა | 5 | 2 | 0 | 3 | 6:6 | 6 |
| ხობი | 5 | 1 | 2 | 2 | 5:8 | 5 |
| იბერია | 5 | 1 | 2 | 2 | 3:6 | 5 |
| თსუ | 4 | 0 | 4 | 0 | 3:3 | 4 |
| მერანი | 5 | 0 | 3 | 2 | 5:8 | 3 |

# ალანის აფეთქება

CARLING
F.A. PREMIERSHIP

*ბობი რობსონი ძლიერ ხარობდა — „ნიუკასლმა“ პირველი საშინაო მატჩი ჩაატარა მისი ხელმძღვანელობით და 8:0 მოუგო „შეფილდ უენსდეის“. წლევანდელი პრემიერლიგის ბოლო ორი გუნდის შეხვედრაში აფეთქდა ჯორდებისა და ნაკრების კაპიტანი ალან შირერი, რომელმაც პირველი ტაიმის თერთმეტ წუთში ჰეთ თრიქი შეასრულა, ჯამში კი ხუთი გოლი გაიტანა, რითაც ერთ მატჩში გატანილი ბურთების სალიგო რეკორდი გაიმეორა.*

იხილეთ მეექვსე გვერდი

REUTERS ფოტო



ალან შირერმა „შეფილდ უენსდეის“ მეკარე პრესმენი ხუთჯერ დაამწუხრა

# ცეზარი ერთი იყო

## საქართველოს თვრამეტწლამდელთა ნაკრებმა ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი ტურნირი მარცხით დაიწყო

წუხელ, თბილისის დროით 23 საათზე ვახტანგ კოპალეიშვილის გუნდი უელსის ქალაქ მერთირ ტიდფილში უელსელებთან 1:3 დამარცხდა.

— ჩვენმა ნაკრებმა გოლი მატჩის დასაწყისშივე გაუშვა, მაგრამ 36-ე წუთზე ცეზარ ხუროძემ ანგარიში გაათანაბრა. ამის მერე რევაზ გოცირიძეს ჰქონდა ხელსაყრელი მომენტი, მაგრამ სამი მეტრიდან გატანა ვერ შეძლო.

მიკვირს, როგორ წააგეს ჩვენებმა, მათი თამაში იყო, გოლები კი უელსელებმა გაიტანეს.

მასპინძლები 66-ე წუთზე დაწინაურდნენ და ქართველები იძულებულნი გახდნენ ანგარიშის გასათანაბრებლად უკანმოუხედავად შეეტიათ. ერთ-ერთი კონტრშეტევისას, თამაშის დამთავრებამდე ასე, ათი წუთით ადრე, უელსელებმა მეორეც გაიტანეს და მატჩის ბედი გადაწყვიტეს — ეს ამბავი ტელეფონით საუბრისას შეგვატყობინა საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის ვიცე-პრეზიდენტმა ალექსანდრე ჩივაძემ, რომელიც თვრამეტწლამდელთა დელეგაციის ხელმძღვანელია უელსში.

ჩვენების თანაჯგუფელთა მეორე მატჩი იტალიასა და შვეიცარიას შორის ფრედ, 0:0 დამთავრდა.

**მამუკა ქვანტალიანი**

# ჯანაშიაზე და დემეტრაძეზე განსაკუთრებით ზრუნავენ

ვლადიკავკაზში გამართული „ალანია“ — „ლოკომოტივის“ შეხვედრიდან არც ისე დიდი დრო გავიდა. 23-ე ტურის ამ ცენტრალური მატჩის შესახებ აჭრელებული იყო რუსული სპორტული გაზეთები. პაექრობა, ლამის ორი ქართველი ფორვარდის — ალანიელი გიორგი დემეტრაძისა და ლოკომოტიველი ზაზა ჯანაშიას დუელთან გააიგივეს და საბოლოო შედეგიც შემდეგნაირად დააფიქსირეს — „ჯანაშია — დემეტრაძე 2:0“.

ისე, ორივე ფეხბურთელს იმ შეხვედრიდან არცთუ სასიამოვნო მოგონება დარჩა. გიორგიმ გოლის გატანა ვერ მოახერხა და შედეგიანი სერია შეწყვიტა. მეტოქის კარის დალაშქვრა ვერც ზაზამ შეძლო, თუმცა მან ორი საგოლე პასი მიითვალა და მატჩის საუკეთესო ფეხბურთელობასაც გამოჰკრა ხელი, მაგრამ „ალანიას“ ქართველ მცველ მამუკა წერეთელთან შეტაკება ძვირად დაუჯდა — ძველმა ტრავმამ თავი შეახსენა და საკუთარ კლუბს უეფას თასის დანიურ შეხვედრაში ველარ დაეხმარა. ზაზა არც შაბათს გამართულ 24-ე ტურში გამოჩენილა „ლოკომოტივის“ რიგებში. ბუნებრივია, მისი მდგომარეობით დავინტერესდით და... აღმოჩნდა, რომ ჯანაშიას ბედი ჩვენზე ნაკლებად არც რუს ჟურნალისტებს აღელვებთ. ისინი შაბათს დაეკითხნენ „ლოკომოტივის“ მთავარ მწვრთნელ იური სიომინს ზაზას ჯანმრთელობის შესახებ. სიომინის პასუხი ასეთი იყო — სულაც არ ვაპირებთ მის მოედანზე ნაჩქარევად გამოყვანას. მთავარია, ტრავმა ბოლომდე მოუშუშდეს. ამისთვის კი მზად ვართ, იმდენ ხანს მოვიცადოთ, რამდენიც საჭირო იქნება.

რაც შეეხება იმას, რომ რუსული გათამაშების ბომბარდირმა გიორგი დემეტრაძემ მორიგ შეხვედრაშიც უგოლოდ დატოვა მოედანი, ეს ამბავი ჩვენმა რუსმა კოლეგებმა მოულოდნელ მოვლენად აღიქვეს და „ალანიას“ თავკაც ვალერი გაზაევს განმარტება სთხოვეს. გაზაევმა შემდეგი კომენტარი გააკეთა — დემეტრაძე მანქანა არ არის. მას ფსიქოლოგიური ჩავარდნა დაეწყო და ეს სრულიად ლოგიკურად მიმაჩნია. იგი ხომ ფაქტობრივად შეუცვლელად თამაშობდა. დემეტრაძეს არც ერთი ვარჯიში არ გაუცდენია. მისგან ყოველთვის გოლის გატანას ითხოვდნენ და ამან მასზე ფსიქოლოგიური თვალსაზრისით დამთრგუნველად იმოქმედა, რასაც ძალიან განიცდის. არადა, ვფიქრობ, აქ არაჩვეულებრივი არაფერია, საქმე კანონზომიერ მოვლენასთან გვაქვს. დემეტრაძეს ჰქონდა შედეგიანობის ბრწყინვალე შვიდთვიანი პერიოდი. ეს კი ძალიან ბევრია. ბოლო დროს ვცდილობთ, გიორგის განსაკუთრებული რეჟიმი და განტვირთვისთვის კარგი ფსიქოლოგიური ატმოსფერო შევუქმნათ. მჯერა, უახლოეს ხანებში ყველაფერი ძველებურად იქნება.

იცის ამ ხალხმა თავისი საქმე. სიომინზე და გაზაევზე ვლაპარაკობ...

**ხვიჩა სანიძე**

# იბერიის ორი მეტრო

სამტრედიის „იბერია“ სულ მალე სერიოზულ ძალას შეიმატებს. შესაძლოა, ისეც მოხდეს, იბერიელთა თავდასხმა ერთი, ქართულ ფეხბურთში სწორედ მეგოლეობით ხმადაგდებულ მეტრეველთა გვარისა იყოს.

ამ ზაფხულს ქუთაისის „ტორპედოში“ დავით ყიფიანის მისვლის მერე, მოგეხსენებათ, რამდენიმე ფეხბურთელი ტრანსფერზე დააყენეს. ახალი საფეხბურთო სეზონი უკვე დაიწყო, მაგრამ ჯერ არცერთ მათგანს კლუბი არ მოუძებნია, გარდა კონსტანტინე მეტრეველისა, რომელსაც ჩანს გაუმართლა — „ტორპედოს“ ყოფილმა თავკაცმა სოსო ფრუიძემ და „იებრიის“ პრეზიდენტმა ნუგზარ ნიკოლაიშვილმა სერიოზულად მოინდომეს ასევე ახალწვეულ ზურაბ მეტრეველისთვის თავდასხმაში მისი უფროსი ძმა შეეწყვილებინათ.

— ყველაფერი მალე მოგვარდება. კონსტანტინე მეტრეველი „იბერიაში“ ითამაშებს — გვითხრა გუშინწინ „იბერიას“ თავკაცმა ნუგზარ ნიკოლაიშვილმა.

**ვახტანგ ბზიკაძე**

# რა ღირს გინება?

## ვალერიმ ფედერაციას ვალი დაადო

ფეხბურთის ფედერაციის ყადაღადადებულ საბანკო ანგარიშს უეფას სადისციპლინო კომიტეტის გადაწყვეტილებამ, შეიძლება ითქვას, პირდაპირ სულზე მიუსწრო.

არა, ლენარტ იუჰანსონს თავისი წარმომადგენელი არ გამოუგზავნია საქართველოში, არც საგადასახადო დეპარტამენტის ხელმძღვანელებს შეხმიანებია, უეფამ უბრალოდ დაგვაჯარიმა, გადასახადი დაგვაკისრა. ისე, ყავს რა ჰქონდაო, ხომ გაგიგონიათ, საქართველოს ფეხბურთის ფედერაციას კიდევ ვალი უნდოდა?

ბევრს ახსოვს, საქართველოს ახალგაზრდული ნაკრების მცველი თავის სლოვენიელ თანატოლთან ერთად ლუქსემბურგელმა მსაჯმა, დიდერიხმა მოედნიდან რომ გააძევა. ჩვენებურ ვალერი აბრამიძეს და სლოვენიელ რისტიჩს ერთმანეთის ფურთხებაგინებისთვის დაატოვებინეს მოედანი.

ეს ამბავი ლიუბლიანაში მოხდა 4 სექტემბერს. 20 სექტემბერს კი საქართველოს ფეხბურთის ფედერაციაში იმ 3 750 ფრანკს ტიროდნენ, რომელიც ამ ინციდენტის საზღაურად უეფამ ჩვენს ფედერაციას დააკისრა.

ისე, მერაბ ჟორდანიამ იკითხოს, თორემ მის სლოვენიელ კოლეგას რაღა უჭირს, სლოვენიის საფეხბურთო კავშირის საბანკო ანგარიშს ხომ არავითარი ყადაღა არ ემუქრება.

**მამუკა ქვანტალიანი**



ირაკლი ნიკოლაიშვილის ფოტო

ვალერი აბრამიძე

# მახარაძისთვის ლოკომოტივის მატარებელი

## ხშირად „ადი-ჩამოდის“



ჯაბა ისრაფილოვის ფოტო

„ლოკომოტივის“ ახალი მთავარი მწვრთნელი თემურ მახარაძე

სალონიკის პაოკ-თან საშინელსამარცხვინო მარცხის შემდეგ თბილისის „ლოკომოტივის“ მწვრთნელი შეიცვალა. კლუბის ხელმძღვანელებს ბევრი არც უფიქრიათ, გუნდი კვლავ თემურ მახარაძეს ჩააბარეს.

მურთაზ ხურცილავამ კი, როგორც ამბობენ, ნებით დატოვა „ლოკომოტივი“. მას შაბათს დაუწერია განცხადება თანამდებობიდან წასვლის თაობაზე. უფროსებსაც საწინააღმდეგო არაფერი ჰქონდათ.

იმასაც ამბობენ, პარასკევ საღამოს, მატჩის მეორე დღეს, რკინიგზის დეპარტამენტის შეფებმა თავადვე გაათავისუფლეს ხურცილავა, ახალი მწვრთნელიც მაშინვე დანიშნეს, არც თემურ მახარაძე გახლდათ უარზე.

თქვეს, რომ „ლოკომოტივის“ პატრონები მახარაძეს მატჩის დამთავრებიდან რამდენიმე საათში შეეხმიანენ და კვლავ შესთავაზეს გუნდის მწვრთნელობა.

თუმცა ეს ყველაფერი უკვე ნაკლებად მნიშვნელოვანია. მთავარი ისაა, რომ „ლოკომოტივს“ ახალი მწვრთნელი ჰყავს — თემურ მახარაძე.

ტარიელ ღვაბერიძე („ლოკომოტივის“ ვიცე-პრეზიდენტი):

— მწვრთნელის შეცვლის მიზეზი მხოლოდ პაოკ-თან წაგება იყო. გუნდი შინ, საკუთარი ქომაგის წინაშე ასეთი ანგარიშით არ უნდა მარცხდებოდეს. მურთაზ ხურცილავამ კი თავად ისურვა თანამდებობიდან წასვლა, მან განცხადება დაწერა. ჩვენ დავაკმაყოფილეთ მისი თხოვნა და გუნდი ისევ მახარაძეს მივანდეთ. მისი დიდი იმედი გვაქვს.

თემურ მახარაძე („ლოკომოტივის“ მწვრთნელი):

— ჩემგან უარი გამორიცხული იყო. „ლოკომოტივს“ ადრეც ვწვრთნიდი, ჩემს გუნდად ვთვლი და აბა, როცა დაბრუნება მთხოვეს, თანხმობის გარდა სხვას რას ვიტყოდი. საქმეს უკვე შევუდექი, ვეცდები, მალე ყველაფერი გამოვასწორო.

**კობა ინასარიძე**

# კიკნაძე ისევ დინამოშია

გიორგი კიკნაძე ისევ თბილისის „დინამოშია“. თურქეთში მიდი-მოდის შემდეგ მან მშობლიურ კლუბს მიაკითხა. კვირას კი კვლავაც დინამოელთა მაისურა მოირგო და „ლოკომოტივთან“ მატჩისას რამდენიმე წუთიც დაჰყო მინდორზე.

შეგახსენებთ, გიორგის თურქეთის „ერზურუმსფორი“ ეპატიჟებოდა, ჩვენებურიც მოწადინებული გახლდათ, კარიერა სამეზობლოში გაეგრძელებინა, მაგრამ რატომღაც ტრანსფერი არ შედგა. მიზეზი უცნობია.

თბილისის „დინამოს“ პრეზიდენტობის მოვალეობის შემსრულებელმა რომან შოთაძემ კი გვითხრა, რომ „ერზურუმსფორსა“ და „დინამოს“ შორის თურმე არანაირი მოლაპარაკება არ ყოფილა, თურქები ქართველებს ამ ტრანსფერის მოსაგვარებლად არც დაკავშირებიან. გიორგი გაურკვეველი დროით „დინამოში“ ითამაშებსო, ესეც შოთაძემ თქვა.

კიკნაძის დაბრუნებით კი მცირე ჩავარდნის შემდეგ ისევ მომძლავრებულმა „დინამომ“ დიდი ძალა რომ შეიმატა, ვფიქრობთ, საკამათო არავისთვის უნდა იყოს.

**კობა ინასარიძე**

ეროვნული ბიბლიოთეკა

**საქართველოს ჩემპიონატი — 5 ტური**

| | |
|---|---|
| თბილისი | |
| 19 სექტემბერი | |
| 17 საათი | |
| ეროვნული | |
| 2 000 (ტევადობა 75 000) | |

**დინამო 4:0 ლოკომოტივი**

1:0 აშვეთია (44), 2:0 წიტაიშვილი (60), 3:0 აშვეთია (62), 4:0 ზირაქიშვილი (90)
**დინამო:** დონდტი, გუჩუა, ი. ვაშაკიძე, დიდავა, თ. კობიაშვილი, გ. შენგელია (ჯინჭარაძე 61), ანჩაბაძე, ალექსიძე, წიტაიშვილი (ზირაქიშვილი 68), აშვეთია (კიკნაძე 75)
*სათადარიგონი:* ლომაია; ვ. გიგიაძე, ღლონტი, შაშიაშვილი
**ლოკომოტივი:** დ. ჯანელიძე; ბერაძე (ბარამიძე 63), ბალაშვილი, ბაქრაძე, ჩიხრაძე, ჩომახიძე, მ. ქობულაძე, გოგიჩაიშვილი (კ. მელქაძე 46), ქებაძე, რუსია, შავგულიძე (კაციაშვილი 53)
*სათადარიგონი:* ასლანაძე; ბარნოვი, ჩაჩუა, ვ. გვლესიანი
**გაფრთხილება:** გოგიჩაიშვილი (18), ქებაძე (24)
**მსაჯები:** ა. შილაკაძე; ზ. დოლიძე, ა. კრიჭაშვილი; ა. მეშკოვი (ყველა თბილისი)
**სფფ-ის დელეგატი:** შ. ხინჩაგაშვილი

# ლოკომოტივი — დეპოში!

## რკინიგზელთა მოშლილ გუნდს კაპიტალური რემონტი სჭირდება

**კობა ინასარიძე**

პაოკ-თან ხუთშაბათს თავმოჭრილი „ლოკომოტივი“ კვირას არც შინაურმა დაინდო — საქართველოს ჩემპიონებმა მიმდინარე ჩემპიონატში პირველად გაიმარჯვეს დიდი ანგარიშით. როგორც ჩანს, რკინიგზელები კიდევ კარგა ხანს ვერ მოვლენ გონს. ჩვენც დაველოდოთ და ვნახოთ, ჯერჯერობით კი შარშანდელი ჩემპიონატის ბრინჯაოს პრიზიორები კვლავაც შოკში არიან, პაოკ-ს ძლიერ უმოქმედია.

„ლოკომოტივის“ ახალი, თამაშამდე ერთი დღით ადრე დანიშნული მწვრთნელი თემურ მახარაძეც არაა ჯადოქარი, ფეხბურთელები რამდენიმე საათში მოიყვანოს თავის ჭკუაზე და ის ფეხბურთი ათამაშოს, თავადვე რომ სურს.

სამისოდ მახარაძეს არც ფეხბურთის ფედერაციის მიერ შედგენილი კალენდარი უწყობს ხელს. „ლოკომოტივმა“ ხუთშაბათს უეფას თასზე ითამაშა, კვირას კი „დინამოს“ დაუპირისპირდა. იგივე იქნება პაოკ-თან საპასუხო მატჩის შემდეგაც — 30 სექტემბერს „ლოკომოტივი“ სალონიკში ითამაშებს, 3-ში „ვიტ ჯორჯიას“ უნდა ესტუმროს. ისიც გასათვალისწინებელია, რომ „ლოკომოტივი“ სალონიკში ავტობუსით აპირებს წასვლას და მარტო გზას უნდა ორი-სამი დღე. ასე თუ მოხდა, ისიც საკითხავი იქნება, საერთოდ ითამაშებს თუ არა გუნდი „ვიტ ჯორჯიასთან“. ასეთ კალენდარს კი ნამეტანი დიდი ენერგია რომ მიაქვს, ამას თქმა არ უნდა.

„დინამოსთან“ ასე წაგების ერთ-ერთი მიზეზიც ესაა — „ლოკომოტივი“ ჩემპიონებმა ფიზიკური მომზადების ხარჯზეც დაჯაბნეს, მეორე ტაიმში ხომ რკინიგზელებს „დინამოს“ კარში ნორმალურად არც დაურტყამთ, თავი არ ჰქონდათ და იმიტომ.

შესვენებამდე კი თითქმის თანაბარი თამაში იყო. მართალია, ბურთს უმეტესად ჩემპიონები ფლობდნენ, მაგრამ 44-ე წუთამდე ისეთიც არაფერი შეუქმნიათ, ანჩაბაძის ჯარიმიდან დარტყმულის გარდა სათქმელად რომ ღირდეს. აი, ლოკომოტიველ ქობულაძეს კი გოგიჩაიშვილის გამოზომილი პასის შემდეგ მეტად კარგი მომენტი გაუცუდდა — დონდტთან პირისპირ დარჩენილმა ბურთს ცუდად დაჰკრა და მეკარემაც ფეხით იხსნა კარი, ბურთი კუთხურზე გაგორდა. თითქოს არაფერი, მაგრამ შილაკაძემ რატომღაც დინამოელებს განაახლებინა თამაში. არადა, უეჭველი კუთხური იყო.

ტაიმის დამთავრებამდე წუთით ადრე კი აშვეთიამ იყოჩაღა. იგი ანჩაბაძის პასით ჯანელიძესთან პირისპირ დარჩა — თავდამსხმელის პირველი დარტყმისას მეკარემ იმარჯვა, თუმცა ბურთი იქვე დააგდო, აშვეთიასაც მეტი რა უნდოდა, ანგარიშიც გაიხსნა.



მიხეილ აშვეთიამ (უკან) დუბლი გაიტანა და საგოლე პასიც გააკეთა

მერე შესვენება იყო და უკვე გადაღლილი, არეულ-დარეული, დაშლილ-დანგრეული „ლოკომოტივი“, რომლის აწყობა-დალაგებისთვისაც თემურ მახარაძეს ძველებურად შრომა, ბევრი ოფლის ღვრა დასჭირდება.

რბევა თამაშის განახლებიდან 15 წუთში დაიწყო: დიდავას გრძელი პასი, აშვეთიას სისწრაფე, მისივე ჩაწოდებული და წიტაიშვილის ცარიელ კარში გატანილი გოლი; მერე იმავე აშვეთიას მონდომება, მელქაძის, ბალაშვილისა და ჩიხრაძისგან დასხლტომა, მეკარესთან პირისპირ შებმა — 3:0. და სულ ბოლოს ჯანელიძის მოგერიებულ ბურთზე ზირაქიშვილის დარტყმული ასევე დაუცველ კარში.

დაბოლოს, ძალიან ცოტა „დინამოზეც“. წარუმატებელი პირველი ორი ტურის შემდეგ ჩემპიონი ნელ-ნელა აუმჯობესებს თამაშის ხარისხს და აგერ უკვე „ა“ ზონასაც მოექცა სათავეში.

# მხოლოდ გორში...

| | |
|---|---|
| გორი | |
| 18 სექტემბერი | |
| 17 საათი | |
| ცენტრალური | |
| 2 000 (ტევადობა 8 230) | |

**დილა 1:0 ხობი**

1:0 ზურაბ აიანიდი (60ს.კ.)
**დილა:** სოლოლაშვილი, აკოფიანი, რ. ხაჭაპურიძე, ლ. გოჩიაშვილი, გაგნიძე, ციცქიშვილი, შატაკიშვილი (არუთინიანი 75), სულთანიშვილი, მარლიშვილი, თაყაძე, ლომიძე
*სათადარიგონი:* მდივანი; მაისურაძე, ბ. ჩიტაია, ოლგესაშვილი, გ. ჩიტაია, ფეზუაშვილი
**ხობი:** ნიქაბერიძე, ონიანი, კვეკვესკირი, ალანია, ზურაბ აიანიდი, გედენიძე (ჭიჭინაძე 70), გოგიტაძე, ვ. ჩიტაია (ხურცილავა 75), ბუკია, ლ. გვაზავა, ზაზა აიანიდი (დანელია 62)
*სათადარიგონი:* ბაბუაძე; ჯამბურია, ქაშიბაძე
**გაფრთხილება:** ალანია (31), ვ. ჩიტაია (37), კვეკვესკირი (47), გაგნიძე (71)
**მსაჯი:** მ. მალალურაძე (თბილისი); ა. შალამბერიძე (ქუთაისი), ზ. ჯვარიძე (თბილისი); ბ. ბრეგვაძე (ჭიათურა);
**სფფ-ის დელეგატი:** ა. ბაჩუკაშვილი

**მამუკა კვანტალიანი გორიდან**

გნებავთ, „გორი ჯვრის“ წყალობა დაარქვით, გნებავთ, მეტოქის უილაჯობას დააბრალეთ, ფაქტი კია, „დილამ“ ხობის „კოლხეთი“ დაამარცხა.

არადა, შაბათს მასპინძლები გამარჯვებას არ იმსახურებდნენ, რაც ყველამ აღიარა, არც სტუმრები. ის კი არა, ხობელებმა ასე თუ გააგრძელეს, ჯგუფიდან გავარდნა არ ასცდებათ.

ყველაზე რეალური შედეგი კი ფრე იქნებოდა, მაგრამ მასპინძლები რომ არ ვარგოდნენ, თავი სტუმრებმა გამოიდეს და ბურთი საკუთარ კარში შეაგდეს. თამაშის შემდეგ ერთ-ერთი ხობელი ხუმრობდა, აბა, რა გვექნა, მეტოქის კარში ვერ გაგვქონდა და გოლი ხომ უნდა გაგვეტანაო. ის სიტყვები უფრო გოდებას მოასწავებდა, ვიდრე სალაღობოდ ნათქვამს.

„დილამ“ უსუსტესად ითამაშა. სხვისი არ ვიცი, მაგრამ მე ასეთი შთაბეჭდილება დამრჩა, რომ მასპინძელი ფეხბურთელები მინდორზე მოვალეობის მოსახდელადღა გავიდნენ, თითქოს არ სურდათ თამაში, მაგრამ სხვა გზაც არ ჰქონდათ.

ვითომ ფინანსური პრობლემების ბრალია უხასიათობა? რატომღაც არა მგონია, ფულზე ფეხბურთელებს არ დაუწუწუნიათ, მაგრამ გუნდში სხვა საკითხი რომ დგას, თანაც გადაუჭრელი, ფაქტია.

შაბათს „დილასთან“ ერთად არ იყო მისი მთავარი მწვრთნელი მერაბ ხუციშვილი. იგი თამაშის დაწყებამდე ორი საათით ადრე დაუთხოვიათ თანამდებობიდან. ასეთი რამ მხოლოდ გორში შეიძლება მოხდეს.

მერაბ ხუციშვილს ადრევე ჰქონია გადაწყვეტილი, თამაშის შემდეგ გადავდგებიო, მაგრამ კლუბის ხელმძღვანელებმა სხვაგვარად გადაწყვიტეს.

მთავარ მწვრთნელსა და ფეხბურთელებს შორის კი ჩინებული, მეტიც, ბრწყინვალე ურთიერთობა სუფევდა. აქედან გამომდინარე, შეიძლება ვივარაუდოთ, რომ ფეხბურთელებმა თავისებური პროტესტი გამოთქვეს მწვრთნელის გაშვებასთან დაკავშირებით.

საბოლოო დასკვნების გაკეთებას ჯერჯერობით მოვერიდები, მით უმეტეს, როცა სამივე მხარე (კლუბის ხელმძღვანელები, მწვრთნელი და ფეხბურთელები) კომენტარისგან დროებით თავს იკავებს. იმედია, მტყუან-მართალი დროზე გაირკვევა და „დილაც“ დამშვიდდება.

მანამდე კი გორელი ფეხბურთის ქომაგებიც გაიყვნენ. ზოგისთვის სულ ერთია, ვინ იქნება მწვრთნელი, მთავარია, „დილამ“ მოიგოს. ესენი უწინდებურად ამხნევებდნენ გუნდს. მეორენი დაფიქრებულნი, დაეჭვებულნი დადიან, საუბრობენ, არჩევენ...

კლუბის თავკაცები კი „დილას“ მოხვედრას იმ რვა გუნდში გეგმავენ, რომლებიც, საპრიზო ადგილებზე არას ვამბობ, პირველ ჯგუფში უპრობლემოდ დარჩებიან.

ვნახოთ რა და როგორ გამოვა. ალბათ, „დილას“ შინაური სამზარეულო მალევე დალაგდება და მთავარი მწვრთნელიც (ახალი თუ ძველი) საქმეს მიხედავს.

ხობელებზე რა ითქმის, ამ გუნდს ბრძოლა ნამდვილად შეუძლია, იბრძვის კიდეც, მაგრამ როცა საქმე უშუალოდ შესრულებაზე მიდგება, მაშინ ისინი თავზე ხელის შევლებით კმაყოფილდებიან, შეიძლება ითქვას, კლასი არ ჰყოფნით.

ეს ყოველივე გნებავთ, მწვრთნელს დააბრალეთ, გნებავთ, სუსტ მოთამაშეებს, ან შინააშლილობებს. ისე, გორში სტუმრებს დაპირისპირებისა და გათიშულობის მსგავსი არაფერი გამოუმჟღავნებიათ, მაგრამ იმათაც ეტყობათ, რომ რაღაც პრობლემები აწუხებთ.

ასეთ ვითარებაში დაუპირისპირდნენ გორელები და ხობელები, იწვალეს, გააწამეს ერთმანეთი, თავადაც ინერვიულეს და ყველა ირგვლივმყოფიც გვარიანად ანერვიულეს.

„ხობი“ რომ პირველ ტაიმში უკეთ გარჯილიყო, სულ ცოტა, სამ გოლს გაიტანდა, მაგრამ მათ საგოლე მომენტები ქარს გაატანეს. განსაკუთრებით მწვავე ჩიტაიასა და გოგიტაძის შეტევები იყო. პირველმა, როცა მეკარესთან პირისპირ გავიდა, დარტყმა იჩქარა და ბურთი სოლოლაშვილს გაარტყა, მეორემ იმავე ჩიტაიას ჩაწოდებულს ფეხი ვერ მიაწვდინა, თორემ გოლი გარდაუვალი იქნებოდა.

შესვენებაზე კლუბის თავკაცებმა გორელი ფეხბურთელები დატუქსეს, მაგრამ ამან საქმეს დიდად ვერ უშველა, უთავბოლო ბურთაობა კიდევ გაგრძელდა.

ისე, გორელები რევაზ ხაჭაპურიძესა და მიხეილ თაყაძეს უმადლოდნენ. რეზომ დაცვაში ითამაშა საიმედოდ, მიშამ კი მეორე ტაიმში სისხლი გაუშრო სტუმარ მცველებს. სწორედ თაყაძის გარღვევას მოჰყვა ის კუთხური, რომელიც ხობელთათვის საბედისწერო აღმოჩნდა.

არადა, ზურაბ აიანიდმა, რომელმაც თითქოს უშეცდომოდ ჩაატარა ის მატჩი, თავისიანები დაალალატა — კუთხურიდან ჩამოწოდებულ ბურთს ფეხი მოუქნია და საკუთარ კარში ჩაჭრა.

მერე კი ეცადნენ ხობელები, მაგრამ იმ ბურთის გარდა, ბუკიამ ძელს რომ მოარტყა, ვერაფერს გამორჩნენ. ის კი არა, სტუმართა დაცვაში შეცდომებმა იმატა და კიდევ გორელებს უმადლოდნენ, შაბათს თამაშის იშტაზე რომ არ იყვნენ.

# ვინ იფიქრებდა...

| | |
|---|---|
| ბათუმი | |
| 18 სექტემბერი | |
| 17 საათი | |
| დინამო | |
| 5 00 (ტევადობა 20 000) | |

**ბათუმი 0:0 სამგურალი**

**ბათუმი:** ტოგონიძე, ი. მახარაძე (კანტიძე 66), ზ. არჩვაძე, მ. მახარაძე, თედორაძე (აფხაზავა 46), მინდაძე, კობიძე, გელა ქორიძე, მაჭუტაძე, ტულუში, გადელია (უვაკვე 72)
*სათადარიგონი:* მალაყმაძე; რომანაძე, პაპიძე, ა. მუჯირი
**სამგურალი:** ო. ბობოხიძე, ჭელიძე, სადილიანი, ლ. ქობულაძე, ვოსკანოვი, ძაგნიძე (პეტრიაშვილი 68), სუხიაშვილი (კოხრეიძე 87), ი. ხაჭაპურიძე, ზ. ქუთათელაძე (ძოძუაშვილი 46), ფხაკაძე, ლონლაძე
*სათადარიგონი:* ბოდოკია; ჯავახაძე, კოპალიანი, ნებიერიძე
**გაფრთხილება:** ფხაკაძე (8), სადილიანი (36)
**მსაჯები:** ლ. ფანიაშვილი (თბილისი); ა. სამხარაძე (სოხუმი), ლ. მიქელაძე (სამტრედია); მ. ნაკაიძე (ლანჩხუთი)
**სფფ-ის დელეგატი:** ა. დურსუნიში

**გოჩა ჯანაშია ბათუმიდან**

წლევანდელ სეზონში „ბათუმმა“ თბილისურ კლუბებთან, ზედიზედ ოთხი ურთულესი წაუგებელი მატჩი ჩაატარა და ამ ტურში წესით ცოტათი უნდა ამოესუნთქა. ზღვისპირეთს ხომ „სამგურალი“ სტუმრობდა. კი მაგრამ, მერე რაო, იკითხავს მავანი? რა და, რაც ეროვნული ჩემპიონატი არსებობს, ამ გუნდებმა ბათუმში რვაჯერ ითამაშეს. აქედან მხოლოდ ერთხელ, 1992-93 წლების სეზონში მოახერხეს იმერლებმა შინ ქულის წაღება. ბოლო ექვსი წელი „ბათუმის“ ზეობა ხომ ეჭვს არ იწვევს. ბურთების სხვაობას არ იკითხავთ — 28:3(!)

ჰოდა, ამის შემხედვარე, აბა ვინ იფიქრებდა, თუ სამმატჩიან მოუგებელ სერიას აჭარელები კიდევ გაიგრძელებდნენ.

ვერაფერს იტყვი, შთამბეჭდავი დებიუტი გამოუვიდა „სამგურალის“ ახალ თავკაცს იასონ ბზიკაძეს. შინ ზედიზედ ორი მოგება („არსენალთან“ და „სიონთან“). ამას აგერ ბათუმური ფრე დაუმატეთ და თავად განსაჯეთ, რას მიაღწია ამ ახალბედა მწვრთნელმა.

„ბათუმს“ ადრეც ჩვეოდა და ახლაც ასე იყო. შედარებით სუსტ მეტოქესთან მობილიზაცია აკლდა. მთლიანობაში ზღვისპირელები მეტოქეს თამაშში კი ჯობდნენ, ბევრი მომენტიც შექმნეს, მაგრამ გადაულახავ ზღუდეთ ქცეულ იმერლებს ვერაფერი დასტყუეს.

ვერ ვიტყვი, რომ თასის შარშანდელი ფინალისტები მხოლოდ ყრუ დაცვით იყვნენ დაკავებულნი. შიგა და შიგ უკბილოდ მომხდურთ იოლად იგერიებდნენ და გონივრული თამაშით ბურთსაც კარგად აგორებდნენ. არავითარი პანიკა არ იგრძნობოდა მათ ქმედებაში. ეს განსაკუთრებით მეორე ტაიმში გახდა თვალსაჩინო, როცა კარნევალეს მიერ შეფუცხუნებულმა მასპინძლებმა ზეწოლას უმატეს.

სტუმართა მთელი გუნდი იმსახურებდა ქებას. განსაკუთრებით უკანა ხაზი. თუმცა, მაინც ხაჭაპურიძის და ფხაკაძის გამოყოფა იქნება უპრიანი. პირველი მთელს მოედანს აკონტროლებდა, ბევრს მოძრაობდა და თავისი დაუღალავი ქმედებით მეტოქეს ავიწროვებდა. მეორე კი, ნახევარდაცვის და უკანა ხაზის შეკვრას, ჩინებულად ართმევდა თავს. არც წინ მარტოდ მყოფი შეცვლაზე შესული ძოძუაშვილის გარჯა იყო დასაწუნი. მას მასპინძელთა შეთხელებული დაცვის შეწუხება კარგად გამოსდიოდა და ერთიორჯერ არჩვაძეს რომ არ ეყოჩაღა, ვინ იცის რა მოხდებოდა.

ბათუმელთაგან, რაოდენ საკვირველი არ უნდა იყოს, სწორედ ზურა არჩვაძის საიმედო თამაში გვენიშნა უფრო და ეს მაშინ, როცა მათი უპირატესობა საგრძნობი იყო.

ბოლო წუთებში, გალიზიანებული მაყურებელი თავისი გუნდის შტურმს ამაოდ ელოდა. ერთადერთი, შალვა აფხაზავას მიეცა გატანის კარგი შანსი. მატჩის დასასრულს ათიოდე წუთი უკლდა, როცა ის ორ მცველს იოლად გაცდა, მაგრამ ბობოხიძის საიმედო თამაშს ვერაფერი მოუხერხა. შტურმი კი, როგორც ასეთი, არც შემდგარა. სტუმრების თავდაჯერებულმა თამაშმა ყველაფერი ნათელჰყო — „ბათუმმა“ პირველ ტურში მოგებას, ზედიზედ მეოთხე ფრე მოაყოლა. ოღონდ, ნუგეშად ერთი რამ დარჩა — ის ხომ „ა“ ჯგუფში ჯერ კიდევ დაუმარცხებელია.

# კვერცხი სჯობია თუ ქათამი?

| | |
|---|---|
| თბილისი<br>18 სექტემბერი<br>17 საათი<br>სინათლე<br>1 500 (ტევადობა 3 000) | |

**მერანი 1:2 კოლხეთი**

0:1 ღლანიძე (32), 1:1 ბ. ამბიძე (35), 1:2 ტრაპაიძე (89)
**მერანი:** ნაჭყეპია, ლ. ამბიძე, ცქიფურიშვილი, ბ. ამბიძე, ხარებავა, ჭინჭარაული, ჯიშკარიანი, თოლორდავა, ე. ალადაშვილი, კარიაული (შ. ივანიშვილი 84), დავითაშვილი (როსტიაშვილი 77)
*სათადარიგონი:* კოროშინაძე, ბაჯელიძე, ლ. ჩხაიძე
**კოლხეთი:** გვასალია, გოროზია, ტორჩინავა, გიორგაძე, პაპავა (კედელაშვილი 64), ტრაპაიძე, კიკლიაშვილი (მელაძე 64), ხუჭუა, ღლანიძე, ქუნთელია (დ. გოგოლაძე 81), შალამბერიძე
*სათადარიგონი:* ქვაჩახია, ჭოხონელიძე, ანჯაფარიძე, ბულუხია
**გაფრთხილება:** ხარებავა (52), პაპავა (62), გოროზია (68)
**გაძევება:** ალადაშვილი (69)
**მსაჯები:** ს. კახიანი; მ. ელიკაშვილი (ორივე თბილისი), ა. ორდინიძე (ონი); ჯ. ბუიშვილი (ჭიათურა)
**სფფ-ს დელეგატი:** ა. მილჩენკო

ვანო ოძროპირიძე

ფოთის „კოლხეთის" ხელმძღვანელობამ ჩემპიონატის დაწყებამდე მიღებული გადაწყვეტილება, როგორც ჩანს, გადათქვა. სეზონის წინ ინტერტოტოს თასზე მაკედონიურ „ცემენტარნიცასთან" ფოთში 0:4 განადგურების შემდეგ ფოთელებმა თქვეს, სჯობს, წლეულს ახალგაზრდები ვათამაშოთ, მართალია, მაღალ შედეგს ვერ მივაღწევთ, მაგრამ გამოცდილებას შეიძენენ, დაოსტატდებიან და გაისად ისევ ჩვენ გამოგვადგებიანო.

„მერანთან" შაბათს ჩატარებულმა მატჩმა, ისევე, როგორც წინა ოთხმა ტურმა, საპირისპირო დაგვანახა. „კოლხეთის" შემადგენლობის ძირითად ბირთვს კვლავაც ის ფეხბურთელები შეადგენენ, რომლებიც რამდენიმე წელია, გუნდის ღირსებას იცავენ და ქართული ფეხბურთის ვეტერანებადაც იხსენიებენ. ეტყობა, ფოთელებს დღევანდელი კვერცხი ურჩევნიათ ხვალინდელ ქათამს. თუმცა თავიანთი საქმის თავად უკეთ უწყიან, სჯობს, თამაშზე ვთქვათ.

„მერანმა" მატჩის წინ ტრავმების გამო პაატა ლურსმანაშვილი და სოსო დევიძე მოისაკლისა, შერმადინ დანელია კი იმავე მიზეზით დიდი ხანია, გუნდის შემადგენლობაში არ გამოჩენილა.

თამაში საშუალოზე დაბალ ტემპში, გარდამავალი უპირატესობით წარიმართა. მასპინძლებს წინ ორი თავდამსხმელი — დავითაშვილი და თოლორდავა ჰყავდათ გამწესებული, სტუმრებმა კი მატჩი ერთი გამოკვეთილი ფორვარდით, ხუჭუათი დაიწყეს.

პირველი სახიფათო მომენტი მასპინძლებმა შექმნეს. მე-20 წუთზე ამბიძეს შეეძლო გატანა, მაგრამ მას გამოცდილმა გვასალიამ აჯობა. 12 წუთში „კოლხეთმა" შეუტია სახიფათოდ და გოლიც გავიდა. მერანელები საკუთარ საჯარიმოსთან ახლოს დაჯარიმდნენ. ჯარიმის დასარტყმელად ღლანიძე მოემზადა და ის იყო, უნდა შეესრულებინა კიდეც, რომ გვასალიამ დაუძახა და ანიშნა, დაბალი დაარტყიო. ფოთელმაც დაუჯერა მეკარის რჩევას. ნაჭყეპიამ ბურთს ხელი კი წაატანა, მაგრამ „მერანი" ვერ იხსნა. თუმცა ანგარიში სულ მალე გათანაბრდა. მერანელთაგან უდავოდ საუკეთესო ბახვა ამბიძე ღლანიძეს არ ჩამორჩა და ჯარიმიდან უზადოდ დაარტყა. ამის შემდეგ „მერანმა" შეუტია, თუმცა სტუმართა კარს მხოლოდ ერთხელ დაემუქრა. მაშინაც ბახვა ამბიძემ იაქტიურა, თუმცა მის მიერ მოულოდნელად დარტყმული ბურთი მცირედით ასცდა კარს.

მეორე ნახევარში ისედაც ნელმა ტემპმა კიდევ უფრო იკლო, ბურთი ძირითადად მოედნის ცენტრში ტრიალებდა. საგოლე მომენტებიც იშვიათად იქმნებოდა. მე-60 წუთზე მასპინძლებმა სწრაფი კონტრშეტევა განახორციელეს. დავითაშვილმა ბურთიანად მთელი მარცხენა ფლანგი გაირბინა და საჯარიმოში ბახვა ამბიძეს ჩააწოდა, რომლის დარტყმულსაც გვასალია გადაელობა. „კოლხეთიც" აშკარა გოლს გადარჩა. მალე კი „მერანი" ათი კაცით დარჩა მინდორზე. ალადაშვილმა ხუჭუა ხელით დაიჭირა და ბოლო იმედის ჯარიმისთვის კახიანმა წითელი ბარათი სამართლიანად უჩვენა, ამის შემდეგ უპირატესობას სტუმრები დაეუფლნენ. ფოთელებმა განსაკუთრებით ბოლო ათ წუთში გააძლიერეს მეტოქეზე ზეწოლა და 89-ე წუთზე გამარჯვების გოლიც გაიტანეს. ტრაპაიძემ მარცხენა ფლანგზე საჯარიმოს ხაზთან მიიღო ბურთი, გაისწორა და შორეულ კუთხეში მოჭრილი დარტყმით ულამაზესი გოლი გაიტანა. „კოლხეთს" მანამდეც შეეძლო დაწინაურება, მაგრამ შალამბერიძემ და გოგოლაძემ რეალური მომენტები ვერ გამოიყენეს.

ამ შედეგმა „კოლხეთს" მეორე ადგილი შეუნარჩუნა, „მერანი" კი „ბ" ზონის ცხრილის ფსკერზე დააქვეითა.



კოლხები გოჩა ტრაპაიძეს გამარჯვების გოლს ულოცავენ

# ასწიეთ შლაგბაუმი!

| | |
|---|---|
| სამტრედია<br>18 სექტემბერი<br>17.33 საათი<br>ეროსი მანჯგალაძე<br>500 (ტევადობა 14 000) | |

**იბერია 1:0 გორდა**

1:0 გეგეშიძე (89პ)
**იბერია:** ვარდანიძე, ბიწაძე (ხმალაძე 75), ნიკოლეიშვილი, გეგეშიძე, მიქელთაძე, დარსაძე (ხურციძე 70), მ. ჯინჭარაძე, ქველაძე, გ. ლურსმანაშვილი, ივეჩიანი, ზ. მეტრეველი
*სათადარიგონი:* გ. დოლიძე; ოდიკაძე, ნ. გიორგაძე, ლ. გიორგაძე, ჟვანია
**გორდა:** მ. ქორიძე, მჭედლიძე, ბექაური, ინასარიძე, გაბელაია, ვ. კილასონია, თელიაშვილი, მ. სახვაძე, კიტეიშვილი (მიშველიძე 43), პატარიძე, ლ. ალადაშვილი (ა. ბუკია 87)
*სათადარიგონი:* გონგაძე; კ. ჩიგოშვილი, ბაჩილავა, ჩიტაური
**გაფრთხილება:** მეტრეველი (32), თელიაშვილი (62), ვარდანიძე (89), პატარიძე (89), ხურციძე (89)
**მსაჯები:** პ. დოგრაშვილი; კ. გაბრიაძე, ა. კიკაჩეიშვილი; ნ. რუსიშვილი (ყველა ქუთაისი)
**სფფ-ის დელეგატი:** გ. ძამუკაშვილი

იუზა კაციტაძე სამტრედიიდან

„იბერიასთვის" ეს მესამე საშინაო მატჩი გახლდათ. ფორმალურად, თორემ კარგად მოგეხსენებათ, „მერანთან" ჩემპიონატის სასტარტო მატჩის გამართვა სამტრედიელებს „ეროსი მანჯგალაძის" ნაცვლად თბილისში, „ეროვნულზე" მოუწიათ. მიზეზიც გემახსოვრებათ. სფფ-მ მაშინ ელემენტარული მოთხოვნების დაუცველობის გამო შეუძლებლად ცნო „ეროსი მანჯგალაძეზე" თამაში. მოგვიანებით სიტუაცია შეიცვალა. სამტრედიის არასაუწყებო დაცვის პოლიციის უფროსის ავთანდილ თევზაძის შემწეობით სტადიონს სარემონტო სამუშაოები ჩაუტარდა, მოწესრიგდა გასახდელები და საშხაპეები, აღდგენილი იქნა მთავარი ტრიბუნა და მესამე ტურში „იბერიამ" უკვე შინ უმასპინძლა „ტორპედოს".



მამუკა დარჩია სამტრედიიდან

იბერიელი შოთა დარსაძე რუსთაველებს გაურბის

სამტრედიულ კლუბს თითქოსდა მოეხსნა სტადიონთან დაკავშირებული პრობლემები, მაგრამ...

— სტადიონი ჩვენია და თუ აქ თამაში გსურთ, კეთილი ინებეთ და ფული გადაგვიხადეთო — ადრეც ედავებოდა კლუბს რკინიგზის დეპარტამენტი. ახლა სულაც ყალყზე შემდგარა ლიანდაგთ უფროსობა. ყოველ თამაშზე 500 დოლარს(?!) თუ არ გაიღებს, „იბერია" სტადიონს არ გააკაროთო — შემოუთვლია ქვეშევრდომთათვის ბატონ აკაკი ჩხაიძეს. ჰოდა, პატარა კაცი კია „ეროსი მანჯგალაძის" დირექტორი როლანდ გარნოვსკი, მაგრამ, უნდა ნახოთ, რა დიდ გულზეა. 500 დოლარი არადა, შაბათს თამაშის ჩაშლის მუქარით 200 ლარი კი მართლა დასტყუეს სტადიონელებმა „იბერიას" ქომაგ პარლამენტის დეპუტატობის ერთ-ერთ სამტრედიელ კანდიდატს. ისე, გარნოვსკიმ ჟურნალისტებსაც შემოგვიტია, ლოჟაში არაფერი გესაქმებათო. რჩევაც მოგვცა, სტადიონი „ლოკომოტივისაა" და „ეროსი მანჯგალაძედ" არ მოიხსენიოთო...

გარნოვსკისა არადა, სამტრედიის გამგეობისა მართლა გვიკვირს. რამდენადაც ვიცით, გამგეობა 49 პროცენტში მეწილედ უდგას „იბერიას" პრეზიდენტს ნუგზარ ნიკოლაიშვილს და თუ გუნდის დაფინანსებით თავი არასოდეს შეუწუხებია, სათამაშო მოედნის საკითხი მაინც რომ გადაუწყვიტოს ფეხბურთელებს, რა დიდი ამბავი იქნება.

ასე იყო თუ ისე, „იბერია" — „გორდა" მაინც შედგა, ეგ იყო დიდი დაგვიანებით დაიწყო. 24 წუთი სასწრაფო სამედიცინო დახმარების მანქანის ლოდინმა წაიღო, 5 წუთი რუსთაველი ინასარიძისა (უწვივსაფრებოდ არ დაუშვეს მოედანზე), 4 წუთი კარის ბადეების შემოწმებამ და, ესეც 33.

თავიდან სტუმრებმა იაქტიურეს, ერთი-ორი სწრაფად შეუტიეს მეტოქეს. მე-7 წუთზე ვარლამ კილასონიამ მასპინძელთა საჯარიმოს წინა ხაზიდან სახიფათოდაც დაარტყა კარისკენ, მაგრამ ბურთი ოდნავ გადაცდა ხარიხას. საპასუხო იერიშისას კი ზურაბ მეტრეველი აღმოჩნდა ხელსაყრელ პოზიციაში, კართან ახლო იყო, თუმცა დარტყმას ძალა ვერ დაატანა და მამუკა ქორიძემ იოლად აუღო.

თამაში უინტერესოდ გაგრძელდა. მეტოქეები ძალიან ბევრს სცოდავდნენ, დუნედ ირჯებოდნენ და, რა გასაკვირია, თუ სახეიროს ვერაფერს ქმნიდნენ. ინასარიძის და მალხაზ ჯინჭარაძის შორეულ დარტყმებს კი შედეგი არ მოჰყოლია. პირველ ტაიმში, ფაქტობრივად, ერთადერთი საგოლე მომენტი ვიხილეთ. 34-ე წუთზე სამტრედიელი ივეჩიანი დარჩა მეკარესთან პირისპირ და გატანის ჩინებული შანსიც მიეცა, მაგრამ ათი მეტრიდან სუსტად დაარტყა, ქორიძეს ოდნავაც არ გასჭირვებია მოგერიება.

შესვენების შემდეგ უპირატესობა მასპინძელთა მხარეს გადავიდა, იმდენად, რომ „გორდას" მხოლოდ დაცვაზე მოუხდა ფიქრი და საკმაოდ კარგადაც ართმევდა თავს ამ საქმეს. სამტრედიელები სტუმართა საჯარიმოში შესვლას ვერაფრით ახერხებდნენ, შორეული დარტყმებით თუ აწუხებდნენ ქორიძეს. 70-ე და 72-ე წუთებზე „გორდას" მეკარემ დარსაძის და ჯინჭარაძის საჯარიმოს გარედან დარტყმულებს დროულად აუღო ალღო, მე-80 წუთზე მეტრეველმაც დაურტყა შორიდან მეკარეს, მაგრამ მცირედით ააცილა მიზანს.

ძნელი მისახვედრი არ იყო, სტუმრებს ამ მატჩში ფრე ხელს აძლევდათ და ძალიან ახლოსაც იყვნენ მიზანთან. ორი წუთიღა უნდა გაეძლოთ. არბიტრმა სწორედ ორი წუთი წაამატა ტაიმს. „იბერიას" უკანასკნელი შეტევა. თამაშში აქტიურად ჩართულმა ახალგაზრდა ხმალაძემ მარჯვნიდან ჩააწოდა რუსთაველთა საჯარიმოში და, იქ ბურთი მიხეილ სახვაძეს მოხვდა ხელზე. რაღა თქმა უნდა, პენალტი. სამტრედიელთა კაპიტანმა ძლიერად და ზუსტად დაურტყა ქორიძეს მისგან მარჯვენა კუთხეში და „იბერიამ" მეთერთმეტე ეროვნულში პირველი გამარჯვება იზეიმა.

# ბათუმის მოლოდინში

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბოლნისი
18 სექტემბერი
17 საათი
თემურ სტეფანია
2 000 (ტევადობა 3 000)

**სიონი 1:0 არსენალი**

1:0 შაკიაშვილი (84პ)
სიონი: ვოლკოვი, დიმიტრიშვილი, სიდამონიძე, შაკიაშვილი, ნ. მინდიაშვილი, სოლოღაშვილი (მ. სამხარაძე 85), სვანიძე, დათუაძე, დ. გოდერძიშვილი, მოსეშვილი (მ. გოგოლაძე 76), ლ. გაგუა (თ. სამხარაძე 46)
*სათადარიგონი:* დალაქიშვილი; მ. მინდიაშვილი, ე. ჯაფარიძე
არსენალი: ჩლაიძე, ცოტაძე, ასპინძელაშვილი, ლაცაბიძე, ირემაშვილი, ყოლბაია, ხოსროშვილი, თარგამაძე, ამირიძე, გონჩაროვი, ტარიელაშვილი
*სათადარიგონი:* კუპატაძე; ვ. ღუდუშაური, კვირკველია, კაკაშვილი, გ. ჩალაძე, სულაძე, რობაქიძე
გაფრთხილება: ჩლაიძე (36), გაგუა (36), თარგამაძე (37), ლაცაბიძე (84), შაკიაშვილი (88)
მსაჯები: გ. ასკაროლლი (ქარელი); გ. ცირდავა (გულრიფში), დ. სანაია (სოხუმი); ზ. მენთეშაშვილი (თბილისი)
სფფ-ს დელეგატი: რ. ჩილაჩავა

პაატა კვანტალიანი ბოლნისიდან

საშინაო გუნდის სახელი გაუვარდა „სიონს“ და არცთუ უსაფუძვლოდ. სტუმრად სუსტად მოთამაშე კლუბი ბოლნისში, „თემურ სტეფანიაზე“ უეცრად გარდაიქმნება-ხოლმე. შაბათს „ლოკომოტივის“ გზას „სიონმა“ მეორე თბილისური კლუბიც გაუყენა — „არსენალი“ მინიმალური ანგარიშით დაამარცხა — 1:0.

სპარტაკ არჩვაძემ, „სიონის“ მთავარმა მწვრთნელმა, საგრძნობლად გადახალისებული შემადგენლობა გამოიყვანა მინდორზე. მან თავიდანვე სამი ფორვარდით ირჩია თამაში, გამოცდილი სოლოღაშვილი საყრდენად დააყენა, ცენტრალურ ხაზში კი დათუაძე ვერ აუდიოდა საქმეს. ამიტომაც სტუმრებმა ცენტრში დიდი უპირატესობა მოიპოვეს და პირველივე წუთებიდან მწვავედ უჩხვლიტეს მასპინძლებს. გონჩაროვს მე-7 წუთზე შეეძლო თავისი გუნდის დაწინაურება, მაგრამ საჯარიმოში შეჭრილმა ახლო მანძილიდან დამაგვირგვინებელი დარტყმა გააცუდა. ნუკრი მინდიაშვილის კარგი თამაშის წყალობით მალე „სიონიც“ გამოფხიზლდა. იგი მარცხენა ფრთიდან შუა ნაწილშიც ხშირად გადადიოდა ცენტრალურ ხაზში და კაცნაკლულ თანაგუნდელებს ავსებდა. სწორედ მისი მცდელობის შედეგად ბოლნისელებს დაწინაურებაც შეეძლოთ. მინდიაშვილმა ბოლომდე იბრძოლა ბურთისთვის და საჯარიმოში შეჭრილ დათუაძეს მშვენიერი პასიც გაუხერხა, ამ უკანასკნელმა მეურვე ჩამოიშორა, კარგადაც დაურტყა ჩლაიძეს, თუმც ბურთი მცირედით ააცილა კარს. შემდეგ სტუმართა ჯერიც დადგა და ტარიელაშვილმა წყალში ჩაუყარა გარჯა ასპინძელაშვილს — მშვენიერი პასი ვერ შეირგო და ვოლკოვთან პირისპირ შეყრილმა ხელსაყრელი მომენტი გააცუდა.

33-ე წუთზე კი მასპინძლები შეხვედრის მთავარ არბიტრს შემოეხვივნენ. „სიონი“ პენალტს ითხოვდა — მინდიაშვილის მარცხნიდან ჩაწოდებული ყოლბაიამ ხელით მოიგერია. სიონელთა პროტესტმა არ გაჭრა. ასკაროლლიმ კუთხურის ნიშნულისკენ მიუთითა მასპინძლებს. იქიდან ჩაწოდებულ ბურთს კი დათუაძემ დაჰკრა ლონივრად. ჩლაიძემ თავგანწირული ნახტომით შეძლო ბურთის მოგერიება.

ტაიმის ბოლომდე გუნდებმა თითო საგოლე მომენტი გაცვალეს. ჯერ ტარიელაშვილის თავური ასცდა მცირედით ვოლკოვის კარს, შემდეგ კი 45-ე წუთზე დათუაძემ გამოზომილი პასით მოსეშვილი შეატოვა სტუმართა მეკარეს — ჩლაიძეს კიდევ ერთხელ დასჭირდა თავისი ოსტატობის გამოვლენა.

მეორე ნახევარი კი მასპინძელთა გააფთრებული შეტევებით დაიწყო. თხუთმეტი წუთის ინტერვალით „სიონს“ ოთხჯერ შეეძლო გოლის გატანა. ორჯერ დათუაძე იყო ახლოს მიზანთან, თითოჯერ კი დიმიტრიშვილს და დავით გოდერძიშვილს აულო „მკვდარი ბურთები“ ჩლაიძემ. სტუმართა მეკარემ მართლაც კარგი შთაბეჭდილება დატოვა და უდავოდ საუკეთესო იყო თანაგუნდელთა შორის.

შეხვედრის სცენარი არც შემდეგ შეცვლილა — „სიონი“ უტევდა, „არსენალი“ კი კონტრშეტევებით კმაყოფილდებოდა.

მატჩი დასასრულს უახლოვდებოდა, „სიონის“ იერიშები კვლავ უშედეგოდ მთავრდებოდა და თითქოსდა შეხვედრაც უგოლოდ უნდა დასრულებულიყო. ამ დროს ბურთი სოლოღაშვილმა მოიგდო, ერთსვლიანი კომბინაცია გაითამაშა დათუაძესთან, საჯარიმოში შეიჭრა, მცველთან ჭიდილში წაიქცა და... კიდევ ერთხელ შემოეხვივნენ ასკაროლლის ფეხბურთელები, მთავარი მსაჯი ამჯერად თბილისელთა ტყვეობაში აღმოჩნდა. „არსენალი“ პენალტს აპროტესტებდა, გვარიანადაც აჯანჯღარეს სტუმრებმა ფერდაკარგული შავოსანი, თუმცა ასკაროლლის ვერას გამორჩნენ. მსაჯს გადაწყვეტილება არ შეუცვლია, შაკიაშვილს კი პენალტის გატანა არ გასჭირვებია და „სიონს“ ზედიზედ მეორე საშინაო გამარჯვებაც მოუტანა.

ბოლნისში კი უკვე „ბათუმთან“ შეხვედრის მოლოდინში არიან. თავს არ შევირცხვენთ და შინაურ კედლებში კვლავ გავახარებთ ქომაგებს, იქადნებიან ქვემოქართლელები. ისე, ამის თქმის საფუძველიც აქვთ. „სიონი“ ბოლნისიდან ერთ გუნდსაც არ უშვებს დაუტორავს და „ბათუმსაც“ რომ მოერიოს, ნუ გაგიკვირდებათ — სახლის გუნდია „სიონი“.

# რა კარგი იყო ათკაცა!

თბილისი
18 სექტემბერი
17 საათი
ეროვნული
500 (ტევადობა 75 000)

**თბილისი 2:1 ვიტ ჯორჯია**

1:0 მელქაძე (15პ), 2:0 ბურდული (37), 2:1 ქორიძე (59)
თბილისი: ა. ჩიხრაძე, რუხაძე, ქემოკლიძე, აბრამიძე, ზამთარაძე, ო. გველესიანი (ტყებუჩავა 63), კვარაცხელია, ბურდული, გ. მიქაძე (ნორაკიძე 53), ვალერი გაგუა (ენუქიძე 71), ლ. მელქაძე
*სათადარიგონი:* ბედიაშვილი
ვიტ ჯორჯია: ჭურაძე, ჭანკოტაძე, ბარქაია, ჯ. მუჯირი, კ. ალადაშვილი (მაზიაშვილი 78), დ. დოლიძე, დიღმელაშვილი, ყიფიანი (კოტორაშვილი 39), ლ. ნოზაძე, გიორგი ქორიძე, ვ. გოჩაშვილი (ა. ბოკერია 75)
*სათადარიგონი:* მამარდაშვილი
გაფრთხილება: ბურდული (44), რუხაძე (51), ბოკერია (83)
გაძევება: კოტორაშვილი (49), ბურდული (49)
მსაჯები: ა. მეშკოვი; ვ. ჩოჩიშვილი (ორივე თბილისი), ზ. ანიაშვილი (გორი); ზ. ხუციშვილი (დმანისი)
სფფ-ის დელეგატი: გ. ფირცხალავა

ვახტანგ ბზიკაძე

მასპინძლებს ხიზანიშვილი, ირაკლი შენგელია და მამალაძე, სტუმრებს კი საჯაია და რევაზ გოცირიძე აკლდნენ. ესენი შაბათს ვახტანგ კოპალეიშვილმა იახლა უელსში თვრამეტწლამდელთა ევროპის ჩემპიონატის შესარჩევ ტურნირში სათამაშოდ. დაუმატეთ ამას „თბილისის“ მეკარე ზურაბ ბათიაშვილი, რომელიც „დინამოსთან“ სკანდალური მატჩის მერე ფედერაციამ 4 მატჩით დასაჯა, და თავადაც მიხვდებით, რომ შაბათის ეს შეხვედრა არც თუ თვალსასეირო უნდა გამომდგარიყო.

მეოთხე ტურში „არსენალთან“ მატჩის მიწურულს იყო, თბილისელმა ლევან მელქაძემ ჩლაიძის კარის მარცხენა ძელი რომ შეარყია. ამის გამოძახილი იყო, თუ რა, მელქაძემ პირველი თხუთმეტწუთეულის მიწურულს შეძლო ის, რაც არმიელებთან, აქტიური თამაშის მიუხედავად ვერ მოახერხა. შაბათს მელქაძემ პენალტი გაიტანა, ჭანკოტაძე და ბარქაია შეცდნენ და მერე თბილისელთა თავდამსხმელი აკრძალული ხერხითღა შეაჩერეს.

დასაწყისი საინტერესო გამოდგა. „ა“ ზონის აუტსაიდერი ლიდერთან დაწინაურდა. ეს კიდევ არაფერი, სიტუაცია განსაკუთრებით მაშინ დაიძაბა, ლადო ბურდულმა მარცხენა ფრთიდან აბრაგანი რომ გაუტანა ვიტელებს. მეორე გოლამდე 5 წუთით ადრე „თბილისს“ ერთიც ჰქონდა გასატანი — გიორგი მიქაძემ ზამთარაძის გრძელი პასით სტუმართა ცენტრალურ მცველ ბარქაიას აუარა გვერდი, მაგრამ დარტყმული მაღლა მოუვიდა.

ხუთ წუთში ის გოლი გავიდა, სერგო კოტრიკაძეს გამთამაშებელი რომ შეაცვლევინა. გიორგი ყიფიანი ნიჭიერი და იმედისმომცემი ნახევარმცველი კია, მაგრამ საბერძნეთიდან დაბრუნებული აშკარად ვერაა ფორმაში. სწორედ გიორგი დაჯარიმდა გაუმართლებლად 37-ე წუთზე. მარჯვენა ფლანგიდან რუხაძის ჩაწოდებულ ჯარიმისას მიქაძე ჭურაძეს ებრძოლა და ბურთი გააგდებინა, გადმოვარდნილი კი მის ზურგსუკან ბურდულმა ზუსტი დარტყმით გაიტანა.

ყიფიანი კოტორაშვილმა შეცვალა, მაგრამ დიდხანს თამაში არც მას დასცალდა. ტაიმის მიწურულს კოტორაშვილმა ერთხელ კარგი შორეული პასით თანაგუნდელის ჩიხრაძესთან პირისპირ გაყვანა სცადა, მაგრამ ალადაშვილი ბურთს ვერ მიეწია.

— მეორე ტაიმი კი 4 წუთის დაწყებული იყო, ბურდული და კოტორაშვილი რომ წაკინკლავდნენ. არბიტრმა ალექსანდრე მეშკოვმა თავიდან ყურადღება არ მიაქცია მოჩხუბრებს, მაგრამ, რაკი არ დაცხრნენ, ორივე გასახდელში მიაბრძანა. ამ დროისთვის მეშკოვს ერთხელ უკვე გაეფრთხილებინა ვლადიმერ ბურდული.

ათი-ათზე უფრო საინტერესო გამოდგა: კუთხურისას ბარქაიამ ალექსანდრე ჩიხრაძის კარის ძელს მოარტყა, გადმოვარდნილი ძნელი გასატანი არ იყო, მაგრამ დიღმელაშვილმა სიჩქარეში ქემოკლიძეს გაარტყა. სამ წუთში „ვიტ ჯორჯიამ“ ერთი ბურთი მაინც გაქვითა — გიორგი ქორიძემ სისწრაფე აკრიფა, ჯერ ქემოკლიძე და აბრამიძე გადაჯეგა, მერე კი მეკარე მოძრაობაში დაიჭირა.

ეს იყო და, „ვიტ ჯორჯია“ ერთიორად გააქტიურდა, ნოზაძემ რამდენჯერმე სახიფათოდაც დაარტყა, მაგრამ ვერაფერს გამორჩა. არადა, 84-ეზე, წუთით ადრე, ვიდრე ფეხდაჟეჟილი დოლიძის ტრავმის გადამკიდე ვიტელები ცხრანი დარჩებოდნენ, ნოზაძეს გატანა მართებდა. ახალგაზრდა ჩიხრაძემ გამოსვლისას ბურთი ცუდად მოიგერია, ნოზაძემ შორიდანვე დარტყმა არჩია, მაგრამ ჩანაფიქრი ვერ აასრულა, მახვილი კუთხიდან კარს ააცილა.

მაშ ასე „თბილისმა“ პირველად მოიგო, „ვიტ ჯორჯიამ“ კი „დინამოს“ საკვირაო მოგებით პირველობა დაკარგა.



ირაკლი ბლუიშვილის ფოტოები



კოტორაშვილი ბურდულს ეუხეშა, ბურდული — კოტორაშვილს, ორივენი კი მეშკოვმა გასახდელში მიაბრძანა



ირაკლი ბლუიშვილის ფოტო

## ინგლისი

VII ტური

# ალანის აფეთქება

### ნიუკასლი 8:0 შეფილდი

1:0 ჰიუზი (11), 2:0, 3:0, 4:0 შირერი (30, 33პ, 42), 5:0 დაიერი (46), 6:0 სპიდი (78), 7:0, 8:0 შირერი (81, 84პ)
ნიუკასლი: ჰარპერი, ბარტონი, ჰიუზი, გომა, დომი (გლასი 81), სოლანო, ლი, სპიდი, დაიერი (რობინსონი 63), ძეცაპია (მაკლინი 78), შირერი
შეფილდი: პრესმენი, ნიუმოსი, ნოლანი, თომი, უოლკერი, რუდი (ჰასლამი 46), სონერი, დონელი (სიბონი 83), ალექსანდერსონი, დე ბილდე, ბუთი (კარბონე 27)
გაფრთხილება: ალექსანდერსონი
მსაჯი: ნ. ბერი

### ასტონ ვილა 1:0 ბრედფორდი

1:0 დაბლინი (71)
ასტონ ვილა: ენკელმანი, უოტსონი, საუთგეიტი, ეჰიოგუ, ბოატენგი (სტოუნი 84), ტეილორი, დაბლინი, ტომპსონი (მერსონი 55), იოაკიმი (ვესელი 64), ბერი, ჰენდრი
ბრედფორდი: უოლში, მაიერსი, მაკოლი, უეზერელი, მილსი (როდრიგესი 46), ველეი, ბიგრი, ობაიენი, უინდესი, ჰალე, სონდერსი
გაფრთხილება: ბერი, ბოატენგი, მაკოლი
მსაჯი: ს. ლოჯი

### დერბი 0:5 სანდერლენდი

0:1 მაკანი (24), 0:2, 0:3 ფილიპსი (42, 52), 0:4 ქუინი (55), 0:5 ფილიპსი (85)
დერბი: პოულტი, კარბონარი, ლაურსენი, პრაიორი, შნური (ჰარპერი 46), დელაპი, ჯონსონი, ერანიო (ბოჰინენი 54), პაუელი, ბექი (ბაიანო 46), ფუერტესი
სანდერლენდი: სონერსენი, მაკინი, ბატლერი, ბოულდი, გრეი, ბოლი (უილიამსი 59), მაკანი (რაე 78), სამერბი, შვარცი, ქუინი (დიკიო 59), ფილიპსი
გაფრთხილება: დელაპი, ბოლი, ბატლერი, სამერბი, დიკიო
მსაჯი: პ. ჯოუნსი

### ლესტერი 2:2 ლივერპული

1:0 კოტი (2), 1:1, 1:2 ოუენი (23პ, 39), 2:2 იზეტი (86)
ლესტერი: არფექსადი, სინკლერი, ტაგარტი, ელიოტი, იმპი (ოუკსი 60), სევიჯი, ლენონი, იზეტი, გაპი, ჰესკი, კოტი (გილკრისტი 66)
ლივერპული: ვესტერველდი, მატეო, პიიპია, ჰეგემი, კარაგერი, ბერგერი, ტომპსონი, რედნეპი (მერფი 78), ჟერარდი, კამარა (მეიერი 55), ოუენი
გაფრთხილება: სინკლერი, ჟერარდი
გაძევება: სინკლერი (51) ტომპსონი (89)
მსაჯი: უ. რენიე

### მანჩესტერი 1:1 უიმბლდონი

0:1 ბადირი (16), 1:1 კრუიფი (73)
მანჩესტერი: ტაიბი, ირვინი, ბერგი, სტამი, სილვესტრე, ნევილი, სქოულზი, გიგზი (კრუიფი 30), სოლსკიაერი (კოული 68), შერინგემი, იორკი
უიმბლდონი: სალივანი, კანინგემი, ბლექუელი, ანდერსენი, ტეჩერი, ბადირი, რობერტსი, იუელი, გეილი, კორტი (იუპი 80), ჰარტსონი
მსაჯი: რ. ჰარისი

### ტოტენჰემი 3:2 ქოვენთრი

1:0 ივერსენი (7), 2:0 არმსტრონგი (50), 3:0 ლეონარდსენი (51), 3:1 კინი (54), 3:2 ჩიპო (75)
ტოტენჰემი: უოლკერი, ქარი, იანგი, პერი, ტარიკო, ლეონარდსენი, შერვუდი, ფროინდი, ჟინოლა (დომინგესი 59), არმსტრონგი (ნილსენი 85), ივერსენი
ქოვენთრი: ჰედმანი, ედვორთი, შოუ, კონიჩი, ბაროუზი (პ. ჰოლი 83), ჩიპო, ჰაჯი, მაკალისტერი, უილიამსი, ფროგატი (მ. ჰოლი 59), კინი
გაფრთხილება: არმსტრონგი, ჰაჯი, შოუ, კონიჩი
მსაჯი: ა. დარსო

### უოტფორდი 1:0 ჩელსი

1:0 სმარტი (57)
უოტფორდი: ჩემბერლენი, გიბზი, პეიჯი, უილიამსი, რობინსონი, ჰიდი, ისტონი, პალმერი, კენედი, ვუტერი (რაიტი 65), სმარტი (მუნი 80, ნგონგე 86)
ჩელსი: დე გუი, ფერერი, ჰოგი, დესაი, ლე სო, გოლდბეკი (პეტრესკუ 61), მორისი, დეშამპი, ამბროზეტი, ფლო (ძოლა 71), სატონი
გაფრთხილება: ჰიდი, პეიჯი, ლე სო, სატონი
მსაჯი: მ. რიდი

### ევერტონი 1:0 ვესტ ჰემი

1:0 ჯეფერსი (64)
ევერტონი: ჟერარდი, ანსუორთი (ჯემილი 50), ვიარი, გაფი, დანი, შავიერი, ჰაჩისონი (ბოლი 38), კოლინზი, ბარმბი, ჯეფერსი (კლილენდი 90), კემპბელი
ვესტ ჰემი: ჰისლოპი, კელერი, შტიმაცი, პოტსი, მარგასი, მონკური, ლომასი, ლამპარდი, სინკლერი, დი კანიო, ვანჩოპე
გაფრთხილება: დანი, ბარმბი, შტიმაცი, დი კანიო, ლამპარდი
მსაჯი: ს. ბენეტი

### საუთჰემპტონი 0:1 არსენალი

0:1 ანრი (79)
საუთჰემპტონი: ჯონსი, დოდი, რიჩარდსი, ლუნდეკვამი (ალმეიდა 71), ბენალი, ოუკლი, ჰიუზი, სოლტვედტი, ბრიჯი (ლე ტისიე 81), ბითი, კაჩლული
არსენალი: მანინგერი, დიქსონი, კიოუნი, ადამსი, უინტერბერნი, ვიეირა, ლიუნგბერგი (პარლო 46), გრიმანდი, ოვერმარსი (ლუჟნი 84), კანუ (ანრი 71), ბერხკამპი
გაფრთხილება: ბითი, ოუკლი, დოდი, უინტერბერნი, გრიმანდი
მსაჯი: გ. ბარბერი

### ლიდსი 2:0 მიდლსბრო

1:0 ბრიჯესი (14), 2:0 კიუელი (64)
ლიდსი: მარტინი, მილსი, რადებე, ვუდგეიტი, ჰარტი, ჰოპკინი (კელი 46), ბეტი, ბოუერი, კიუელი, ბრიჯესი (ჰაკერბი 53), სმიტი
მიდლსბრო: შვარცერი, ფესტა, ვიკერსი, პალისტერი, კუპერი, ციგე, მასტო, ინსი, ონილი, დინი, არმსტრონგი (რიკარდი 72)
გაფრთხილება: ბოუერი, პალისტერი, ფესტა, ციგე, ინსი
მსაჯი: დ. გალაჰერი

ნიუკასლში, „სენტ ჯეიმსიზ პარკზე“ გუნდმა გამოიღვიძა: 66 წლის ბობი რობსონის ხელქვეით მოვარჯიშე კაჭკაჭებმა უშუალო მოწინააღმდეგეს, „შეფილდ უენსდის“ ბდღვირი გაადინეს, რვა უპასუხო გოლი გაუტანეს და რაც მთავარია, საკუთარი თავისა ირწმუნეს.

ბევრისათვის მოულოდნელად, მიმდინარე ლიგის მეგოლეთა სიაში გამოჩნდა ალან შირერიც, რომელსაც პირველ შვიდ ტურში ერთადერთი გოლი შეეგდო. შეფილდელებთან მატჩში შირერმა ხუთჯერ აილო მოწინააღმდეგის კარი, აქედან სამჯერ პირველ ტაიმში. ამ ხუთიდან ორი პენალტით გაიტანა, ერთი პენალტიც ვერ გამოიყენა და მოკლედ ძველი ალანი გაგვახსენა. კაპიტანსა და ლიდერს აარონ ჰიუზი, კირონ დაიერი და გარი სპიდიც დაეხმარნენ და „ნიუკასლის“ პირველი გამარჯვება ამ სეზონში ხმაურიან ამბად აქციეს. გატანილი გოლების რაოდენობით ნიუკასლი მხოლოდ ლიდერს, „მანჩესტერ იუნაიტედს“ ჩამორჩება, თუმც ცხრილში კვლავ ბოლოს წინა ადგილზეა. შეფილდელთა მწვრთნელი დენი უილსონი კი ალბათ მალევე დატოვებს თანამდებობას.

აქვე უნდა ითქვას, რომ ამ ტურის შემდეგ პრემიერლიგაში ერთადერთი წაუგებელი გუნდი დარჩა. „მანჩესტერმა“ შინ ქულა მოიპოვა „უიმბლდონთან“, თუმცა კი ეს დიდ ჭაპანწყვეტად დაუჯდა. „დონების“ ებრაელმა ლეგიონერმა, ვალიდ ბადირმა რომელსაც აქამდე არასოდეს გაეტანა პრემიერლიგაში, კარლ კორტის მშვენიერ მოქმედებათა წყალობით უკვე მე-16 წუთზე აჭამა ლიდერს. ალისფერებს ლამის საათი დასჭირდათ, რათა პრემიერლიგაში წაუგებელი ორმოცმატჩიანი სერია გაეგრძელებინათ. დაშავებული რაიან გიგზის ნაცვლად მოთამაშე ხორდი კრუიფმა 73-ე წუთზე გაათანაბრა პოლ სქოულზთან გათამაშებული კედლის შემდეგ — 1:1.

საზიზღრად ითამაშა ჩემპიონთა ლიგის სხვა მონაწილემაც — „ჩელსის“ მწვრთნელმა ჯანლუკა ვიალიმ ექვსი ახალი კაცი გამოიყვანა „მილანთან“ ოთხშაბათის მატჩის შემდეგ და უსახურ, მაგრამ სახიფათო „უოტფორდთან“ წააგო. პირველი წაგება იგემა „ვესტ ჰემმაც“, ლივერპულში „ევერტონთან“. ამ შეხვედრაშიც, ერთადერთი გოლი გავიდა. თუმც, ლონდონის ორ სხვადასხვა კიდეზე მოღვაწე „ჩელსისაც“ და „ვესტ ჰემსაც“ ორ-ორი თამაში ხელში აქვთ და დაკარგული ქულებით „მანჩესტერს“ უახლოვდებიან — ანუ, პოტენციურად უსწრებენ მეორე-მეოთხე ადგილებზე ჩამომწკრივებულ „ლიდსს“, „არსენალსა“ და „ასტონ ვილას“.

ამათ სამივემ მშვენივრად ითამაშეს გასულ უქმეებზე. გოლი არცერთს არ გაუშვია. „არსენალმა“ სტუმრად გატეხა „საუთჰემპტონი“, თუმც კი ძალიან დიდხანს იწვალა. თერთმეტი წუთიღა რჩებოდა შეხვედრის დასასრულამდე, როცა შეცვლაზე შემოსულმა ტიერი ანრიმ 18 მეტრიდან დააჯახა მოხდენილი. ასევე კენტი გოლით, დიონ დაბლინმა რომ შეუგდო ბრედფორდელ მამლაყინწებს „ვილა პარკზე“, იშოვნა სამი ქულა „ასტონ ვილამ“. „ლიდსმა“ წვიმიან „ელანდ როუდზე“ არ გაანძრია „მიდლსბრო“, რომელსაც აკლდა პოლ გესქოინი, მხცოვანი კაპიტანი ენდი ტაუნსენდი კი „ვესტ ბრომვიჩ ალბიონში“ გაიყიდა 50 ათას ფუნტად. „ბოროს“ პოლ ინსი კაპიტნობდა, მაგრამ მისმა თავგანწირვამ და შორეულმა დარტყმებმა ვერაფერი გააწყო. მაიკლ ბრიჯესმა და ჰარი კიუელმა თითო გოლი გაიტანეს თითო ტაიმში და საქმეც მოათავეს.

ოთხი წუთის მანძილზე სამი გოლი გავიდა ლონდონში, „ვაით ჰართ ლეინზე“, სადაც „ტოტენჰემმა“ გაუძლო „ქოვენთრის“ თავზეხელაღებულ შემოტევას და შეხვედრა მაინც თავის სასარგებლოდ დაასრულა: „ტოტენჰემს“ უშველა თამაშის დასაწყისში სტეფან ივერსენის მიერ შეგდებულმა ბურთმა, მერე ტაიმი ხომ ფრედ, 2:2 დასრულდა.

ლიდერთა მარაქაში გაერია ძალმოსილი „სანდერლენდიც“, რომელიც დერბიში ჩავიდა და იქაურებს ხუთი მშრალი გოლი დაუტოვა. ამგვარი ანგარიშით „სანდერლენდს“ დერბიში 105 წელიწადი იყო, არ მოეგო. ჰეთ თრიქი შეასრულა ნაკრებში ძალამოსინჯულმა კევინ ფილიპსმა, რომელიც 8 ბურთით მეგოლეთა სიას უდგას სათავეში. ფილიპსი ახალი ინგლისური აღმოჩენაა, მედია კი სულ უფრო ხშირად სვამს კითხვას — ხომ არ ზის ინგლისის ნაკრების მომავალი მწვრთნელი, „სანდერლენდის“ მენეჯერის სკამზე? ამ კაცს პიტერ რიდი ჰქვია და ჩანს, ფეხბურთის ნამდვილი პროფესორია.

და ბოლოს მაიკლ ოუენი. წლეულს იგი პირველად გამოჩნდა „ლივერპულის“ ძირითადში და დაბრუნება წყვილი გოლით (ერთი პენალტით) აღნიშნა. „ლივერპული“ ლესტერს სტუმრობდა, იქაური გუნდის ჯიგარი კი ხომ ცნობილია? მენეჯერ მარტინ ონილს უხერხული და ჭკვიანი გუნდი ჰყავს. უკვე წუთნახევარში „ლესტერი“ იგებდა ტონი კოტის უცაბედი გოლით, მაგრამ „ლივერპული“ კარგი საცქერი იყო შეტევაში. ოუენი ძლიერ აქტიურობდა და პენალტიც მისა და პატრიკ ბერგერის კომბინაციას მოჰყვა. გერი ტაგარტმა ჩეხი წააქცია. მალევე ოუენმა მეორეც გაუტანა მასპინძლებს და „ლივერპულმა“ ბურთის გორებას მიჰყო ხელი. ამას ისიც დაერთო, რომ მასპინძელთა მცველ ფრენკ სინკლერი ორი ყვითელის გამ მიაბრძანეს მოედნიდან. ამ თამაშში მეორე გაძევებაც იყო — სტუმარი დევიდ ტომპსონი თამაშის მიწურულს გამოეთხოვა მოედანს. მაგრამ მანამდე იყო „ლესტერის“ უკანმოუხედავი შეტევები და გადამრჩენი გოლი, რომელიც მაზი (მუსტაფა ქემალ) იზეტმა გაუტანა სანდერ ვესტეველდს. 2:2 და „ლესტერსა“ და „ლივერპულის“ გამეზობლება ცხრილის შუაგულში.

**ირაკლი გამყრელიძე**



REUTERS მანჩესტერიდან

მანჩესტერი — უიმბლდონი 1:1. მანჩესტერელ ჰენინგ ბერგს (მარცხნივ) უიმბლდონელი ჯონ ჰართსონი ჩაუწვა

| № | | სულ | | | | | | | შინ | | | | | | | სტუმრად | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ | თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ | თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ |
| 1 | მანჩესტერი | 8 | 6 | 2 | 0 | 20:7 | 13 | 20 | 4 | 3 | 1 | 0 | 12:2 | 10 | 10 | 4 | 3 | 1 | 0 | 8:5 | 3 | 10 |
| 2 | ლიდსი | 8 | 5 | 1 | 2 | 14:9 | 5 | 16 | 4 | 2 | 1 | 1 | 5:3 | 2 | 7 | 4 | 3 | 0 | 1 | 9:6 | 3 | 9 |
| 3 | არსენალი | 8 | 5 | 1 | 2 | 11:7 | 4 | 16 | 4 | 3 | 0 | 1 | 8:4 | 4 | 9 | 4 | 2 | 1 | 1 | 3:3 | 0 | 7 |
| 4 | ასტონ ვილა | 8 | 5 | 1 | 2 | 10:6 | 4 | 16 | 4 | 3 | 1 | 0 | 7:2 | 5 | 10 | 4 | 2 | 0 | 2 | 3:4 | -1 | 6 |
| 5 | სანდერლენდი | 8 | 4 | 2 | 2 | 13:8 | 5 | 14 | 4 | 2 | 2 | 0 | 5:1 | 4 | 8 | 4 | 2 | 0 | 2 | 8:7 | 1 | 6 |
| 6 | ჩელსი | 6 | 4 | 1 | 1 | 9:3 | 6 | 13 | 3 | 3 | 0 | 0 | 6:0 | 6 | 9 | 3 | 1 | 1 | 1 | 3:3 | 0 | 4 |
| 7 | ევერტონი | 8 | 4 | 1 | 3 | 14:9 | 5 | 13 | 4 | 3 | 1 | 0 | 10:2 | 8 | 10 | 4 | 1 | 0 | 3 | 4:7 | -3 | 3 |
| 8 | ვესტ ჰემი | 6 | 4 | 1 | 1 | 9:4 | 5 | 13 | 3 | 3 | 0 | 0 | 4:1 | 3 | 9 | 3 | 1 | 1 | 1 | 5:3 | 2 | 4 |
| 9 | ტოტენჰემი | 7 | 4 | 1 | 2 | 13:10 | 3 | 13 | 4 | 3 | 0 | 1 | 10:7 | 3 | 9 | 3 | 1 | 1 | 1 | 3:3 | 0 | 4 |
| 10 | მიდლსბრო | 8 | 4 | 0 | 4 | 10:12 | -2 | 12 | 4 | 2 | 0 | 2 | 4:6 | -2 | 6 | 4 | 2 | 0 | 2 | 6:6 | 0 | 6 |
| 11 | ლესტერი | 8 | 3 | 2 | 3 | 11:10 | 1 | 11 | 4 | 2 | 2 | 0 | 6:4 | 2 | 8 | 4 | 1 | 0 | 3 | 5:6 | -1 | 3 |
| 12 | ლივერპული | 7 | 3 | 1 | 3 | 10:9 | 1 | 10 | 3 | 1 | 0 | 2 | 4:4 | 0 | 3 | 4 | 2 | 1 | 1 | 6:5 | 1 | 7 |
| 13 | საუთჰემპტონი | 7 | 3 | 0 | 4 | 10:13 | -3 | 9 | 4 | 2 | 0 | 2 | 6:6 | 0 | 6 | 3 | 1 | 0 | 2 | 4:7 | -3 | 3 |
| 14 | უოტფორდი | 8 | 3 | 0 | 5 | 5:8 | -3 | 9 | 4 | 2 | 0 | 2 | 4:4 | 0 | 6 | 4 | 1 | 0 | 3 | 1:4 | -3 | 3 |
| 15 | დერბი ქაუნთი | 8 | 2 | 2 | 4 | 7:14 | -7 | 8 | 4 | 1 | 0 | 3 | 3:10 | -7 | 3 | 4 | 1 | 2 | 1 | 4:4 | 0 | 5 |
| 16 | უიმბლდონი | 8 | 1 | 4 | 3 | 12:17 | -5 | 7 | 4 | 0 | 2 | 2 | 5:7 | -2 | 2 | 4 | 1 | 2 | 1 | 7:10 | -3 | 5 |
| 17 | ქოვენთრი | 8 | 1 | 2 | 5 | 10:13 | -3 | 5 | 4 | 1 | 0 | 3 | 6:7 | -1 | 3 | 4 | 0 | 2 | 2 | 4:6 | -2 | 2 |
| 18 | ბრედფორდი | 7 | 1 | 2 | 4 | 3:9 | -6 | 5 | 3 | 0 | 2 | 1 | 2:5 | -3 | 2 | 4 | 1 | 0 | 3 | 1:4 | -3 | 3 |
| 19 | ნიუკასლი | 8 | 1 | 1 | 6 | 16:19 | -3 | 4 | 4 | 1 | 1 | 2 | 12:6 | 6 | 4 | 4 | 0 | 0 | 4 | 4:13 | -9 | 0 |
| 20 | შეფილდ უენსდი | 8 | 0 | 1 | 7 | 3:23 | -20 | 1 | 4 | 0 | 0 | 4 | 2:8 | -6 | 0 | 4 | 0 | 1 | 3 | 1:15 | -14 | 1 |

### ბომბარდირები

| | |
|---|---|
| ფილიპსი (სანდერლენდი) | 8 |
| კოული (მანჩესტერი) | 6 |
| შირერი (ნიუკასლი) | 6 |

### IX ტური

25 სექტემბერი
არსენალი — უოტფორდი
ქოვენთრი — ვესტ ჰემი
დერბი — ბრედფორდი
ლიდსი — ნიუკასლი
ლესტერი — ასტონ ვილა
ლივერპული — ევერტონი
მანჩესტერი — საუთჰემპტონი
მიდლსბრო — ჩელსი
სანდერლენდი — შეფილდი
25 სექტემბერი
უიმბლდონი — ტოტენჰემი
26 სექტემბერი
ლივერპული — ევერტონი

## პირველი დივიზიონი

VIII ტური

### ბოლტონი 2:2 ბარნსლი

1:0 ტატლი (4ს.კ.), 1:1 ჰაინეტი (16), 1:2 ბერნარდი (54), 2:2 გარდნერი (85)

### ქრიუ 2:1 სუინდონი

1:0 სტრიტი (13), 1:1 ნდა (66), 2:1 სმიტი (81პ)

### კრ. პალასი 3:0 გრიმსბი

1:0 მორისონი (5), 2:0 მულინსი (24), 3:0 სვენსონი (49)

### ფულემი 1:0 ქუინზ პარკი

1:0 პეკისოლიდო (17)

### ჰადერსფილდი 1:0 ნორვიჩი

1:0 ვინჰარდი (51)

### იფსვიჩი 0:1 ბირმინგემი

0:1 ფარლონგი (10პ)

### შეფილდი 1:2 ჩარლტონი

1:0 კაჩურო (2), 1:1, 1:2 ჰანტი (31, 71)

### სტოკპორტი 1:0 პორტ ვეილი

1:0 ნიკოლსონი (15)

### ტრანმერი 2:4 პორტსმუთი

0:1, 0:2 პირონი (2, 17), 0:3 უიტინგემი (39), 0:4 ვლახოსი (48), 1:4 კელი (82), 2:4 ჩელინორი (90)

### უოლსოლი 0:1 სიტი

0:1 გოატერი (34)

### ვესტ ბრომვიჩი 2:2 ბლექბერნი

1:0 კილბეინი (20), 1:1 დეილი (57), 1:2 იანსენი (67), 2:2 კილბეინი (87)

### ნოტინგემი 1:1 ვულვერჰემპტონი

0:1 ბეზელი (18), 1:1 ალუ (46)

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| სიტი | 7 | 5 | 1 | 1 | 11:2 | 16 |
| ბირმინგემი | 8 | 4 | 3 | 1 | 17:11 | 15 |
| იფსვიჩი | 7 | 4 | 2 | 1 | 17:7 | 14 |
| ჰადერსფილდი | 7 | 4 | 1 | 2 | 13:7 | 13 |
| ფულემი | 7 | 3 | 4 | 0 | 8:4 | 13 |
| ბარნსლი | 8 | 4 | 1 | 3 | 19:16 | 13 |
| ჩარლტონი | 5 | 4 | 0 | 1 | 9:5 | 12 |
| სტოკპორტი | 6 | 4 | 0 | 2 | 7:5 | 12 |
| პორტსმუთი | 7 | 3 | 3 | 1 | 10:10 | 12 |
| ნოტინგემი | 8 | 2 | 4 | 2 | 10:9 | 10 |
| ბლექბერნი | 6 | 2 | 2 | 2 | 9:7 | 8 |
| ქუინზ პარკი | 6 | 2 | 2 | 2 | 9:8 | 8 |
| ვესტ ბრომვიჩი | 6 | 1 | 5 | 0 | 7:6 | 8 |
| ქრიუ | 6 | 2 | 2 | 2 | 10:11 | 8 |
| ნორვიჩი | 8 | 2 | 2 | 4 | 7:10 | 8 |
| შეფილდ იუნ. | 7 | 2 | 2 | 3 | 10:15 | 8 |
| გრიმსბი | 8 | 2 | 2 | 4 | 6:11 | 8 |
| პორტვეილი | 8 | 2 | 1 | 5 | 9:13 | 7 |
| კრ. პალასი | 7 | 2 | 1 | 4 | 11:17 | 7 |
| ვულვერჰემპტონი | 6 | 1 | 3 | 2 | 5:6 | 6 |
| ბოლტონი | 7 | 1 | 3 | 3 | 8:10 | 6 |
| უოლსოლი | 8 | 1 | 3 | 4 | 7:14 | 6 |
| სუინდონი | 7 | 1 | 2 | 4 | 5:10 | 5 |
| ტრანმერი | 8 | 1 | 1 | 6 | 5:15 | 4 |

## მეორე დივიზიონი

VIII ტური. ბლექპული — ბორნმუთი 0:0; ბრენტფორდი — ლუთონი 2:0; როვერსი — ოლდემი 3:2; ბარნლი — კოლჩესტერი 3:0; ბერი — უიკომბი 2:0; კარდიფი — ნოტსი 2:1; ჯილინგემი — პრესტონი 0:2; მილუოლი — კემბრიჯი 2:1; რედინგი — ჩესტერფილდი 1:0; სკანთორპი — ბრისტოლი 1:2; სტოკი — უიგანი 1:1; რექსჰემი — ოქსფორდი 1:0

## მესამე დივიზიონი

VII ტური. ბარნეტი — ნორთჰემპტონი 2:1; ბრაიტონი — ჩესტერი 2:3; დარლინგტონი — მენსფილდი 0:0; ექსეტერი — იორკი 2:1; ჰარტლპული — პლიმუთი 3:0; ჰალი — სუონსი 2:0; ლეიტონი — ტორკი 0:2; ლინკოლნი — მაკლსფილდი 1:1; პეტერბრო — ჩელტენემი 1:0; როტერჰემი — როჩდეილი 0:1; შრიუსბერი — კარლაისლი 4:1; საუთენდი — ალიფაქსი 4:1

## გერმანია

V ტური

**ფრაიბურგი 5:0 ჰანზა**

1:0 მიულერი (11), 2:0 სელიმი (25პ), 3:0 ბაია (37), 4:0, 5:0 სელიმი (42, 77)
სელიმიმ ვერ გაიტანა პენალტი (42)
ფრაიბურგი: გოლცი, შუმანი, მიულერი, ჰერმელი, ვილი (კოლი 17), გიუნეში (ვაისჰაუპტი 76), ბაია, ცაიერი, კობიაშვილი, იაშვილი (ბენ სლიმანი 69), სელიმი
ჰანზა: პიკენჰაგენი, ელერსი, ჰოლეჩეკი, ოსვალდი, ვაილანდტი, ლანგე (რამდანე 85), ვიბრანი, იასერი, ემარა, აგალი (არვიდსონი 46), კოვაჩიჩი (მაიაკი 29)
გაფრთხილება: მაიაკი, ვაილანდტი
გაძევება: იასერი (25)
მსაჯი: ვაგნერი

**აინტრახტი 1:2 ბაიერნი**

1:0 სალუ (20), 1:1 ელბერი (66), 1:2 კუფური (80)
ფიორტოფტმა ვერ გაიტანა პენალტი (52)
აინტრახტი: ნიკოლოვი, იანსენი, ბინდევალდი, კუჩერა, კრახტი, შური (დომბი 33), გუი-მიენი, ჰელდტი, ვებერი (ფალკი 85), სალუ, ფიორტოფტი (ჩენ იანგი 65)
ბაიერნი: კანი (დრეერი 53, ტარნატი 64), შტრუნცი, ლინკე, კუფური, სალიჰამიჯიჩი, ფინკი, ეფენბერგი, ლიზარაზუ, ვისინგერი (შოლი 37), იანკერი, ელბერი
გაფრთხილება: ლიზარაზუ, კუფური, შტრუნცი
მსაჯი: ჰაინემანი

**ჰერტა 0:0 ლევერკუზენი**

ჰერტა: კირალი, შმიდტი, ჰერცოგი, ვან ბურიკი, კონსტანტინიდისი, ტომი, დარდაი (არაჩიჩი 82), ნოიენდორფი (დაისლერი 62), მიხალკე (სანე 84), დაეი, პრეეცი
ლევერკუზენი: მატიშეკი, ნ. კოვაჩი, ნოვოტნი, რამელო, ბრდარიჩი, ემერსონი, გრეშკო, შნაიდერი, ზე რობერტო (ბაინლიხი 46), ნოივილი (ჰეიდუკი 84), კირსტენი
გაფრთხილება: დარდაი, კოვაჩი, რამელო, ბრდარიჩი
მსაჯი: შტარკი

**მიუნხენი 0:3 დორტმუნდი**

0:1 მიოლერი (24), 0:2 კურცი (37ს.კ.), 0:3 ბობიჩი (49)
მიუნხენი: მ. ჰოფმანი, პასლაკი (გრაილიხი 31), ვანენბურგი, კურცი, ჩერნი, რიდლი (პროსენიკი 65), ჰესლერი, ტაისი, პიურკი, ვინკლერი, მაქსი (შროტი 58)
დორტმუნდი: ლემანი, კოლერი, როიტერი, ფაიერზინგერი, ევანილსონი (ბაუმანი 83), რიკენი (ვ. ბუტი 86), ნერლინგერი, დედე, ადო, ბობიჩი, მიოლერი (რეინა 69)
გაფრთხილება: პასლაკი, ვანენბურგი, ჩერნი, ვინკლერი, როიტერი
მსაჯი: მერკი

**ლაუტერნი 2:0 ჰამბურგი**

1:0 კოხი (23), 2:0 მარშალი (35)
კაიზერსლაუტერნი: რაინკე, რამზი, როოსი (ტარე 90), კოხი, შტრასერი (რაიხი 46), სფორცა, რატინიო (სობოჩიკი 80), კომლიენოვიჩი, ვაგნერი, მარშალი, ჯორკაეფი
ჰამბურგი: ჰ. ბუტი, პანადიჩი, ჰოოგმა (დემბინსკი 86), ჰერჩი, გროთი, რ. კოვაჩი, კარდოზო, ჰოლერბახი (გრამოცისი 46), მაჰდავიკია (ჰაშემიანი 54), იებოა, პრეგერი
გაფრთხილება: ჰოლერბახი, პრეგერი, ჰერჩი
გაძევება: ვაგნერი (84)
მსაჯი: ბუხჰარტი

**ვოლფსბურგი 2:7 ვერდერი**

1:0 იუსკოვიაკი (4), 1:1 ბოდე (25), 2:1 აკპობორი (37), 2:2 ბოდე (40), 2:3 აილტონი (42), 2:4, 2:5, 2:6 პიზარო (46, 70, 83), 2:7 ბოდე (88)
ვოლფსბურგი: რაიტმაიერი, ონილი, ტომსენი, მალტრიცი, გრაინერი, ნოვაკი, ვაიზერი (ბანზა 59), მუნტიანუ (ვუკი 46), აკონორი, იუსკოვიაკი, აკპობორი
ვერდერი: როსტი, ტიკუზუ, ბაუმანი, სეზარი, ვიდნერი, ფრინგსი (ფლოკი 80), აილტსი (ჩანკო 66), ვიკი, ბოდე, პიზარო, აილტონი (დაბროვსკი 75)
გაფრთხილება: აილტსი
მსაჯი: ალბრეხტი

**შალკე 1:0 უნტერჰახინგი**

1:0 სანდი (77)
რაკლიმ ვერ გაიტანა პენალტი (12)
შალკე: შობერი, დე კოკი, ვალდოხი, ტონი (ბიუსკენსი 21), აიგენრაუხი (ჰელდი 68), ალპუგანი, ნემეცი, გუსენსი (ლატალი 56), ვილმოტსი, სანდი, ასამოა
უნტერჰახინგი: ვიტმანი, ბერგენი, შტრემელი, ზაიფერტი, მატიას ციმერმანი, ობერლაიტნერი (მარკ ციმერმანი 81), შვარცი, კიოგლი (ჰერტლი 46), შტრაუბე, რაკლი (ტამენი 75), ზაიტცი
გაფრთხილება: ასამოა, შტრემელი, ობერლაიტნერი
მსაჯი: მაიერი

**შტუტგარტი 4:2 დუისბურგი**

1:0 ბორდონი (18), 1:1 ჰირში (30), 2:1 განეა (44), 2:2 ბაიერლე (59), 3:2 განეა (75), 4:2 ტიოფტინგი (77ს.კ.)
შტუტგარტი: ჰოლერიტი, ტიამი, ბორდონი, ბერთოლდი, კელერი, პინტო, სოლდო, ბალაკოვი (ლისტეში 66), კარნელი (გერბერი 84), დანდი (კუკა 46), განეა
დუისბურგი: მენგერი, ვოლერტი, ემერლინგი, კოვაჩევიჩი, ჰოერსენი (ვოლტერსი 58), ტიოფტინგი, მ. შნაიდერი, ცაიერი, ჰირში, ბაიერლე, ოსტჰოფი (ბუგერა 66)
გაფრთხილება: კარნელი, სოლდო, ბერთოლდი, ტიოფტინგი, ოსტჰოფი, ჰირში
მსაჯი: ბერგი

**ულმი 2:0 არმინია**

1:0 ზდრილიჩი (15), 2:0 შარინგერი (28)
ულმი: ლაუქსი, ბოდოგი, შტადლერი, მარკესი, კინკელი, პლოილერი (კონრადი 90), ოტო, გორა, შარინგერი, უნზოლდი, ზდრილიჩი (ტრკულია 85)
არმინია: კოხი, პიტერსი, ბაგერი (გიოქთანი 59), კლიცპერა, რიდლევიჩი (ბოდე 29), მაისნერი, ჰოფშნაიდერი, ვაისენბერგერი (ბიომე 29), მაული, ლაბადია, ვან დერ ვენი
გაფრთხილება: ზდრილიჩი, პლოილერი, კლიცპერა, პიტერსი, გიოქთანი
მსაჯი: შტრამპე

# 36 წუთი უმეკაროდ!


REUTERS ფოტოქრონიკიდან

აინტრახტი — ბაიერნი 1:2. მიუნხენის „ბაიერნის“ ახლადგამომცხვარი მეკარე მიხაელ ტარნატი

გასულ პარასკევს ბუნდესლიგის ჩემპიონატს ალექსანდრე იაშვილი დაუბრუნდა. შვიდთვიანი შესვენების შემდეგ გამოჯანმრთელებულმა ქართველმა ფორვარდმა „ფრაიბურგის“ ძირითადში ითამაშა და არცთუ ურიგოდ. იაშვილმა საშუალოზე კარგი შეფასება — 2,5 დაიმსახურა, ხოლო „ფრაიბურგმა“ შინ როსტოკის „ჰანზას“ პატარა გაკვეთილი ჩაუტარა, 5:0 მოუგო და ახალი საკლუბო რეკორდი დაამყარა. აქამდე გუნდის საუკეთესო შედეგად 1994 წელს მიუნხენის „ბაიერნის“ 5:1 დამარცხება ითვლებოდა.

მასპინძლებმა „ჰანზასთან“ მართლაც შთამბეჭდავად ითამაშეს და მეტოქე პირველივე ტაიმში გაანადგურეს. პირველი ორი გოლი თითქმის მსგავსი კომბინაციების შემდეგ გავიდა. მე-11 წუთზე კობიაშვილის ჩაწოდებულ კუთხურს მიულერი გამოეხმაურა, რომლის თავურმაც „ფრაიბურგი“ დააწინაურა. 25-ე წუთზე კვლავ კობიაშვილმა ჩააწოდა კუთხურიდან, ბურთს ისევ მიულერი დახვდა, მაგრამ ამჯერად მისი თავით დარტყმული იასერმა კარის ხაზიდან ხელით მოიგერია. მსაჯმა პენალტიც დანიშნა და იასერიც გააძევა. სელიმიმ პენალტი ზუსტად შეასრულა. პირველი ტაიმის მიწურულს კი ბაიამ და იმავე სელიმიმ კიდევ ორი გოლი დაამატეს და „ფრაიბურგიც“ შესვენებაზე ოთხბურთიანი უპირატესობით წავიდა.

მეორე ნახევარში მასპინძლები კვლავ დიდ უპირატესობას ფლობდნენ, გოლი კი მხოლოდ ერთხელ გაიტანეს. 77-ე წუთზე სელიმიმ ჰეთ თრიქი შეასრულა.

„პირველი გოლის მერე თამაში აშკარად წაგვივიდა. დღეს პირველი ორი ბურთი კუთხურების შემდეგ გავიტანეთ, რაც იმის შედეგია, რომ ამ კომპონენტის დახვეწაზე გამუდმებით ვვარჯიშობთ. მეორე ტაიმში ცოტა კი მოვეშვით, მაგრამ მატჩის სადავეები ხელიდან არ გაგვიშვია და დამსახურებულადაც გავიმარჯვეთ“ — თქვა თამაშის შემდეგ მასპინძელთა თავკაცმა ფოლკერ ფინკემ.

დრამატიზმით აღსავსე გამოდგა ტურის ცენტრალური მატჩი — ფრანკფურტში „აინტრახტმა“ „ბაიერნს“ უმასპინძლა. ამ შეხვედრაში სტუმართა რიგებში კვლავ გამოჩნდა ელბერ-იანკერის მრისხანე დუეტი, რომელმაც „აინტრახტს“ უამრავი უსიამოვნო წუთი გადაატანინა. მე-20 წუთზე მასპინძლებმა სწრაფი კონტრშეტევა განახორციელეს და კანთან პირისპირ გასულმა სალუმაც ანგარიში გახსნა. პირველ 45 წუთში მიუნხენელებმა ნიკოლოვის კართან 3-4 რეალური მომენტი შექმნეს, თუმცა ვერ გამოიყენეს. 52-ე წუთზე კი „აინტრახტმა“ მეორე გოლის გატანის ასპროცენტიანი შანსი დაკარგა — კანმა ფიორტოფტს პენალტი აუღო. წუთის შემდეგ კუფურისა და კანის შეჯახება მეკარის ტვინის შერყევით დასრულდა. ერთი კვირის წინ გამოჯანმრთელებული კანი კვლავ დრეერმა შეცვალა. მე-60 წუთზე დრეერს ფეხი გადაუბრუნდა, მასთან სასწრაფოდ ექიმები გაჩნდნენ და მალე თამაშიც გაგრძელდა, თუმცა... „ბაიერნის“ კარის დარაჯს ზურგზე დრეერი კი ეწერა, მაგრამ სინამდვილეში ნახევარმცველი მიხაელ ტარნატი იყო. ექიმებმა დრეერს ვერაფერი უშველეს და მიუნხენელთა მწვრთნელი ოტმარ ჰიცფელდიც იძულებული გახდა, კარში ტარნატი ჩაეყენებინა. ეს გადაწყვეტილება მან ფეხბურთელებთან მცირე თათბირის შემდეგ მიიღო. თითქმის ამას ელოდაო, „ბაიერნი“ შეიკრა და მობილურ გუნდად გადაიქცა.

დარჩენილ 36 წუთში (მსაჯმა მატჩს 6 წუთი დაამატა) „აინტრახტმა“ მხოლოდ სამჯერ შეძლო ფაქტობრივად უმეკარეო კარში დარტყმა და სამჯერვე შორიდან. ორჯერ ბურთი დიდი მანძილით ასცდა კარს. 88-ე წუთზე კი „ბაიერნი“ ტარნატმა იხსნა — ფიორტოფტის დარტყმული მცველს მოხვდა და მიმართულება იცვალა. ახალგამომცხვარმა მეკარემ თავიდან არასწორი რეაქცია გააკეთა, მაგრამ წამოდგომა და საპირისპირო მხარეს გადახტომა მოასწრო და ბურთი ზედ კარის ხაზიდან მოიგერია. ამ დროს ანგარიში უკვე 2:1 იყო. „ბაიერნი“ იგებდა. მიუნხენელთაგან გოლები ელბერმა და კუფურმა გაიტანეს. სტუმრებმაც საბოლოოდ 2:1 მოიგეს.

„ეს გამარჯვება ძალიან ძვირი დაგვიჯდა. ორი მეკარე დაგვიშავდა, წინ კი უძნელესი კვირა გველის, ძალიან გაგვიჭირდება — ოტმარ ჰიცფელდი უკვე შოტლანდიურ „რეინჯერსთან“ მომავალ მატჩზე ფიქრობს.

ბერლინში „ჰერტამ“ „ლევერკუზენს“ უმასპინძლა, ვერც გაიტანა, არც გაუშვა და ფრეს დასჯერდა. არადა, გოლის გასატანად ორივე გუნდს უამრავი შანსი ჰქონდა, განსაკუთრებით კი „ლევერკუზენს“. საბოლოოდ მატჩი ფრედ 0:0 დასრულდა.

სამშაბათს ჩემპიონთა ლიგის შეხვედრაში სტუმრად „ფეიენოორდთან“ მოპოვებული ქულის შემდეგ „დორტმუნდი“ „მიუნხენ 1860“-ს ეწვია და ძალიან იოლად 3:0 მოუგო. სტუმრებმა თავიდანვე ხელთ იგდეს უპირატესობა და პირველი ტაიმის შუაგულში დაწინაურდნენ კიდეც — მატჩის ერთ-ერთმა საუკეთესო ფეხბურთელმა ანდრეას მიოლერმა კარგად გამოიყენა თავისი შანსი. 37-ე წუთზე ისევ მან იაქტიურა, რის შემდეგაც კურცმა საკუთარ კარში ჩაჭრა ბურთი — 0:2. მატჩს კი ულამაზესი დარტყმით მეორე ნახევრის დასაწყისშივე დაუსვა წერტილი ბოლო ხანს ჩინებულ ფორმაში მყოფმა ფრედი ბობიჩმა. მიუნხენელთაგან თუ ვინმეს ეთქმოდა მონდომებული, სეზონის წინ „დორტმუნდიდან“ გადასულ თომას ჰესლერს, რომელსაც სკიბესთან თავისი ანგარიშები ჰქონდა გასასწორებელი, მაგრამ არაფერი გამოუვიდა. სკიბემ ყველაფერი გათვალა და შეგირდებს ჰესლერთან მჭიდროდ თამაში დაავალა. ჩანაფიქრმა მწვრთნელს გაუმართლა.

როგორც ჩანს, კრიზისიდან გამოდის ოტო რეჰაგელის „კაიზერსლაუტერნი“. ამის მიზეზი კი გუნდში გამეფებული ჰარმონიაა. სფორცა და რეჰაგელი ამას წინათ შერიგდნენ, მწვრთნელმა ფეხბურთელს კრიტიკა აპატია და ძირითადშიც დააყენა. ხუთშაბათს უეფას თასზე შოტლანდიის „კილმარნოკის“ 3:0 ძლევის შემდეგ „ლაუტერნმა“ არც ლიდერი „ჰამბურგი“ დაინდო და შინ 2:0 დაამარცხა. მატჩის ბედი პირველივე ტაიმში გადაწყდა. 23-ე წუთზე კოხის გოლს 12 წუთში მარშალმა მეორეც დაუმატა. „ჰამბურგი“ ძალიან კი ცდილობდა, მაგრამ ვერაფერი გააწყო, ის კი არა, უფრო დიდი ანგარიშითაც წააგებდა, სფორცას ან მარშალს მეორე ტაიმში რეალურზე რეალური შანსები რომ გამოეყენებინათ.

ერთი კვირის განმავლობაში ზედიზედ მესამედ იმარჯვა დიდი ანგარიშით ბრემენის „ვერდერმა“. „ლაუტერნის“ 5:1 და უეფას თასზე ნორვეგიული „ბოდიო გლიმტის“ 5:0 განადგურების შემდეგ „ვერდერმა“ სტუმრად „ვოლფსბურგს“ მოუღო ბოლო — 7:2. აღსანიშნავია, რომ მასპინძლები შეხვედრას ორჯერ იგებდნენ.

**ვანო ოქროპირიძე**

| № | | სულ | | | | | | | შინ | | | | | | | სტუმრად | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ | თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ | თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ |
| 1 | ლევერკუზენი | 5 | 3 | 2 | 0 | 7:3 | 4 | 11 | 2 | 2 | 0 | 0 | 5:2 | 3 | 6 | 3 | 1 | 2 | 0 | 2:1 | 1 | 5 |
| 2 | ჰამბურგი | 5 | 3 | 1 | 1 | 13:6 | 7 | 10 | 2 | 2 | 0 | 0 | 8:1 | 7 | 6 | 3 | 1 | 1 | 1 | 5:5 | 0 | 4 |
| 3 | დორტმუნდი | 5 | 3 | 1 | 1 | 7:3 | 4 | 10 | 2 | 1 | 1 | 0 | 3:2 | 1 | 4 | 3 | 2 | 0 | 1 | 4:1 | 3 | 6 |
| 4 | ბაიერნი | 5 | 3 | 1 | 1 | 7:6 | 1 | 10 | 2 | 1 | 1 | 0 | 3:2 | 1 | 4 | 3 | 2 | 0 | 1 | 4:4 | 0 | 6 |
| 5 | ვერდერი | 5 | 2 | 2 | 1 | 13:4 | 9 | 8 | 2 | 1 | 0 | 1 | 5:1 | 4 | 3 | 3 | 1 | 2 | 0 | 8:3 | 5 | 5 |
| 6 | ფრაიბურგი | 5 | 2 | 2 | 1 | 12:5 | 7 | 8 | 3 | 2 | 0 | 1 | 10:3 | 7 | 6 | 2 | 0 | 2 | 0 | 2:2 | 0 | 2 |
| 7 | აინტრახტი | 5 | 2 | 1 | 2 | 9:8 | 1 | 7 | 3 | 1 | 1 | 1 | 6:4 | 2 | 4 | 2 | 1 | 0 | 1 | 3:4 | -1 | 3 |
| 8 | შალკე | 5 | 2 | 1 | 2 | 6:7 | -1 | 7 | 3 | 1 | 1 | 1 | 3:4 | -1 | 4 | 2 | 1 | 0 | 1 | 3:3 | 0 | 3 |
| 9 | ვოლფსბურგი | 5 | 2 | 1 | 2 | 7:10 | -3 | 7 | 3 | 2 | 0 | 1 | 6:8 | -2 | 6 | 2 | 0 | 1 | 1 | 1:2 | -1 | 1 |
| 10 | არმინია | 5 | 1 | 3 | 1 | 4:4 | 0 | 6 | 2 | 0 | 2 | 0 | 1:1 | 0 | 2 | 3 | 1 | 1 | 1 | 3:3 | 0 | 4 |
| 11 | ჰერტა | 5 | 1 | 3 | 1 | 8:9 | -1 | 6 | 3 | 1 | 2 | 0 | 6:3 | 3 | 5 | 2 | 0 | 1 | 1 | 2:6 | -4 | 1 |
| 12 | უნტერჰახინგი | 5 | 2 | 0 | 3 | 4:5 | -1 | 6 | 2 | 2 | 0 | 0 | 4:0 | 4 | 6 | 3 | 0 | 0 | 3 | 0:5 | -5 | 0 |
| 13 | მიუნხენი | 5 | 2 | 0 | 3 | 7:9 | -2 | 6 | 3 | 2 | 0 | 1 | 6:4 | 2 | 6 | 2 | 0 | 0 | 2 | 1:5 | -4 | 0 |
| 14 | ლაუტერნი | 5 | 2 | 0 | 3 | 5:11 | -6 | 6 | 3 | 2 | 0 | 1 | 3:2 | 1 | 6 | 2 | 0 | 0 | 2 | 2:9 | -7 | 0 |
| 15 | ჰანზა | 5 | 2 | 0 | 3 | 8:15 | -7 | 6 | 2 | 2 | 0 | 0 | 6:3 | 3 | 6 | 3 | 0 | 0 | 3 | 2:12 | -10 | 0 |
| 16 | ულმი | 5 | 1 | 1 | 3 | 5:8 | -3 | 4 | 3 | 1 | 1 | 1 | 3:2 | 1 | 4 | 2 | 0 | 0 | 2 | 2:6 | -4 | 0 |
| 17 | შტუტგარტი | 5 | 1 | 1 | 3 | 5:9 | -4 | 4 | 3 | 1 | 1 | 1 | 5:4 | 1 | 4 | 2 | 0 | 0 | 2 | 0:5 | -5 | 0 |
| 18 | დუისბურგი | 5 | 0 | 2 | 3 | 5:10 | -5 | 2 | 2 | 0 | 1 | 1 | 1:2 | -1 | 1 | 3 | 0 | 1 | 2 | 4:8 | -4 | •1 |

**ბომბარდირები**

| | |
|---|---|
| სალუ (აინტრახტი) | 5 |
| ბოდე (ვერდერი) | 4 |
| პიცარო (ვერდერი) | 4 |
| პრეგერი (ჰამბურგი) | 4 |
| სალიმი (ფრაიბურგი) | 4 |

**VI ტური**

26 სექტემბერი

დუისბურგი - შალკე
ჰანზა - მიუნხენი
დორტმუნდი - აინტრახტი
ვერდერი - ულმი
არმინია - ფრაიბურგი
ბაიერნი - შტუტგარტი
ლევერკუზენი - ლაუტერნი
ჰამბურგი - ვოლფსბურგი
უნტერჰახინგი - ჰერტა

## მეორე ბუნდესლიგა

V ტური

**კარლსრუე 1:1 ოფენბახი**

0:1 დამა (28), 1:1 არნოლდი (62)

**ზტ. პაული 0:2 გლადბახი**

0:1, 0:2 კეტელაერი (8, 43)

**ობერჰაუზენი 3:0 ბოხუმი**

1:0, 2:0 ლიპინსკი (13, 64პ), 3:0 ვიერი (88პ)

**ხემნიცი 1:1 მაინცი**

1:0 მელჰორნი (36), 1:1 პოლიკელა (87)

**ფიურტი 0:0 კიკერსი**

**ჰანოვერი 3:1 ფორტუნა**

1:0, 2:0 კროიცი (29, 43პ), 3:0 მილოვანოვიჩი (67), 3:1 ლექსი (75)

**კოტბუსი 2:0 ნიურნბერგი**

1:0 ლაბაკი (28), 2:0 ფრანკლინი (77)

**ალემანია 2:1 ვალდჰოფი**

0:1 პასიეკი (16), 1:1 შმიდტი (67პ), 2:1 ვანდერბროკი (88)

**კიოლნი — ბერლინი**

წუხელ გვიან გაიმართა

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| კოტბუსი | 5 | 4 | 0 | 1 | 11:1 | 12 |
| კიოლნი | 4 | 3 | 1 | 0 | 8:3 | 10 |
| ჰანოვერი | 5 | 3 | 1 | 1 | 12:8 | 10 |
| ნიურნბერგი | 5 | 3 | 1 | 1 | 9:5 | 10 |
| ალემანია | 5 | 3 | 1 | 1 | 10:10 | 10 |
| ფიურტი | 5 | 2 | 3 | 0 | 5:3 | 9 |
| ბერლინი | 4 | 2 | 2 | 0 | 9:6 | 8 |
| ბოხუმი | 5 | 2 | 1 | 2 | 10:7 | 7 |
| ხემნიცი | 5 | 2 | 1 | 2 | 6:6 | 7 |
| კარლსრუე | 5 | 1 | 3 | 1 | 8:7 | 6 |
| ფორტუნა | 5 | 2 | 0 | 3 | 5:8 | 6 |
| ვალდჰოფი | 5 | 1 | 2 | 2 | 8:8 | 5 |
| კიკერსი | 5 | 1 | 2 | 2 | 6:11 | 5 |
| ობერჰაუზენი | 5 | 1 | 1 | 3 | 8:11 | 4 |
| მაინცი | 5 | 0 | 3 | 2 | 4:8 | 3 |
| გლადბახი | 5 | 1 | 0 | 4 | 5:10 | 3 |
| ზტ. პაული | 5 | 0 | 2 | 3 | 1:6 | 2 |
| ოფენბახი | 5 | 0 | 2 | 3 | 3:10 | 2 |

## იტალია

# ქუხილი მესამე ტურში

### III ტური

**ბარი 1:1 მილანი**

1:0 ოსმანოვსკი (12), 1:1 სერჟინიო (34)
ბარი: მანჩინი, დე როსა, გრაცია, ინოჩენტი, ფერარი, დელ გროსო, ანდერსონი, პეროტა (მარკოლინი 71), კოლაუტო (ჯორჯეტი 53), ოსმანოვსკი, მასინგა (სპინეზი 85)
მილანი: აბიატი, მალდინი, კოსტაკურტა, აიალა, სერჟინიო, ჯუნტი (დე აშენტისი 86), ამბროზინი (გატუზო 61), გული (შელვეგი 73), ვეა, შევჩენკო, ბირჰოფი
გაფრთხილება: კოსტაკურტა, ფერარი, კოლაუტო
მსაჯი: ჩეზარი

**ბოლონია 0:1 რეჯინა**

0:1 პოსანძინი (74)
ბოლონია: პალიუკა, ფალკონე (ბოზელი 26, ფონტოლანი 73), პაგანინი, ბია, ტარანტინო, ბინოტო, ინგესონი, ზე ელიასი, ნერვო (ერიბერტო 46), სინიორი, სანჩესი
რეჯინა: ორლანდონი, ჯაკეტა, ჩირილო, სტოვინი, ბერნინი, ბარონიო (პოლი 75), ბრევი, მორაბიტო, პრალია (მარტინო 62), პოსანძინი, კალონი (პირლო 70)
გაფრთხილება: პოსანძინი, ინგესონი, ბია, სანჩესი, ჯაკეტა, პაგანინი, პოლი
მსაჯი: ფარინა

**ფიორენტინა 4:1 ვერონა**

1:0, 2:0 ბატისტუტა (17, 31), 3:0 კიეზა (48), 3:1 მელისი (69), 4:1 ბატისტუტა (81)
ფიორენტინა: ტოლდო, რეპკა, პადალინო, ადანი (ტაროცი 79), ბრესანი, ამორი, ამოროზო, ჰაინრიხი, რუი კოშტა (როსიტო 77), კიეზა (ბალბო 66), ბატისტუტა
ვერონა: ბატისტინი, დიანა, გონელა, ფრანჩესკეტი (ფილიპინი 54), მეძანო (სერიჩი 54), ჯანდებიაჯი, მარასკო, კოლუჩი, მელისი, ალიეტი, კამარატა (სპეშარი 61)
გაფრთხილება: ამორი, გონელა
მსაჯი: ტრენტალანჯე

**ინტერი 5:1 პარმა**

1:0 სამორანო (7), 1:1 კრესპო (14), 2:1 ვიერი (17), 3:1 მორიერო (38), 4:1 სამორანო (63), 5:1 ტურამი (71ს.კ.)
ინტერი: პერუცი, პანუჩი, ბლანი, სიმიჩი, მორიერო (დაბო 75), ძანეტი, სოუზა (კოე 56), დი ბიაჯო, გეორგატოსი, სამორანო, ვიერი (რეკობა 77)
პარმა: ბუფონი, ლასისი, ტურამი, კანავარო, სერენა (ბრედა 46), ფუზერი, დ. ბაჯო, ვანოლი, ორტეგა, კრესპო, დი ვაიო (ამოროზო 46)
გაფრთხილება: ორტეგა, პანუჩი, ტურამი
მსაჯი: დე სანტისი

**იუვენტუსი 4:1 უდინეზე**

1:0 დელ პიერო (20პ), 2:0, 3:0 ფ. ინძაგი (22პ, 39), 4:0 ძამბროტა (48), 4:1 ბისგაარდი (82)
იუვენტუსი: ვან დერ სარი, ფერარა, მონტერო, იულიანო, კონტე (ბირინდელი 84), ტაკინარდი, დავიდსი, ძამბროტა (ბაკინი 22), ზიდანი, ფ. ინძაგი, (კოვაჩევიჩი 81), დელ პიერო
უდინეზე: ტურჩი, სოტილი, გარგო, ბერტოტო, ჟენო, ჯანიკედა, ვან დერ ვეგტი (ბისგაარდი 65), იორგენსენი (მარგიოტა 31), ფიორე, ვარლეი, მუცი
გაფრთხილება: ტურჩი, მუცი, იულიანო, ბერტოტო, სოტილი
მსაჯი: ტომბოლინი

**ლაციო 3:0 ტორინო**

1:0 ვერონი (14პ), 2:0 ს. ინძაგი (45), 3:0 სალასი (43)
ლაციო: მარკეჯანი (ბალოტა 46), ნეგრო, ნესტა, სენსინი, ფავალი, კონსეისაო (სტანკოვიჩი 79), ვერონი, სიმეონე, ნედვედი, ინძაგი (ალმეიდა 75), სალასი
ტორინო: ბუჩი, ბონომი, ფიკადენტი (კუდინი 29), დიავარა, მენდესი, პეკია, სკარკილი (ივიჩი 52), კოკო, ასტა (ტრიკარიკო 59), ფერანტე, ლენტინი
გაფრთხილება: ფიკადენტი, სალასი
მსაჯი: ბრასკი

**პერუჯა 3:0 კალიარი**

1:0 ნაკატა (15), 2:0 მატერაცი (31), 3:0 მელი (38)
პერუჯა: მაძანტინი, დაინო, კალორი, მატერაცი, მილანეზე, ბა (სუსი 83), ოლივე, ტედესკო, რაპაიჩი (ესპოზიტო 74), ნაკატა, მელი (გუიდონი 83)
კალიარი: სკარპი, დი ლისო (მორფეო 46), ვილა, ლოპესი, გრასადონია, მაკელარი, ბერეტა, ონილი (კონტი 64), დე პარტე, მბომა (კორადი 69), ოლივეირა
გაფრთხილება: დი ლისო, ოლივე, ბერეტა, კონტი
მსაჯი: კოლინა

**პიაჩენცა 1:1 ლეჩე**

1:0 დიონიჯი (4), 1:1 ლუკარელი (41)
პიაჩენცა: რომა, ა. ლუკარელი, დელი კარი, ვერხოვოდი, მანიგეტი, პიოვანი (ბუზო 69), კრისტალინი, მაცოლა, სტროპა (მორონე 56), რასტელი (დი ნაპოლი 56), დიონიჯი
ლეჩე: კიმენტი, ხუარესი, ვიალი, სავინო, ბალერი (კოლონელო 61), კონტიკიო, ლიმა (დი კარლო 78), პიანჯერელი, ტრავერსა, სესა, კ. ლუკარელი (პივოტო 90)
გაფრთხილება: მაცოლა, სტროპა, ვერხოვოდი, მორონე, სავინო
მსაჯი: პაპარესტა

**ვენეცია 1:3 რომა**

0:1, 0:2 დელვეკიო (39, 45), 1:2 პეტკოვიჩი (58), 1:3 ალეინიჩევი (72)
ვენეცია: კონსელი, ბილიკა, ლუპი, პავანი, ვალტოლინა (მარანგონი 84), პედონე, ვოლპი, ნანამი (იაკიმი 77), ბეტარინი, ბორგობელო (კიულო 72), პეტკოვიჩი
რომა: ანტონიოლი, ძაგო, ალდაირი, მანგონი, კაფუ, ასუნსაო, ტომაზი, კანდელა, ტოტი (ფაბიო ჟუნიორი 84), მონტელა (ალეინიჩევი 55), დელვეკიო
გაფრთხილება: ნანამი, ვალტოლინა, ლუპი, ვოლპი, ასუნსაო, ტოტი, კანდელა
მსაჯი: პელეგრინო

სერია A-ს ქვემეხებმა ერთდროულად დაიქუხეს: „ინტერმა“ „პარმას“ 5:1 მოუგო, ერთნაირი ანგარიშით, 4:1 გაიმარჯვეს „იუვენტუსმა“ და „ფიორენტინამ“ („უდინეზესა“ და „ვერონასთან“), „რომამ“ 3:1 სძლია „ვენეციას“, ხოლო „ლაციომ“ უძლიერეს 18 გუნდში ახალდაბრუნებულ „ტორინოს“ 3:0 აჯობა. ჩემპიონი, „მილანი“ კი მათ ფონზე მოკრძალებულად გამოჩნდა — ბარიში, კოკისპირულ წვიმაში 1:1 ითამაშა.

„ლაციოს“ უნდა მოეგო. მან სხვა თამაშებიც (უმრავლესობა მაინც) უნდა მოიგოს, ვინაიდან რომში საკითხი მკაფიოდ დგას: რადგან ბოლო ორი სეზონია, გუნდი სკუდეტოს ეპოტინება, მაგრამ მის ხელში ჩაგდებას ვერაფრით ახერხებს (გასულ მაისში ხომ საერთოდ საშინელება დაატყდა თავს: ტიტული უკანასკნელ ტურში გაუშვა ხელიდან), შვედ მწვრთნელს, სვენ გორან ერიკსონს კარგად მოეხსენება — ჩემპიონი ხდება ან ახალ სამსახურს ეძებს. დროა, 1974 წლის მერე, ისტორიაში მეორედ, „ლაციოს“ ბანაკშიც დადგეს ზეიმის დღე.

მოკლედ, ძვირადღირებულ და უმაღლესი კლასის ფეხბურთელებით დაკომპლექტებულ „ლაციოს“ უკან დასახევი გზა მოჭრილი აქვს. სკუდეტო მიზანი კი არა, თვითმიზანია, მანიაა, ხოლო ერიკსონს თავის გამართლების საშუალება აღარ მიეცემა. მაგრამ რომაელები მხოლოდ იტალიის ჩემპიონატში რომ გამოდიოდნენ რა უჭირდა, ვაგლახ, მდგომარეობას ჩემპიონთა ლიგის თამაშებიც ამძიმებს. არადა, ლიგა ის შეჯიბრებაა, რომელსაც სახელი და ფული მოაქვს.

ამჯერად ერიკსონს კარგად წაუვიდა საქმე. მისმა გუნდმა, როგორც გითხარით, „ტორინოს“ შთამბეჭდავად მოუგო და თან უმაღლესი კლასის ვარსკვლავები, რობერტო მანჩინი, ალენ ბოკშიჩი და მატიას ალმეიდა დაასვენა.

„ლაციოს“ წინა ტურის მეტოქე, „ბარი“ (მათი შეხვედრა 0:0 დასრულდა), ამჯერად „მილანს“ დაუდგა — 1:1. ზოგადად სახელწოდება „ბარი“, შესაძლოა ცაში ვარსკვლავებს არავის აგონებს, მაგრამ სინამდვილეში საქმე ასეა: გასულ სეზონში ამ გუნდმა 34 შეხვედრიდან შინ მხოლოდ სამი წააგო, 15 კი ფრედ დაასრულა. რაც შეეხება ახლანდელ სეზონს, სამ ტურში მას „ფიორენტინასთან“, „ლაციოსა“ და „მილანთან“ მოუხდა თამაში და მხოლოდ ფლორენციაში დამარცხდა.

ახლა კი „მილანის“ შედეგებს ჩავხედოთ. ახალ სეზონში სერია A-ს სამი მატჩიდან ჩემპიონმა ორი („ლეჩესა“ და „ბარისთან“) ფრედ ითამაშა, ხოლო „პერუჯას“ მოუგო. ფრედ დასრულდა ჩემპიონთა ლიგის პირველი ტურის შეხვედრაც ლონდონში, „ჩელსისთან“ 0:0.

„ამჯერად ჩვენ შევძელით შეხვედრის რიტმის გაკონტროლება“ — მაინც კმაყოფილი დარჩა მილანელთა გერმანელი თავდამსხმელი ოლივერ ბირჰოფი. ჩემპიონთა ლიგის მატჩის წინ „მილანის“ ნახევარმცველთაგან დემეტრიო ალბერტინიმ და გულიმ დაისვენეს.

„ჩვენ, გასულ სეზონთან შედარებით ფსიქოლოგიური უპირატესობა დავკარგეთ. თითქოს არ გვწამს, რომ ყოველი შეხვედრის მოგება შეგვიძლია, მაგრამ მერწმუნეთ, გავა ხანი და ისევ ძველებურად შევხედავთ მოვლენებს“ — დასძინა ბირჰოფმა.

„ფიორენტინამ“ გასულ კვირაში, ლიგის პირველ ტურში, ლონდონის „არსენალს“ უმასპინძლა და 0:0 რომ ითამაშა მეკარე ფრანჩესკო ტოლდოსა და იღბალს უნდა უმადლოდეს. ამ შეხვედრაში ფლორენციელები დათრგუნულები ჩანდნენ, მაგრამ კვირას, „ვერონასთან“, „არტემიო ფრანკიზე“ შეკრებილმა მაყურებელმა სხვა სურათი იხილა. ეს ისევ ძველი „ფიორენტინა“ გახლდათ, რომელსაც ძველებურად მრისხანე გაბრიელ ბატისტუტა მიუძღოდა. ბატისტუტამ ეჭვსა და კრიტიკას მოკლე პასუხი გასცა — ჰეთ თრიქი.

10-თვიანი [illegible] შემდეგ გოლი — მართალია, [illegible]ბით პენალტით — გაიტანა „იუვენტუსის“ ვარსკვლავმა ალესანდრო დელ პიერომ. დელ პიერომ გასული წლის ნოემბერში, „უდინეზესთან“ შეხვედრაში იტკინა ფეხი, რომლის სამკურნალოდაც ოკეანის გადაღმა, ამერიკის შეერთებულ შტატებში მოუხდა წასვლა და აი, მომდევნო პირველობის თამაშში, „იუვენტუსი“ — „უდინეზე“, ანგარიშს დელ პიერო ხსნის.

ფაბიო კაპელოს ხელმძღვანელობით გარდაქმნილმა „რომამ“ „ვენეციაში“ გაიმარჯვა. 10 655 მაყურებლის მხარდაჭერამ ვენეციელებს ვერ უშველა. პირველ ტაიმში მათ მარკო დელვეკიოს ვერაფერი მოუხერხეს, დელვეკიომ ორჯერ გაუტანა, ხოლო შესვენების შემდეგ, მართალია, ანგარიში ჯერ 1:2 გახდა, მაგრამ მონტელას ნაცვლად მეორე ტაიმში შესულმა რუსმა დმიტრი ალეინიჩევმა მესამე შეაგდო.

როდესაც ახალი მწვრთნელის მიერ ერთი ხელის დაკვრით გარდაქმნილ გუნდებზე ვსაუბრობთ, აუცილებლად უნდა ვახსენოთ „ინტერი“, რომელმაც მარჩელო ლიპის ხელმძღვანელობით სულ სხვა სახე მიიღო. მესამე ტურში „ინტერმა“ „პარმას“ შავი დღე აყარა. ისეთი ცნობილი მოთამაშეები მეკარე ჯანლუიჯი ბუფონი, მცველები ლილიან ტურამი, ფაბიო კანავარო, ნახევარმცველები დინო ბაჯო, დიეგო ფუზერი და სხვანი რომ არიან, ლიპის შედუღებული შავ-ლურჯი ტანკის წინააღმდეგ უმწეონი გამოჩნდნენ...

**პაპუნა ძიძია**

REUTERS მილანიდან



ინტერი — პარმა 5:1. მე-17 წუთი. კრისტიან ვიერიმ „პარმას“ ულამაზესი გოლი გაუტანა

| | | სულ | | | | | | | შინ | | | | | | | სტუმრად | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| № | | თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ | თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ | თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ |
| 1 | ინტერი | 3 | 2 | 1 | 0 | 8:1 | 7 | 7 | 2 | 2 | 0 | 0 | 8:1 | 7 | 6 | 1 | 0 | 1 | 0 | 0:0 | 0 | 1 |
| 2 | ფიორენტინა | 3 | 2 | 1 | 0 | 7:3 | 4 | 7 | 2 | 2 | 0 | 0 | 5:1 | 4 | 6 | 1 | 0 | 1 | 0 | 2:2 | 0 | 1 |
| 3 | იუვენტუსი | 3 | 2 | 1 | 0 | 6:2 | 4 | 7 | 2 | 1 | 1 | 0 | 5:2 | 3 | 4 | 1 | 1 | 0 | 0 | 1:0 | 1 | 3 |
| 4 | ლაციო | 3 | 2 | 1 | 0 | 5:1 | 4 | 7 | 2 | 2 | 0 | 0 | 5:1 | 4 | 6 | 1 | 0 | 1 | 0 | 0:0 | 0 | 1 |
| 5 | მილანი | 3 | 1 | 2 | 0 | 6:4 | 2 | 5 | 1 | 1 | 0 | 0 | 3:1 | 2 | 3 | 2 | 0 | 2 | 0 | 3:3 | 0 | 2 |
| 6 | რომა | 3 | 1 | 2 | 0 | 4:2 | 2 | 5 | 1 | 0 | 1 | 0 | 0:0 | 0 | 1 | 2 | 1 | 1 | 0 | 4:2 | 2 | 4 |
| 7 | რეჯინა | 3 | 1 | 2 | 0 | 4:3 | 1 | 5 | 1 | 0 | 1 | 0 | 2:2 | 0 | 1 | 2 | 1 | 1 | 0 | 2:1 | 1 | 4 |
| 8 | პერუჯა | 3 | 1 | 1 | 1 | 5:4 | 1 | 4 | 2 | 1 | 1 | 0 | 4:1 | 3 | 4 | 1 | 0 | 0 | 1 | 1:3 | -2 | 0 |
| 9 | უდინეზე | 3 | 1 | 1 | 1 | 5:5 | 0 | 4 | 1 | 1 | 0 | 0 | 3:0 | 3 | 3 | 2 | 0 | 1 | 1 | 2:5 | -3 | 1 |
| 10 | ტორინო | 3 | 1 | 1 | 1 | 2:4 | -2 | 4 | 1 | 1 | 0 | 0 | 2:1 | 1 | 3 | 2 | 0 | 1 | 1 | 0:3 | -3 | 1 |
| 11 | ვერონა | 3 | 1 | 0 | 2 | 3:7 | -4 | 3 | 1 | 1 | 0 | 0 | 2:0 | 2 | 3 | 2 | 0 | 0 | 2 | 1:7 | -6 | 0 |
| 12 | ბოლონია | 3 | 0 | 2 | 1 | 1:2 | -1 | 2 | 2 | 0 | 1 | 1 | 0:1 | -1 | 1 | 1 | 0 | 1 | 0 | 1:1 | 0 | 1 |
| 13 | ბარი | 3 | 0 | 2 | 1 | 1:2 | -1 | 2 | 2 | 0 | 2 | 0 | 1:1 | 0 | 2 | 1 | 0 | 0 | 1 | 0:1 | -1 | 0 |
| 14 | ლეჩე | 3 | 0 | 2 | 1 | 3:5 | -2 | 2 | 1 | 0 | 1 | 0 | 2:2 | 0 | 1 | 2 | 0 | 1 | 1 | 1:3 | -2 | 1 |
| 15 | პიაჩენცა | 3 | 0 | 2 | 1 | 2:5 | -3 | 2 | 2 | 0 | 2 | 0 | 2:2 | 0 | 2 | 1 | 0 | 0 | 1 | 0:3 | -3 | 0 |
| 16 | პარმა | 3 | 0 | 2 | 1 | 3:7 | -4 | 2 | 1 | 0 | 1 | 0 | 1:1 | 0 | 1 | 2 | 0 | 1 | 1 | 2:6 | -4 | 1 |
| 17 | ვენეცია | 3 | 0 | 1 | 2 | 3:6 | -3 | 1 | 2 | 0 | 1 | 1 | 2:4 | -2 | 1 | 1 | 0 | 0 | 1 | 1:2 | -1 | 0 |
| 18 | კალიარი | 3 | 0 | 0 | 3 | 1:6 | -5 | 0 | 1 | 0 | 0 | 1 | 0:1 | -1 | 0 | 2 | 0 | 0 | 2 | 1:5 | -4 | 0 |

**ბომბარდირები**

| | |
|---|---|
| ვიერი (ინტერი) | 4 |
| ბატისტუტა (ფიორენტინა) | 3 |
| ფ. ინძაგი (იუვენტუსი) | 3 |

**IV ტური**

26 სექტემბერი

კალიარი — ვენეცია
ლეჩე — იუვენტუსი
მილანი — ბოლონია
პარმა — ლაციო
რეჯინა — პიაჩენცა
რომა — პერუჯა
ტორინო — ინტერი
უდინეზე — ფიორენტინა
ვერონა — ბარი

## სერია B

### IV ტური

**ჩეზენა 1:0 ჯენოა**

1:0 ჩევოლი (14)

**კიევო 0:1 ტერნანა**

0:1 ბაკინი (83)

**ფერმანა 1:2 ბრეშა**

0:1 ჩერბონე (17), 1:1 მარინო (33), 1:2 უბნერი (74)

**მონცა 1:0 ემპოლი**

1:0 ამბროზი (55)

**პესკარა 1:1 კოზენცა**

1:0 ბალდი (57), 1:1 დავერსა (76)

**სალერნიტანა 2:0 პისტოიეზე**

1:0, 2:0 დი მიქელე (46, 54)

**სამპდორია 2:1 რავენა**

0:1 დელანო (19პ), 1:1 პალმიერი (40), 2:1 პესარეზი (90)

**სავოია 1:0 ტრევიზო**

1:0 გირარდელო (74)

**ვიჩენცა 3:1 ალძანო**

1:0 ფატორი (8), 2:0 კომანდინი (57), 2:1 ნემო (80), 3:1 კომანდინი (84)

**ატალანტა — ნაპოლი**

წუხელ გვიან გაიმართა

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ატალანტა | 3 | 3 | 0 | 0 | 7:3 | 9 |
| ტერნანა | 4 | 3 | 0 | 1 | 3:2 | 9 |
| ბრეშა | 4 | 2 | 2 | 0 | 6:2 | 8 |
| პესკარა | 4 | 2 | 2 | 0 | 5:3 | 8 |
| ვიჩენცა | 4 | 2 | 1 | 1 | 5:3 | 7 |
| სავოია | 4 | 2 | 1 | 1 | 4:3 | 7 |
| სამპდორია | 4 | 2 | 1 | 1 | 3:2 | 7 |
| ემპოლი | 4 | 2 | 0 | 2 | 2:2 | 6 |
| ალძანო | 4 | 2 | 0 | 2 | 5:6 | 6 |
| ნაპოლი | 3 | 1 | 2 | 0 | 5:1 | 5 |
| კოზენცა | 4 | 1 | 2 | 1 | 3:3 | 5 |
| ჩეზენა | 4 | 1 | 2 | 1 | 3:3 | 5 |
| ჯენოა | 4 | 1 | 1 | 2 | 4:4 | 4 |
| მონცა | 4 | 1 | 1 | 2 | 3:4 | 4 |
| პისტოიეზე | 4 | 1 | 1 | 2 | 2:4 | 4 |
| სალერნიტანა | 4 | 1 | 1 | 2 | 5:8 | 4 |
| კიევო | 4 | 1 | 0 | 3 | 5:6 | 3 |
| ტრევიზო | 4 | 1 | 0 | 3 | 4:6 | 3 |
| რავენა | 4 | 0 | 2 | 2 | 3:6 | 2 |
| ფერმანა | 4 | 0 | 1 | 3 | 0:6 | 1 |

## სერია C1/A

III ტური. კარარეზე — ლეკო 2:2; ჩიტადელა — ბრეშელო 2:1; კომო — მოდენა 0:3; ლივორნო — ალბინოლეფე 2:2; ლუმეცანე — ლუკეზე 1:1; მონტევარკი — კრემონეზე 1:1; რეჯანა — პიზა 1:0; სპალ — სანდონა 0:0; ვარეზე — სიენა 1:2

## სერია C1/B

III ტური. ანკონა — არეცო 1:0; აველინო — მარსალა 2:0; დი სანგრო — ატლეტიკო 1:0; კროტონე — ლოდიჯანი 3:0; გუალდო — ასკოლი 2:2; სტაბია — ნოჩერინა 1:1; პალერმო — ჯულიანოვა 0:0; ვიტერბეზე — ფ. ანდრია 2:1

## ესპანეთი

### IV ტური

### ბეტისი 1:0 ვალენსია

1:0 ოლი (26)
ბეტისი: პრატსი, კარხანი (იტო 80), ლუის ფერნანდესი, ბორნესი, ფილიპესკუ, ოტერო, დენილსონი, ალექსისი, ფინიდი, ალფონსო, ოლი (რომერო 70, რივასი 90)
ვალენსია: კანისარესი, ჯუკიჩი, პელეგრინო, ანგლომა, ანგულო (ოსკარი 81), კილი გონსალესი, მენდიეტა, ალბელდა, ხერარდი, ილიე, ხუან სანჩესი
გაფრთხილება: ოტერო, კარხანი, ხერარდი, ანგლომა, ანგულო
მსაჯი: პუენტეს ლეირა

### ვალიადოლიდი 4:2 მალაგა

0:1 კატანია (8), 1:1 როტეტა (34ს.კ.), 2:1 როდრიგო (51), 2:2 დე ლოს სანტოსი (61), 3:2, 4:2 ვიკტორი (69, 74)
ვალიადოლიდი: სესარი, მარკოსი, გარსია სალვო, ორლანდო, პენია, ტურიელი (ვისკაინო 79), აროლდ ლოსანო, ჩემა (ეუსებიო 46), კონგო (პეტერნაკი 65), ვიკტორი, როდრიგო
მალაგა: კონტრერასი, ვალკარსე, როტეტა (აგოსტინიო 82), ლარაინსარი, როხასი, ბრავო, დე ლოს სანტოსი, რუფეტე, კატანია, დარიო სილვა (ლუკე 44), ედგარი (მუსამპა 82)
გაფრთხილება: აროლდ ლოსანო, ტურიელი, ჩემა, როდრიგო, როხასი, ლუკე
მსაჯი: მეხუტო გონსალესი

### ესპანიოლი 2:1 ოვიედო

0:1 დელი ვალდესი (11), 1:1 ტამუდო (56), 2:1 ბენიტესი (63)
ესპანიოლი: კავალიერო, კორინო, როჩენი, კრისტობალი, დე ლუკასი, არტეაგა, გალკა (ველამასანი 46), სერხიო, მაურო ნავასი, პოსე (ტამუდო 46), ბენიტესი (როხერი 80)
ოვიედო: ესტებანი, დანჟუ, ონოპკო, კორბო, ბორისი, პომპეი (ივანი 61), პაულო ბენტო, ესკურსა (ამიევა 73), დელი ვალდესი, ლოსადა (გონსალესი 73), დუბოვსკი
გაფრთხილება: კორინო, ესკურსა
მსაჯი: გარსია არანდა

### სელტა 0:1 რაიო

0:1 ბოლი (65)
სელტა: დუტრუელი, ველასკო (სელადესი 63), ჯოროვიჩი, კასერესი, მოსტოვოი (კავიედესი 55), კარპინი, ჯოვანელა, მაკელელე, ხუანფრანი, ტურდო, გ. ლოპესი
რაიო ვალეკანო: კელერი, მიჩელ II (პაბლო სანსი 90), ლორენსი, ფერონი (კლოტეტი 61), ალკასარი, ერნანდესი, კოტა, ესტიბარისი, ლუისი, პოშნერი, კანაბალი (ბოლი 55)
გაფრთხილება: კავიედესი, ტურდო, კარპინი, ფერონი, მიჩელ II, ალკასარი, კოტა
გაძევება: კასერესი (78)
მსაჯი: როდრიგეს სანტიაგო

### რეალი 1:1 დეპორტივო

0:1 ჯალმინია (47), 1:1 რაული (82)
რეალი: კასილიასი, რობერტო კარლოსი, ხულიო სეზარი (ბალიჩი 77), ივან კამპო, სავიო, მაკმანამანი, რედონდო, ივან ელგერა (გუტი 58), ხერემი, მორიენტესი (ანელკა 71), რაული
დეპორტივო: სონგო, რომერო, ნაიბეტი, სეზარი, მანუელ პაბლო, იოკანოვიჩი, ჯალმინია, მაურო სილვა, ტურუ ფლორესი, მაკაი (ხაიმე 77), ვიკტორი
გაფრთხილება: რედონდო, ჯალმინია
გაძევება: რედონდო (90)
მსაჯი: პერეს ბურული

### ალავესი 2:1 ბარსელონა

0:1 დანი (22), 1:1 ასტუდილიო (43), 2:1 ნან რივერა (72)
ალავესი: ერერა, კონტრა, ტორეს მესტრე, ტელიესი, კარმონა, მორალესი, პაბლო (ეგენი 82), დესიო, ხავი მორენო (ნან რივერა 62), მანიო (სალინასი 78), ასტუდილიო
ბარსელონა: ჰესპი, სერხი, ფ. დე ბური, აბელარდო, ლიტმანენი (ლუის ენრიკე 46), კოკუ (ზენდენი 76), გვარდიოლა (კლუივერტი 81), რ. დე ბური, სიმაო, რივალდო, დანი
გაფრთხილება: სალინასი, კონტრა, ტელიესი
მსაჯი: ანსატეგი როჩა

### ნუმანსია 1:1 ბილბაო

1:0 პაჩეტა (16), 1:1 ურსაისი (26)
ნუმანსია: ნუნიესი, პოპესკუ, ოკტავიო, ივან როჩა (ბელსუე 58), მუნისი, ხაუმე, მორანი (ხორხე პერესი 71), ბაიბუ, პაჩეტა, ნაგორე, ოჯედა (მორალესი 46)
ბილბაო: ი. ეჩებერია, ლარასაბალი, პაჩი ფერეირა, ალკორტა, ლარაინსარი, ი. გერერო, ხავი გონსალესი, ედუ ალონსო, ურუტია (ესკუერო 71), ურსაისი (ფელიპე 46), ხ. ეჩებერია (სივორი 84)
გაფრთხილება: პაჩეტა, პოპესკუ, ი. გერერო, ლარასაბალი, ი. გერერო
გაძევება: ი. გერერო (46)
მსაჯი: ბუენო გრიმალი

### სარაგოსა 1:1 ატლეტიკო

1:0 მილოშევიჩი (18), 1:1 ჰასელბაინკი (27)
სარაგოსა: ხუანმი, სუნდგრენი, პაკო, აგუადო, პაბლო, მარკოს ვალესი, არაგონი, აკუნია, იორდი (ჯამელი 81), ველისკა (ხუანელე 81), მილოშევიჩი
ატლეტიკო: ტონი, აგილერა (რობერტო 15), სანტი, კაპდევილია, გამარა, გასპარი, ვენტურინი, ვალერონი (პაუნოვიჩი 85), კორეა (ბარახა 35), ჰასელბაინკი, სოლარი
გაფრთხილება: მარკოს ვალესი, აგუადო, გასპარი, სოლარი, ვენტურინი, ვალერონი
მსაჯი: პერეს ლასა

### სოსიედადი 2:1 მალიორკა

1:0 იდიაკესი (23), 1:1 დიეგო (80), 2:1 ალდეონდო (86)
სოსიედადი: ალბერტო, ლოპეს რეკარტე, პოკაბეა, ლორენი, ფუენტესი, დე პედრო (ალდეონდო 82), კუხბაუერი (არამბურუ 65), გომესი, სა პინტუ, ბონილია (ანტია 87), იდიაკესი
მალიორკა: ბურგოსი, სოლერი, ნადალი, ფერნანდო ნინიო, ოლაისოლა, სტანკოვიჩი (ჯოკაჯი 78), იბაგასა, ლაურენი, ენგონგა, სერისუელა (დიეგო 66), კარლოსი (კარერასი 89)
გაფრთხილება: პიკაბეა, სტანკოვიჩი
მსაჯი: ჯაპონ სევილია

### რასინგი 2:2 სევილია

0:1 ცარტასი (14), 0:2 ოლივერა (21), 1:2 სალვა (24პ), 2:2 მუნიტისი (61)
რასინგი: სებალოსი, სიეტესი (ნერუ 46), არსენო, მელბერგი, ტაისი, ესპინა, ისმაელი (შუსტიკოვი 46), სალვა, ამავისკა, მუნიტისი (რუშფელტი 67), მანხარინი
სევილია: ხუანხო ვალენსია, ნანდო, ეკტორი, ტაბარე, პიბიჩი (პოდესტა 65), მარჩენა, ოლივერა (ხესული 81), ცარტასი, ანხელი, ფრანსისკო, ხუან კარლოსი (სალაიეტა 81)
გაფრთხილება: მელბერგი, მუნიტისი, ნერუ, სალვა, შუსტიკოვი, პოდესტა, ეკტორი, პიბიჩი, ტაბარე
გაძევება: შუსტიკოვი (78), ტაბარე (81)
მსაჯი: ლიონჩ ანდრეუ

# სიკვდილი ბარსელონაში


REUTERS

რეალი — დეპორტივო 1:1. მასპინძელთა ნახევარმცველ სავიოს ლა კორუნიელი მცველი ენრიკე რომერო ებღაუჭება

შუა კვირაში „ბარსელონამ", მადრიდის „რეალმა" და „ვალენსიამ" ჩემპიონთა ლიგაში ითამაშეს და ამ სამთაგან პრიმერა დივიზიონში ერთმაც ვერ მოიგო. დასკვნის გამოტანა ძნელი სულაც არაა — ევროპის ყველაზე პრესტიჟული თასის გათამაშება მონაწილეთაგან მაქსიმუმს ითხოვს, შესაბამისად გადაღლილი ფეხბურთელები ძალთა აღდგენას დროზე ვერ ახერხებენ, საბოლოოდ კი ესპანური ფეხბურთის სიამაყეები არც ისე სახელოვანმა კლუბებმა შეარცხვინეს.

ძნელი წარმოსადგენი იყო, რომ ესპანეთის ჩემპიონი „ბარსელონა" ალავესში, „ესტადიო მენდისოროსაზე" დამარცხდებოდა, თუმცა არა შეუძლებელი — მასპინძლებმა სახელოვანი სტუმრები დაჯაბნეს, წინაც წაიწიეს და აქამდე ყველა შეხვედრის მომგებ „ბარსელონას" პირველი მარცხიც აგემეს.

ლუის ვან გაალს, ჩემპიონთა ჰოლანდიელ მწვრთნელს, წაგება არად ეპიტნავა, მაგრამ იგი უფრო სერხის საბედისწერო შეცდომამ განარისხა — მეორე გოლი „ბარსელონამ" სწორედ თავისსავე უყურადღებობის გამო გაუშვა, ასეთი შემთხვევები კი, ცხადია, ძალიან გამაღიზიანებელია. „დაუშვებელია, ასეთ დონეზე თამაშობდე და ამნაირ გოლებს უშვებდე. 1:2-ის შემდეგ ფსიქოლოგიურად გავტყდით და ამიტომაც დავმარცხდით. ჩვენი წაგების გამართლების მიზეზი არ არსებობს" — ცხარობდა ვან გაალი.

განგაშის ზარმა კატალონიელთათვის 71-ე წუთზე ჩამოჰკრა — რუდ ჰესპმა, სტუმართა მეკარემ ბურთი სერხის გაუგორა, მაგრამ მცველი იმდენად იყო გართული ფრენკ დე ბურთან რაღაცის მტკიცებით, რომ უნებურად შექმნილი ხიფათისთვის დროზე ვერ მოიცალა, რაც „ბარსელონას" ძვირად ანუ სამ ქულად დაუჯდა. ნან რივერამ უმალ ისარგებლა მომენტით და კატალონიელებს ლამაზი გოლი გაუტანა, თან, ცხადია, ოცი ათასამდე ალავესელიც გაახარა.

„ბარსელონა" დამარცხდა, მისმა კონკურენტმა მადრიდის „რეალმა" კი ბოლო წუთებზე დაიძვრინა თავი მარცხისგან — სამეფო კლუბის მხსნელად გასული ჩემპიონატის საუკეთესო მეგოლე რაული მოგვევლინა.

— აშკარად ვატყობდი, რომ „რეალი" ლიგის მატჩმა გადაღალა — საბერძნეთში უმძიმესი შეხვედრა გადავიტანეთ და ამის გამო ლაკორუნიელებს სათანადო წინააღმდეგობა ვერ გავუწიეთ. კარგია, რომ არ წავაგეთ, არაფერს ისევ ქულა სჯობს — განაცხადა მადრიდელთა უელსელმა მწვრთნელმა ჯონ ტოშაკმა, რომელმაც აშკარად სიმართლე თქვა — მასპინძლები წაგებას გადაურჩნენ.

მეორე ტაიმი ხეირიანად არც დაწყებულიყო, 29 წლის ბრაზილიელმა ჯალმინიამ ანგარიში რომ გახსნა. „რეალის" მცველებმა ბრაზილიელს სათანადო წინააღმდეგობა ვერ თუ არ გაუწიეს და ჯალმინიამაც დაახლოებით ოცმეტრიანი სოლო გარღვევის შემდეგ ლამაზი გოლი გაიტანა. საბოლოოდ, როგორც გითხარით, „რეალი" გადარჩა.

„ვალენსიამ", ჩემპიონთა ლიგის კიდევ ერთმა ესპანელმა ბინადარმა, ზედიზედ მეოთხე მატჩი წააგო — ესპანეთის თასის მფლობელი კლუბი სევილიის „ბეტისმა" დაამარცხა, გუნდმა რომელმაც თავის მხრივ პირველად მოიგო და პირველი გოლი გაიტანა.

— კრიზისი აშკარაა, მაგრამ მდგომარეობა უიმედო სულაც არაა. ზუსტად ვერ გეტყვით, როდის, მაგრამ ნელ-ნელა კლუბის მდგომარეობა გამოსწორდება. „ვალენსია" ამ მომენტისთვის ჩემპიონთა ლიგაში საასპარეზოდ, ამავდროულად ესპანეთის ჩემპიონატში სათამაშოდ მზად არ აღმოჩნდა — განუცხადა ვალენსიელთა არგენტინელმა მწვრთნელმა ეკტორ რაულ კუპერმა ჟურნალისტებს. სხვათა შორის, ეს უკანასკნელნი მის წინააღმდეგ საკმაოდ უარყოფითად იყვნენ განწყობილნი. ესპანურ პრესაში უკვე გაიელვა ინფორმაციამ, რომ „ვალენსიას" პრეზიდენტი პედრო კორტესი არგენტინელის მოღვაწეობით უკმაყოფილოა და არაა გამორიცხული, კლუბში ცვლილება მოხდეს.

სანამ ჩემპიონთა ლიგის სამეული ქულებს კარგავდა, პრიმერა დივიზიონში გაზაფხულზე აღზევებულმა „რაიო ვალეკანომ" ზედიზედ მეოთხე მატჩი მოიგო და „ძლიერთა ამა ქვეყნისათა" ხელი დაუქნია.

— მეტოქე შესანიშნავი გუნდია, გაცილებით უკეთესი, ვიდრე მეგონა. წავაგეთ და ეს, ცხადია, არაა სასიამოვნო, მაგრამ ... ბელია, რომ ძლიერ მეტოქესთან დავკარგეთ სამი ქულა. ... ვარ, „რაიო ვალეკანო" ... გაამწარებს — თქვა ვიგოელთა მწვრთნელმა ვიკტორ ფერნანდესმა. მან მადრიდელები კი აქო, მაგრამ საეჭვოა, გამარჯვებულებისადმი განსაკუთრებული სიმპათიით ყოფილიყო განწყობილი.

„რაიო ვალეკანოს" გამარჯვება ბოლო პერესის ერთადერთმა გოლმა განაპირობა — 65-ე წუთზე თანაკლუბელ მიჩელ II-სგან ზუსტი გადაცემა მიიღო და შეტევის გოლით დაგვირგვინება აღარ გასჭირვებია. კლუბის 75-წლიან ისტორიაში ეს ყველაზე ძლევამოსილი სვლაა.

თუ მადრიდის ერთმა კლუბმა — „რეალმა" ფრედ ითამაშა და ქულა მიითვალა, ხოლო მეორე დედაქალაქურმა კლუბმა „რაიო ვალეკანომ" ზედიზედ მეოთხე მატჩი მოიგო და ლიდერობა განიმტკიცა, მესამე მადრიდული კლუბი — „ატლეტიკო" პირველ ქულას შესწვდა — ესპანეთის თასის ფინალში ძლეულ „სარაგოსამ" უმასპინძლა და შეხვედრისგან მხოლოდ ქულას გამორჩა. სტუმრები „ლიდს იუნაიტედიდან" შეძენილმა სურინამელი წარმოშობის ჰოლანდიელმა თავდამსხმელმა ჯიმი ფლოიდ ჰასელბაინკმა იხსნა.

მთლიანობაში ამ ტურში საკმაოდ საინტერესო შეხვედრები შედგა, მაგრამ, სამწუხაროდ, ესპანეთის ამ ჩემპიონატმაც შეიწირა ქომაგის სიცოცხლე.

შარშანდელ ჩემპიონატში მადრიდელი და სოსიედადელი გულშემატკივრების ჩხუბის შედეგად გარდაიცვალა „სოსიედადის" ახალგაზრდა ქომაგი აიტორ საბალეტა. ამჯერად კი 18 წლის რაულ ლოსანო შეიქმნა უბედური შემთხვევის მსხვერპლი — ბარსელონას „ესტადიო მონხუიკზე" „ესპანიოლისა" და „ოვიედოს" შეხვედრის დასრულებისთანავე ლოსანოს საყვარელი კლუბის სუვენირი ხელიდან გაუვარდა, მის დაბრუნებას ცდილობდა, ამ დროს ფეხი დაუცდა და მეორე იარუსიდან გადავარდა. მან თავის ქალის მძიმე ტრავმა მიიღო და სტადიონზევე გარდაიცვალა.

**ლაშა გოდუაძე**

| | | სულ | | | | | | | შინ | | | | | | | სტუმრად | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| № | | თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ | თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ | თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ |
| 1 | რაიო ვალეკანო | 4 | 4 | 0 | 0 | 7:2 | 5 | 12 | 2 | 2 | 0 | 0 | 4:2 | 2 | 6 | 2 | 2 | 0 | 0 | 3:0 | 3 | 6 |
| 2 | ბარსელონა | 4 | 3 | 0 | 1 | 8:3 | 5 | 9 | 2 | 2 | 0 | 0 | 5:0 | 5 | 6 | 2 | 1 | 0 | 1 | 3:3 | 0 | 3 |
| 3 | ალავესი | 4 | 3 | 0 | 1 | 7:6 | 1 | 9 | 2 | 2 | 0 | 0 | 4:2 | 2 | 6 | 2 | 1 | 0 | 1 | 3:4 | -1 | 3 |
| 4 | დეპორტივო | 4 | 2 | 2 | 0 | 7:2 | 5 | 8 | 2 | 2 | 0 | 0 | 6:1 | 5 | 6 | 2 | 0 | 2 | 0 | 1:1 | 0 | 2 |
| 5 | რეალი | 4 | 2 | 2 | 0 | 9:5 | 4 | 8 | 2 | 1 | 1 | 0 | 5:2 | 3 | 4 | 2 | 1 | 1 | 0 | 4:3 | 1 | 4 |
| 6 | სოსიედადი | 4 | 2 | 1 | 1 | 9:6 | 3 | 7 | 2 | 2 | 0 | 0 | 6:2 | 4 | 6 | 2 | 0 | 1 | 1 | 3:4 | -1 | 1 |
| 7 | რასინგი | 4 | 2 | 1 | 1 | 7:6 | 1 | 7 | 2 | 0 | 1 | 1 | 3:4 | -1 | 1 | 2 | 2 | 0 | 0 | 4:2 | 2 | 6 |
| 8 | მალაგა | 4 | 2 | 0 | 2 | 7:6 | 1 | 6 | 2 | 2 | 0 | 0 | 4:0 | 4 | 6 | 2 | 0 | 0 | 2 | 3:6 | -3 | 0 |
| 9 | ვალიადოლიდი | 4 | 2 | 0 | 2 | 5:5 | 0 | 6 | 2 | 2 | 0 | 0 | 5:2 | 3 | 6 | 2 | 0 | 0 | 2 | 0:3 | -3 | 0 |
| 10 | სელტა | 4 | 2 | 0 | 2 | 4:4 | 0 | 6 | 2 | 1 | 0 | 1 | 2:2 | 0 | 3 | 2 | 1 | 0 | 1 | 2:2 | 0 | 3 |
| 11 | ესპანიოლი | 4 | 2 | 0 | 2 | 5:7 | -2 | 6 | 2 | 2 | 0 | 0 | 5:3 | 2 | 6 | 2 | 0 | 0 | 2 | 0:4 | -4 | 0 |
| 12 | სარაგოსა | 4 | 1 | 2 | 1 | 5:3 | 2 | 5 | 2 | 1 | 1 | 0 | 5:1 | 4 | 4 | 2 | 0 | 1 | 1 | 0:2 | -2 | 1 |
| 13 | ბილბაო | 4 | 1 | 2 | 1 | 4:4 | 0 | 5 | 2 | 1 | 1 | 0 | 3:2 | 1 | 4 | 2 | 0 | 1 | 1 | 1:2 | -1 | 1 |
| 14 | ბეტისი | 4 | 1 | 1 | 2 | 1:4 | -3 | 4 | 2 | 1 | 1 | 0 | 1:0 | 1 | 4 | 2 | 0 | 0 | 2 | 0:4 | -4 | 0 |
| 15 | ნუმანსია | 4 | 1 | 1 | 2 | 3:8 | -5 | 4 | 2 | 1 | 1 | 0 | 2:1 | 1 | 4 | 2 | 0 | 0 | 2 | 1:7 | -6 | 0 |
| 16 | მალიორკა | 4 | 1 | 0 | 3 | 6:6 | 0 | 3 | 2 | 1 | 0 | 1 | 4:2 | 2 | 3 | 2 | 0 | 0 | 2 | 2:4 | -2 | 0 |
| 17 | სევილია | 4 | 0 | 3 | 1 | 5:6 | -1 | 3 | 2 | 0 | 2 | 0 | 2:2 | 0 | 2 | 2 | 0 | 1 | 1 | 3:4 | -1 | 1 |
| 18 | ოვიედო | 4 | 1 | 0 | 3 | 3:8 | -5 | 3 | 2 | 1 | 0 | 1 | 2:2 | 0 | 3 | 2 | 0 | 0 | 2 | 1:6 | -5 | 0 |
| 19 | ატლეტიკო | 4 | 0 | 1 | 3 | 3:9 | -6 | 1 | 2 | 0 | 0 | 2 | 1:4 | -3 | 0 | 2 | 0 | 1 | 1 | 2:5 | -3 | 1 |
| 20 | ვალენსია | 4 | 0 | 0 | 4 | 3:8 | -5 | 0 | 2 | 0 | 0 | 2 | 1:4 | -3 | 0 | 2 | 0 | 0 | 2 | 2:4 | -2 | 0 |

### ბომბარდირები

| | |
|---|---|
| სალვა (რასინგი) | 6 |
| მაკაი (დეპორტივო) | 4 |
| კატანია (მალაგა) | 4 |

### V ტური

26 სექტემბერი

სოსიედადი — სელტა
რაიო — სარაგოსა
ატლეტიკო — რასინგი
სევილია — ესპანიოლი
ოვიედო — ალავესი
ბარსელონა — ბეტისი
ვალენსია — ვალიადოლიდი
მალაგა — რეალი
დეპორტივო — ნუმანსია
მალიორკა — ბილბაო

## მეორე დივიზიონი

### V ტური

**ლეიდა 0:1 უელვა**
0:1 ბოდიპო (47)

**ალბასეტე 1:0 ტენერიფე**
1:0 ვანიჩი (55)

**ეიბარი 1:1 ელჩე**
0:1 არმენტანო (27), 1:1 არტექსე (61)

**ლას პალმასი 2:0 მერიდა**
1:0 სეკეიროში (62), 2:0 ოლიასი (82)

**სალამანკა 3:2 სპორტინგი**
1:0, 2:0 კიკე მარტინი (7, 22), 3:0 ურბანო (35), 3:1 მანოლო (53), 3:2 ოსკარი (81)

**ხეტაფე 0:2 ვილიარეალი**
0:1 გრაცია (67), 0:2 მოიზესი (73)

**ესტრემადურა 1:0 ოსასუნა**
1:0 ვიაუდი (63)

**კომპოსტელა 0:0 ლეგანესი**

**კორდობა 3:0 ატლეტიკო B**
1:0, 2:0 სააევდრა (25, 60), 3:0 პუშე (68)

**ბადახოსი 1:1 ლევანტე**
0:1 ფერნანდო სალესი (7), 1:1 სანდრო (49)

**ლოგრონიესი 2:1 ტოლედო**
1:0, 2:0 მარინი (21, 40), 2:1 პრესიადო (46)

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ესტრემადურა | 5 | 5 | 0 | 0 | 7:1 | 15 |
| ლას პალმასი | 5 | 4 | 0 | 1 | 10:4 | 12 |
| სალამანკა | 5 | 3 | 2 | 0 | 9:4 | 11 |
| კომპოსტელა | 5 | 3 | 1 | 1 | 8:3 | 10 |
| უელვა | 5 | 3 | 1 | 1 | 5:5 | 10 |
| ვილიარეალი | 5 | 2 | 3 | 0 | 6:2 | 9 |
| ოსასუნა | 5 | 3 | 0 | 2 | 5:3 | 9 |
| სპორტინგი | 5 | 3 | 0 | 2 | 9:8 | 9 |
| ლევანტე | 5 | 2 | 2 | 1 | 9:7 | 8 |
| მერიდა | 5 | 2 | 2 | 1 | 5:4 | 8 |
| ბადახოსი | 5 | 1 | 4 | 0 | 4:3 | 7 |
| ტენერიფე | 5 | 2 | 1 | 2 | 5:6 | 7 |
| ალბასეტე | 5 | 2 | 1 | 2 | 5:6 | 7 |
| ლოგრონიესი | 5 | 1 | 2 | 2 | 9:10 | 5 |
| ელჩე | 5 | 0 | 4 | 1 | 5:6 | 4 |
| კორდობა | 5 | 1 | 1 | 3 | 3:4 | 4 |
| ეიბარი | 5 | 0 | 3 | 2 | 3:6 | 3 |
| ტოლედო | 5 | 1 | 0 | 4 | 4:9 | 3 |
| ატლეტიკო B | 5 | 1 | 0 | 4 | 5:11 | 3 |
| ხეტაფე | 5 | 0 | 2 | 3 | 4:8 | 2 |
| ლეგანესი | 5 | 0 | 2 | 3 | 4:8 | 2 |
| ლეიდა | 5 | 0 | 1 | 4 | 4:10 | 1 |

# ელი ბოპი ტყუილად იქადნებოდა

## საფრანგეთი

VII ტური

**მარსელი 1:0 ტრუა**
1:0 რავანელი (40)

**სტრასბური 1:1 პსჟ**
0:1 მადარი (64პ), 1:1 ეშუფნი (69)

**ნანტი 3:0 რენი**
1:0, 2:0 კარიე (5, 21), 3:0 სიბირსკი (51)

**ლე ავრი 1:1 ლანსი**
1:0 სიკორა (24 ს.კ.), 1:1 შახო (26)

**სედანი 2:0 ბასტია**
1:0 მიონე (13), 2:0 დებლოკი (87)

**მონაკო 2:2 მეცი**
1:0 ნდია (17), 2:0 ტრეზეგე (65), 2:1 ჟელო (76), 2:2 სკაჩენკო (84)

**ნანსი 1:2 მონპელიე**
0:1 ფ. სილვესტრე (41), 1:1 პაბლო კორეა (66), 1:2 ლოკო (75)

**ოსერი 2:1 სენტ ეტიენი**
0:1 ალექსი (50), 1:1 გივარში (74პ), 2:1 კარნო (77)

**ბორდო 1:3 ლიონი**
0:1 კარტერონი (6), 0:2, 0:3 ანდერსონი (10, 66), 1:3 ვილტორდი (80)

საფრანგეთის ჩემპიონატის მეშვიდე ტურის ცენტრალური მატჩი ბორდოში ჩატარდა. ჩემპიონი „ჟირონდა“ ამ სეზონში ოქროს მედლების დაუფლების ერთ-ერთ მთავარ კანდიდატ ლიონის „ოლიმპიკს“ მასპინძლობდა. შეხვედრის დასაწყისში შეცდომების გამო ბორდოელები მალე აღმოჩნდნენ მდევრის როლში. მათდა სამწუხაროდ, წლეულს მათი მთავარი ბომბარდირი სილვენ ვილტორდი შარშანდელი ვილტორდის აჩრდილიღაა და ამიტომაც ანგარიშის გათანაბრება ვერაფრით მოახერხეს.

„პატივი ეცით „ბორდოს“ — ასეთი მიმართვა დაუწერეს ფეხბურთელებს კლუბის ყველაზე თავგადაკლულმა ქომაგებმა, რომლებიც პარიზული მარცხისა და პრაღაში გაჭირვებით მიღწეული ფრის შემდეგ ძალიან ნერვიულობდნენ. თუმცა მათ თავისიანების გამხნევება პირველი ათი წუთის მერეც არ შეუწყვეტიათ, ამ დროს კი ანგარიში უკვე 0:2 იყო.

„ლიონი“ ძალიან ძლიერად თამაშობდა და უპირატესობასაც მთლიანად ის ფლობდაო, ვერ ვიტყვით. უბრალოდ, ბერნარ ლაკომბის შეგირდებმა მოწინააღმდეგის საჩუქრები კარგად შეირგეს. პირველი გოლი მე-6 წუთზე აჩუქეს ბორდოელებმა სტუმრებს — ვიკაშ დორასოს ჩაწოდებული კუთხურის შემდეგ მათ შორეულ ძელთან პატრის კარტერონი უმეთვალყურეოდ დატოვეს. მანაც ბურთი აუღელვებლად მიიღო და გამოზომილი დარტყმით ანგარიშიც გახსნა.

რამდენიმე წუთში კი მეორე გოლიც გავიდა. ჟან-კრისტოფ რუვიერმა ბურთი მოედნის ცენტში დაუთმო მეტოქეს. სონი ანდერსონმა და ტონი ვერელმა ორმაგი კედელი გაითამაშეს, რასაც მასპინძლების მცველები მონუსხულებივით აკვირდებოდნენ და ბრაზილიელმა თავდამსხმელმაც კიდევ უფრო დააწინაურა თავისიანები.

ათ წუთში ორი გოლი! არადა, აგვისტოში „ბორდოს“ მწვრთნელი ელი ბოპი იქადნებოდა, ჩემპიონატში ყველაზე ნაკლებ გოლს ჩვენ გავუშვებთო, მაგრამ მის ქადილს ასრულება ნაღდად არ უწერია. ყოველ შემთხვევაში, დღეს ასე ჩანს. „ბორდო“, ალბათ, ვერც საუკეთესო თავდასხმის მქონე გუნდი გახდება, რადგან ვილტორდი ფორმაში ვერაა, სხვა გამტანი კი არ ჩანს. ადრე „ნინოს“ ერთი მომენტიც კმაროდა თავისი ქომაგების გასახარებლად, ახლა მას ეტყობა თავში აუვარდა, საქმეს ნაკლები სერიოზულობით ეკიდება და შედეგიც სახეზეა. მე-18 წუთზე მიკულასლანდის კომბინაციის შემდეგ ვილტორდი მეკარესთან პირისპირ აღმოჩნდა, მაგრამ ბურთი პირდაპირ გრეგორი კუპეს მოარტყა. ერთი მომენტი ვის არ გაუფუჭებია, მაგრამ ჟირონდელთა გოლეადორმა კიდევ რამდენჯერმე შეცოდა, რის დაწვრილებით მოყოლასაც აზრი არ აქვს.

მეორე ტაიმში მასპინძელთა თამაში უკეთესობისკენ შეიცვალა და უფრო შემტევი ხასიათიც მიიღო, მაგრამ „ლიონიც“ მედგრად იცავდა თავს. თანაც მსაჯმა 65-ე წუთზე ანდერსონის პერსონალური მეურვე ნიშა საველიჩი მინდვრიდან გააძევა და „ბორდოს“ ამოცანა კიდევ უფრო გაურთულა. ზუსტად ამის მომდევნო მომენტში გათავისუფლებულმა ანდერსონმა კარტერონის გრძელი პასი კარგად შეიშნო და მატჩის ბედიც საბოლოოდ გადაწყვიტა. ვილტორდმა კი მხოლოდ პრესტიჟის გოლის გატანაღა შეძლო.

ჩემპიონატის ლიდერი „პარი სენ ჟერმენი“ ელზასს სტუმრობდა. სტრასბურელებმა მას მედგარი წინააღმდეგობა გაუწიეს და ერთი ქულაც დამსახურებულად მოიპოვეს, თუმცა მასზე სამიც ალალი იქნებოდა. პირველ ტაიმში შედარებით თანაბარი ბრძოლა გაჩაღდა. გოლის გატანის შესაძლებლობები ორივე გუნდს ჰქონდა, მაგრამ ჯერ მადარის პასის შემდეგ ნეოპარიზელი კრისტიანი ვერ მიწვდა ბურთს ცარიელ კარში შესაგორებლად, მერე კი ბერნარ ლამასთან პირისპირ გასულ ბელოზოს აჯობა პსჟ-ს ვეტერანმა მეკარემ.

შესვენების შემდეგ ინიციატივას ძირითადად „სტრასბური“ ფლობდა და ხიფათიც ძირითადად ლამას კართან იქმნებოდა, მაგრამ ანგარიში მაინც სტუმრებმა გახსნეს — მადარმა პენალტი გაიტანა. რამდენიმე წუთში კი ეშუაფნიმ თავური დარტყმით წონასწორობა აღადგინა. მსაჯის მიერ წამატებულ წუთებში კი ალი ბენარბიამ კინაღამ გამარჯვება მოუტანა სტუმრებს, მაგრამ...

საინტერესო გამოდგა მატჩი მონაკოშიც, სადაც „მეცი“ იყო ჩასული. ნდიასა და ტრეზეგეს გოლების მერე, ალბათ, ყველას ეგონა „მონაკო“ ნავსს გატეხდა და ბოლო რვა წლის მანძილზე პირველად დაამარცხებდა „მეცს“ „ლუი II-ის“ სახელობის სტადიონზე. თუმცა ასე არ ფიქრობდნენ თვითონ ლოტარინგიული გუნდის წევრები, რომლებმაც შეძლეს და დასკვნით თხუთმეტ წუთში ორჯერ გაუტანეს გოლი საფრანგეთის ნაკრების მეკარე ფაბიენ ბარტეზს — 2:2.

როგორც იქნა გაიმარჯვა „მარსელმაც“, რომელსაც ხუთი მოუგებელი მატჩი ჰქონდა დაგროვილი. ისე, „ოლიმპიკს“ პირველი დივიზიონის დებიუტანტ „ტრუასთან“ საკმაოდ გაუჭირდა.

**გაიოზ თალაკვაძე**



REUTERS ბორდოდან

ბორდო — ლიონი 1:3. ბორდოელ ფრანსუა გრენიეს (№14) ორი გოლის გამტანი სონი ანდერსონი მისდევს

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| პსჟ | 7 | 4 | 2 | 1 | 10:6 | 14 |
| ლიონი | 7 | 4 | 2 | 1 | 10:6 | 14 |
| ოსერი | 7 | 4 | 2 | 1 | 10:8 | 14 |
| ნანტი | 7 | 4 | 0 | 3 | 10:4 | 12 |
| სედანი | 7 | 4 | 0 | 3 | 13:11 | 12 |
| მონაკო | 7 | 3 | 2 | 2 | 15:9 | 11 |
| სტრასბური | 7 | 3 | 2 | 2 | 7:7 | 11 |
| მარსელი | 7 | 2 | 4 | 1 | 9:7 | 10 |
| მონპელიე | 7 | 3 | 1 | 3 | 11:13 | 10 |
| ბორდო | 7 | 2 | 2 | 3 | 12:11 | 8 |
| ბასტია | 7 | 2 | 2 | 3 | 9:12 | 8 |
| ლანსი | 7 | 2 | 2 | 3 | 4:7 | 8 |
| რენი | 7 | 2 | 2 | 3 | 8:12 | 8 |
| მეცი | 7 | 1 | 4 | 2 | 6:5 | 7 |
| ნანსი | 7 | 2 | 1 | 4 | 10:11 | 7 |
| სენტ ეტიენი | 7 | 1 | 3 | 3 | 13:16 | 6 |
| ლე ავრი | 7 | 1 | 3 | 3 | 7:11 | 6 |
| ტრუა | 7 | 2 | 0 | 5 | 4:12 | 6 |

### მეორე დივიზიონი

X ტური. გენგამი — ვასკეალი 3:1; ნიმი — ლუანი 2:1; ნიცა — შატორუ 0:0; აიაჩო — კრეტეი 2:0; ლორიანი — ვალანსი 3:1; გენიონი — კანი 1:1; სოშო — კაენი 1:2; ლილი — ლე მანი 2:0; ამიენი — ნიორი 0:0; ლავალი — ტულუზი 0:3

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ლილი | 10 | 9 | 1 | 0 | 18:4 | 28 |
| ამიენი | 10 | 4 | 6 | 0 | 15:8 | 18 |
| გენგამი | 10 | 5 | 3 | 2 | 16:12 | 18 |
| ნიმი | 10 | 5 | 3 | 2 | 12:8 | 18 |
| კანი | 10 | 5 | 3 | 2 | 10:7 | 18 |
| ტულუზი | 10 | 5 | 2 | 3 | 14:7 | 17 |
| კაენი | 10 | 4 | 4 | 2 | 11:8 | 16 |
| ლე მანი | 10 | 4 | 4 | 2 | 13:12 | 16 |
| ლორიანი | 10 | 4 | 2 | 4 | 11:9 | 14 |
| კრეტეი | 10 | 3 | 3 | 4 | 10:12 | 12 |
| სოშო | 10 | 3 | 2 | 5 | 11:13 | 11 |
| გენიონი | 10 | 2 | 5 | 3 | 10:12 | 11 |
| აიაჩო | 10 | 3 | 2 | 5 | 10:14 | 11 |
| ვალანსი | 10 | 2 | 4 | 4 | 10:13 | 10 |
| ნიცა | 10 | 1 | 6 | 3 | 7:10 | 9 |
| ლუანი | 10 | 2 | 3 | 5 | 8:12 | 9 |
| ლავალი | 10 | 2 | 3 | 5 | 7:11 | 9 |
| ნიორი | 10 | 1 | 5 | 4 | 6:12 | 8 |
| ვასკეალი | 10 | 1 | 4 | 5 | 4:10 | 7 |
| შატორუ | 10 | 1 | 3 | 6 | 10:19 | 6 |

## ჰოლანდია

V ტური

**კამბური 1:3 ტვენტე**
1:0 ნელისე (6), 1:1 ვან დერ ლაანი (50პ), 1:2 დე ვიტე (78), 1:3 ჰესელინკი (90)

**ფეიენოორდი 1:0 სიტარდი**
1:0 ვან ვონდერენი (76)

**დენ ბოსხი 1:1 მაასტრიხტი**
0:1 პერესი (69), 1:1 დეკერსი (81)

**ტილბურგი 3:1 ალკმაარი**
1:0 სესაი (3), 2:0 არტსი (15), 2:1 ლანდერლო (42), 3:1 სანუ (78)

**უტრეხტი 2:1 გრააფსხაპი**
1:0 ვრევენი (30), 1:1 რაჰმან ისა (54), 2:1 კუუტი (85)

**ვიტესი 2:1 სპარტა**
1:0 სიკორა (28), 2:0 ვან ჰოიდონკი (67პ), 2:1 უსტა (84)

**როდა 0:2 ჰერენვენი**
0:1 ჰუიზინგი (6), 0:2 ტალანი (54)

**ვალვაიკი 1:1 აიაქსი**
0:1 კნოპერი (35), 1:1 ლენკორი (88)

წინა ტურში როტერდამის „ფეიენოორდთან“ დასანანად დაკარგული ორი ქულის შემდეგ ამსტერდამის „აიაქსს“ ლიდერთა შორის დასამკვიდრებლად მოგება სჭირდებოდა, მაგრამ მისდა საუბედუროდ, ბედმა უმუხთლა — თითქმის მოგებული შეხვედრის ბოლო წუთებზე მცველებს მასპინძელთა თავდასხმა გამოეპარათ და გუნდიც კვლავ ქულის ამარა დარჩა.

ვფიქრობთ, საფუძველს მოკლებული არ იქნება, თუ ვიტყვით, რომ დღესდღეობით ამსტერდამელებს დანიური გული უძგერთ — სწორედ დანიელი ბრაიან ლაუდრუპია „აიაქსის“ მასულდგმულებელი და რომ არა იგი, კლუბი შესაძლოა დღესაც ვერ მოხვედრილიყო მოწინავეთა შორის.

„ვალვაიკთან“ მატჩში, ისევე, როგორც წინა შეხვედრებში, ევროპის 1992 წლის ჩემპიონი „აიაქსის“ საუკეთესო მოთამაშე გახლდათ. ის ერთადერთი გოლიც, რომელიც რიჩარდ კნოპერმა შეაგდო, სწორედ დანიელის პასის შემდეგ გავიდა. აქვე დავძენთ, რომ ჰოლანდიელი მიმომხილველები დედაქალაქის კლუბის ხელმძღვანელების ბოლო ხანების ერთადერთ სწორ და მართებულ ნაბიჯად ბრაიან ლაუდრუპის შეძენას მიიჩნევენ, მიუხედავად იმისა, რომ სეზონის დაწყებამდე იან ვოუტერსმა და კომპანიამ მის გარდა ბერძენი ბომბარდირი ნიკოს მახლასი და გამოცდილი ჰოლანდიელი ნახევარმცველი არონ ვინტერი იყიდა.

სტუმრად დაკარგულმა ორმა ქულამ „აიაქსი“ მეოთხე ადგილზე დააფუძნა და ამ ტურისგან თავისუფალ „ეინდჰოვენსა“ და „უტრეხტს“ შუა მოაქცა.

ლიდერი კვლავაც როტერდამის „ფეიენოორდი“, [illegible] ჩემპიონი.

[illegible] „სიტარდს“ მასპინძლობდა, გუნდს, რომელსაც ჩემპიონებმა გასულ სეზონში სტუმრად 2:1, ხოლო შინ 4:1 სძლიეს.

ამჯერად „ფეიენოორდს“ ძალიან გაუჭირდა სტუმართა მასირებული დაცვის დაძლევა, თუმცა საბოლოოდ მაინც იმარჯვა. ის, რაც ვერ მოახერხეს თავდამსხმელებმა, შეძლო მცველმა კის ვან ვონდერენმა — მის მიერ ცაციათი უძლიერესად დარტყმული ბურთი ყველა სიტარდელს გასცდა და კარის ბადეში გაეხვია. ამიტომ იყო, ბენჰაკერმა მატჩისშემდგომ პრესკონფერენციაზე ვან ვონდერენის მიმართ საქებარი სიტყვები რომ არ დაიშურა. შეგახსენებთ, რომ ჩემპიონთა ლიგის მატჩში, დორტმუნდის „ბორუსიასთან“ როტერდამელთა ერთადერთი გოლი სწორედ ვან ვონდერენმა შეაგდო.

ჩემპიონთა ლიგის მეორე ჰოლანდიელი ბინადარი, რუსული „სპარტაკისგან“ შინ შერცხვენილი „ტილბურგი“ შაბათ საღამოს უეფას თასის 1981 წლის ფინალისტ „ალკმაარს“ მაგრად დაუხვდა და 3:1 აჯობა. კო ადრიანსეს გუნდი ჯერაც დაუმარცხებელია და ისევე, როგორც შარშან, წლეულსაც ჩემპიონობის პრეტენდენტია.

მორიგ ტურში ერთი პრინციპული მატჩია — ოთხიდან ოთხივე შეხვედრის მომგები „ეინდჰოვენი“ უძლეველ „ტილბურგს“ მასპინძლობს. ამ გუნდების ერთი წლის წინანდელი დაპირისპირება, რომელიც ეინდჰოვენში 19 დეკემბერს გაიმართა, მასპინძლებმა 1:0 მოიგეს.

**ლაშა გოდუაძე**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ფეიენოორდი | 5 | 4 | 1 | 0 | 14:3 | 13 |
| ტილბურგი | 5 | 4 | 1 | 0 | 13:6 | 13 |
| პსვ | 4 | 4 | 0 | 0 | 14:4 | 12 |
| აიაქსი | 5 | 3 | 2 | 0 | 15:7 | 11 |
| უტრეხტი | 4 | 3 | 0 | 1 | 4:4 | 9 |
| ტვენტე | 5 | 2 | 2 | 1 | 8:5 | 8 |
| ვალვაიკი | 5 | 2 | 2 | 1 | 7:5 | 8 |
| ვიტესი | 5 | 2 | 2 | 1 | 10:10 | 8 |
| როდა | 5 | 2 | 1 | 2 | 7:8 | 7 |
| ჰერენვენი | 5 | 2 | 0 | 3 | 10:11 | 6 |
| ალკმარი | 4 | 2 | 0 | 2 | 6:7 | 6 |
| სპარტა | 4 | 1 | 0 | 3 | 5:7 | 3 |
| გრააფსხაპი | 4 | 0 | 2 | 2 | 3:5 | 2 |
| დენ ბოსხი | 4 | 0 | 2 | 2 | 3:8 | 2 |
| კამბური | 5 | 0 | 2 | 3 | 3:12 | 2 |
| მაასტრიხტი | 5 | 0 | 2 | 3 | 7:18 | 2 |
| სიტარდი | 5 | 0 | 1 | 4 | 4:9 | 1 |
| ნაიმეგენი | 3 | 0 | 0 | 3 | 5:9 | 0 |

## ბელგია

VI ტური

**აალსტი 1:0 ლოკერენი**
1:0 კორემანი (6)

**ჰარელბეკე 1:1 ბრიუგე**
0:1 იანსენი (25), 1:1 პაასი (40პ)

**ანდერლეხტი 2:1 სტ. ტრუიდენი**
1:0 რაძინსკი, 2:0 ზეტერბერგი, 2:1 მერტენსი

**ვესტერლო 0:2 ლიერსი**
0:1 დაემსი (60), 0:2 კავენსი (75)

**გენკი 2:2 მუსკრონი**
0:1 ვიდოვიჩი (5), 0:2 ვანდერჰაეგე (21), 1:2 ხორვატი (35), 2:2 შტრუპარი (65)

**მეხელენი 1:0 ლომელი**
1:0 ვან ჰუტი (7)

**ბეერსხოტი 4:1 გეელი**
1:0 ჰოფმანსი (18), 1:1 კურტო (35), 2:1 დეგრიზი (37), 3:1 დემკინი (60), 4:1 მარინოვიჩი (61)

**გენტი 4:1 ბევერენი**
1:0, 2:0 არსტი (7, 24), 2:1 ნუი (50), 3:1 იოლი (61), 4:1 არსტი (69)

**სტანდარდი 1:3 შარლერუა**
0:1 ბრონო (1), 0:2 ალბერი (18), 1:2 მ. მპენზა (21), 1:3 სანდრო სოუზა (66)

საქართველოს ნაკრების მცველის — გელა შეყილაძის „ლიერსი“ ბელგიის ჩემპიონატის ერთპიროვნული ლიდერი გახდა, მას შემდეგ, რაც კვირას უმძიმესი მატჩი მოიგო. „ლიერსმა“ სტუმრად „ვესტერლოს“ 2:0 სძლია. შეყილაძის თანაგუნდელებმა მატჩის დასასრულამდე ნახევარი საათით ადრე გატეხეს მასპინძლები. მე-60 წუთზე დაემსმა გამოიჩინა თავი, 15 წუთში კი კავენსმა მეორე გოლი გაიტანა. აღსანიშნავია, რომ „ლიერსის“ დაცვამ საიმედოდ ამოკეტა ჩემპიონატის საუკეთესო ბომბარდირი ტონი ბროგნო.

კვლავ წააგო ლაშა ჯაკობიას „სტანდარდმა“. ლიეჟელები ამჯერად შინ 1:3 დამარცხდნენ „შარლერუასთან“.

**სიმონ მენაბდე**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ლიერსი | 6 | 5 | 0 | 1 | 16:7 | 15 |
| ბრიუგე | 5 | 4 | 1 | 0 | 14:3 | 13 |
| ანდერლეხტი | 5 | 4 | 1 | 0 | 16:8 | 13 |
| გენტი | 6 | 4 | 0 | 2 | 17:11 | 12 |
| აალსტი | 6 | 3 | 1 | 2 | 13:9 | 10 |
| ვესტერლო | 5 | 3 | 1 | 1 | 13:10 | 10 |
| ბეერსხოტი | 6 | 3 | 1 | 2 | 12:9 | 10 |
| გენკი | 6 | 2 | 3 | 1 | 16:11 | 9 |
| შარლერუა | 6 | 3 | 0 | 3 | 11:10 | 9 |
| მეხელენი | 6 | 3 | 0 | 3 | 8:11 | 9 |
| მუსკრონი | 6 | 2 | 2 | 2 | 12:12 | 8 |
| ჰარელბეკე | 6 | 1 | 3 | 2 | 7:9 | 6 |
| ლომელი | 6 | 1 | 2 | 3 | 8:12 | 5 |
| გეელი | 6 | 0 | 4 | 2 | 4:11 | 4 |
| სტანდარდი | 6 | 1 | 1 | 4 | 4:12 | 4 |
| ლოკერენი | 6 | 0 | 3 | 3 | 4:9 | 3 |
| სენტ ტრუიდენი | 6 | 0 | 2 | 4 | 5:16 | 2 |
| ბევერენი | 5 | 0 | 1 | 4 | 6:16 | 1 |

რეკლამა სარბიელ-ში
Tel: 39 40 08, 93 16 08; Fax: 93 16 08

## რუსეთი

### XIV ტური

**ნ. ნოვგოროდი 2:4 სპარტაკი**

0:1 რობსონი (51), 0:2 ტიტოვი (61), 0:3 ციმბალარი (64), 0:4 ტიტოვი (66), 1:4 ავაქოვი (74), 2:4 ვიაზმიკინი (89)

**ლოკომოტივი 1:0 ურალანი**

1:0 ჩერევჩენკო (31)

**ჟემჩუჟინა 1:0 შინიკი**

1:0 დემენკო (40)

**სატურნი 1:0 ზენიტი**

1:0 სოლოვიევი (3)

**დინამო 0:0 ალანია**

**ტორპედო 2:2 ცსკა**

1:0 კამოლცევი (5), 1:1 ვარლამოვი (20), 2:1 გაშკინი (80), 2:2 სემაკი (79)

**კრილია 1:1 ჩერნომორეცი**

1:0 მიკაელიანი (82ვ), 1:1 გორდიუკი (87)

**როსტსელმაში 1:1 როტორი**

0:1 ოლენიკოვი (20), 1:1 დუიუნი (79)

ბოლო 40 წლის განმავლობაში პირველად ნიჟნი ნოვგოროდის „ლოკომოტივის" სტადიონზე, რომელიც 18 000 კაცს იტევს, 3 ათასით მეტი მაყურებელი მოთავსდა. გულშემატკივრებს გაუმართლათ. მართალია, მასპინძლებმა წააგეს, მაგრამ ბრწყინვალედ მოთამაშე „სპარტაკსა" და ლამაზ გოლებს ადევნეს თვალი. სტუმართაგან განსაკუთრებით რობსონი და ტიტოვი გამოირჩნენ. ორივემ დაუვიწყარი წუთები აჩუქა ფეხბურთის მოყვარულებს. ძნელია, ძალიან ძნელია ახლა რუსულ ჩემპიონატში „სპარტაკის" შეჩერება. ოლეგ რომანცევმა მართლაც მობილური გუნდი ჩამოაყალიბა და თამაშს თამაშზე იგებს. თუმცა, არც იური სიომინის „ლოკომოტივი" ნებდება ჩემპიონს და პირველი ადგილისთვის ბრძოლას ინტრიგას უნარჩუნებს. რკინიგზელებმა, ევროსარბიელზე ნათამაშების ჩათვლით, ზედიზედ მერვე შეხვედრა მოიგეს. თანაც ბოლო ორ მატჩში ტრავმირებული ზაზა ჯანაშიას გარეშე იზეიმეს გამარჯვება.

უეფას თასის მომავალი გათამაშების საგზურებისთვის მებრძოლმა ოთხმა მთავარმა პრეტენდენტმა 24-ე ტურში ფრედ ითამაშა. „ტორპედო" და ცსკა 2:2-ზე დაცილდნენ, მოსკოვის „დინამო" კი უგოლოდ დაუზავდა ნასტუმრევ „ალანიას", რომლის შემადგენლობაშიც ქართველებიდან მხოლოდ დემეტრაძემ ითამაშა. ვლადიკავკაზელებს ხუთეულში მოხვედრის და დედაქალაქური კლუბების ჰეგემონიის დამხობის არცთუ ურიგო შანსი აქვთ.

უჭირს ქართველების „კრილიას". სამარელებმა კვლავ ვერ მოიგეს და ახლა უმაღლესი დივიზიონის დატოვება სერიოზულად ემუქრებათ. არადა, ისინი ახლოს იყვნენ სანუკვარ სამ ქულასთან, მაგრამ „ჩერნომორეცის" ქართველმა კაპიტანმა ბადრი სპანდერაშვილმა ლომის წილი დაიდო ანგარიშის გათანაბრებაში. სტანდარტული მდგომარეობიდან სპანდერაშვილმა გვარამაძის კარის საჯარიმოში ჩააწოდა, „კრილიას" მცველების მოგერიებული ბურთი კვლავ მასთან მიგორდა და ბადრიმ ისევ კარისკენ ჩაჰკიდა. აქ კი გორდიუკმა იმარჯვა და მასპინძლები გააოგნა — 1:1.

მატჩისშემდგომ პრესკონფერენციაზე „კრილიას" მთავარმა მწვრთნელმა — ალექსანდრ ტარხანოვმა თქვა: „ჩვენი გუნდი გინესის რეკორდების წიგნშია შესატანი, რადგან იმდენ გოლს ვუშვებთ სტანდარტული მდგომარეობებიდან, არა მგონია, ასეთ რამეს სხვა ვინმე ახერხებდეს".

ვოლგოგრადის „როტორმა" ზედიზედ მეოთხე შეხვედრა დაამთავრა ფრედ. თუმცა რუსულ გათამაშებას უფრო მეტიც უნახავს. შარშანდელ სეზონში მოსკოვის „დინამომ" 7-ჯერ მოახერხა მსგავსი რამის გაკეთება.

**ხვიჩა სანიძიძე**

| ბომბარდირები | |
|---|---|
| დემეტრაძე (ალანია) | 18 |
| ტიხონოვი (სპარტაკი) | 16 |
| ავაქოვი (ნ. ნოვგოროდი) | 12 |
| ლოსკოვი (ლოკომოტივი) | 12 |

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| სპარტაკი | 26 | 19 | 5 | 2 | 61:20 | 62 |
| ლოკომოტივი | 24 | 17 | 4 | 3 | 53:23 | 55 |
| ცსკა | 24 | 11 | 9 | 4 | 42:23 | 42 |
| ტორპედო | 24 | 10 | 10 | 4 | 31:27 | 40 |
| დინამო | 24 | 10 | 6 | 8 | 37:33 | 36 |
| ალანია | 23 | 10 | 5 | 8 | 43:30 | 35 |
| ზენიტი | 24 | 8 | 8 | 8 | 28:27 | 32 |
| როსტსელმაში | 23 | 7 | 7 | 9 | 22:28 | 28 |
| სატურნი | 25 | 7 | 7 | 11 | 23:32 | 28 |
| ნ. ნოვგოროდი | 24 | 8 | 4 | 12 | 27:39 | 28 |
| როტორი | 24 | 6 | 7 | 11 | 30:43 | 25 |
| ჩერნომორეცი | 24 | 6 | 7 | 11 | 23:37 | 25 |
| ჟემჩუჟინა | 24 | 5 | 9 | 10 | 21:37 | 24 |
| კრილია | 25 | 6 | 5 | 14 | 32:43 | 23 |
| ურალანი | 24 | 6 | 5 | 13 | 19:32 | 23 |
| შინიკი | 24 | 4 | 8 | 12 | 14:32 | 20 |




ნიჟნი ნოვგოროდი — სპარტაკი 2:4. სტუმართაგან ერთ-ერთ საუკეთესოს ბრაზილიელ რობსონს უხეშად გაუმასპინძლდნენ

სარბიელის საერთაშორისო სატელეფონო კავშირს უზრუნველყოფს კომპანია საქტელეკომ პლუსი
☎ 99 67 67, 98 30 20

# აგრძელებენ და გააგრძელებენ

## ჩემპიონთა ლიგა. მეორე ტური

მსოფლიოს 1994 წლის ორი გამარჯვებული დაუპირისპირდება დღეს ერთმანეთს მილანის დიდებულ სტადიონ „სან სიროზე" — მასპინძელთა შორის ლეონარდო, სტუმართა რიგებში კი კლაუდიო ტაფარელი, ორივე ერთი და იმავე ქვეყნის, ბრაზილიის შვილი.

ამ ბოლო დროს ლეონარდო მზაკვრულ საჯარიმო დარტყმებს ასრულებს, მაგრამ საეჭვოა ტაფარელთანაც შეძლოს გალაღება — სტამბოლის „გალათასარაის" მეკარე იქადნება, მილანელებს გოლს არ გავატანინებო.

ქვეყნის ჩემპიონატის ბოლო ტურში „მილანიც" და „გალათასარაიც" დაუმარცხებელი გამოვიდა, თუმცაღა აშკარად ეტყობოდათ, რომ გადაღლილნი იყვნენ — „მილანმა" „ბარის" დამარცხება ვერ შეძლო და ფრედ 1:1 ითამაშა, „გალათასარაიმ" კი მართალია, მოიგო 4:3, მაგრამ მეტოქე „ადანასფორის" თავდასხმამ სტამბოლელთა დაცვა გაარღვია.

მილანელთა მწვრთნელი ალბერტო ძაკერონისაც დაცვის თამაში აფიქრებს.

— ვცდილობთ, კლუბის დაცვა ისეთივე გაუვალი გახდეს, როგორიც ადრე იყო, მაგრამ ჩანს, ჯერ ძალიან ბევრი გვაკლია. მაინც ვიმედოვნებ, რომ ფეხბურთელები შეძლებენ „გალათასარაის" წინააღმდეგობის დაძლევას. ჩვენ აუცილებლად გვჭირდება მოგება და ვგონებ, სამ ქულას კიდეც მოვიპოვებთ.

„მილანის" დარად წამატებაზე ფიქრობს „გალათასარაიც". თურქებს იტალიურ კლუბებთან პაექრობის საკმაო გამოცდილება აქვთ და სწორედ ამას ემყარება მათი იმედები — გახსოვთ ალბათ, წინა გათამაშებაში „გალათასარაი" ტურინის „იუვენტუსს" ჯგუფის გამარჯვებულის სახელს ეცილებოდა, მაგრამ საბოლოოდ ვერას გახდა, თუმცაღა იტალიის ყველაზე ტიტულიან კლუბთან ორჯერ ფრედ ითამაშა.

— „მილანის" უძლეველობა უბრალოდ, მოგონილი ამბავია. „გალათასარაი" დღესდღეობით ნამდვილადაა იმ დონის კლუბი, „სან სიროზე" მასპინძელთა დამარცხება რომ შეეძლოს. მსურს და ალბათ ასეც მოხდება — „მილანს" დავამარცხებთ და სამ ქულას მოვიპოვებთ — განაცხადა თურქთა მწვრთნელმა ფათიხ თერიმმა.

ძნელი მისახვედრი არაა — თურქებს სჯერათ, „მილანს" დაამარცხებენ, მიუხედავად იმისა, რომ მეტოქეს სტუმრად ეთამაშებიან.

თურქთა დარად, გამარჯვებაში დარწმუნებულია შოტლანდიური ფეხბურთის სიმბოლო „გლაზგო რეინჯერსი", თუმცაღა სქოთები აცხადებენ, სიფრთხილეს თავი არ სტკივაო. შეგახსენებთ, რომ შოტლანდიელები ჩემპიონთა ლიგის ბოლო გათამაშების დრამატულად ძლეულ ფინლისტს მიუნხენის „ბაიერნს" მასპინძლობენ.

გერმანელებს მეკარის პრობლემა აწუხებთ — მოგეხსენებათ, ბუნდესლიგის ბოლო ტურში „ბაიერნმა" ფრანკფურტის „აინტრახტს" სძლია 2:1. მოგება ოტმარ ჰიცფელდის გუნდს ძალიან ძვირად დაუჯდა — ძირითადი მეკარე ოლივერ კანი მძიმედ დაემტვრათ. დაუშავდათ სათადარიგო მეკარე ბერნდ დრეჰერიც. „გლაზგო რეინჯერსის" წინააღმდეგ „ბაიერნი" მეოთხე მეკარით, შტეფან ვესელით აპირებს ასპარეზობას, რადგან ზემოთ ხსენებული ტრავმირებული პირველი ორი მეკარის დარად, მესამე ნომერი სვენ შეუერიც ტრავმირებულია.



„ჩელსის" და „მილანის" დაპირისპირება პირველ ტურში ფრედ 0:0 დასრულდა. მეორე ტურში ორივე ეცდება მეტოქეთა დამარცხებას

— სხვა გზა არ გვაქვს — კარი ვესელს უნდა ვანდოთ. უცნაური კია „ბაიერნში" ვესელის დებიუტი პირდაპირ ჩემპიონთა ლიგის მატჩში რომ შედგება, მაგრამ რა ვქნათ, გამოსავალი არ არის — აცხადებს ოტმარ ჰიცფელდი.

გლაზგოელთა იტალიელი კაპიტანი ლორენცო ამოროზო ფიქრობს, რომ გერმანელთა განადგურების შანსი ეძლევათ და გამოიყენებენ კიდეც:

— შევუტიოთ და შევუტიოთ. „გლაზგო რეინჯერსი" ძლიერი კლუბია და ჩვენ შეგვწევს ძალა, ვძლიოთ მიუნხენელებს. მთავარია, ბევრი გოლი გავიტანოთ — აცხადებს ამოროზო.

დღესვე ჩემპიონთა თასის შვიდგზის მფლობელი მადრიდის „რეალი" უტიტულო „მიოლდეს" მასპინძლობს — ნორვეგიელებმა პირველი მატჩი „პორტუსთან" დათმეს და ახლა სურთ, ქულები მოიპოვონ.

ტოშაკი, ესპანელთა უელსელი მწვრთნელი, ფიქრობს, რომ „რეალი" სამი ახალგაზრდა თავდამსხმელით შეუტევს „მიოლდეს" — ტრავმის შემდეგ მომჯობინებულ რაულს მხარს ფერნანდო მორიენტესი და ნიკოლა ანელკა აუბამენ. მადრიდელებს არ ეყოლებათ მეკარე ბოდო ილგნერი და ფერნანდო იერო — ისინი ტრავმირებულნი არიან.

რომში მძიმე გამოცდა ელის კიევის „დინამოს". სლოვენიური „მარიბორისგან" ძლეული ვალერი ლობანოვსკის ბიჭები თასთა თასის მფლობელებთან შეხვედრაში აუტსაიდერად კი არიან მიჩნეულნი, მაგრამ არაა გამორიცხული, უკრაინელებმა სიურპრიზი შემოგვთავაზონ.

სხვათა შორის, გაირკვა, რომ კიეველებს „ლაციოსთან" ხუთი ფეხბურთელი დააკლდებათ — ვალენტინ ბელკევიჩი, არტიომ იაშკინი, სერგეი კორმილცევი, ვასილი კარდაში და დმიტრი მიხაილენკო ტარვმირებულნი არიან.

## პოლონეთი

IX ტური. გროცლინი — ამიცა 1:1; პლოცკი — ლეხი 2:1; რაძიონკოვი — ლეგია 1:1; ვიძევი — ოდრა 1:1; რუხი — ვისლა 1:1; პოლონია — ლკს 1:0; ჰალეკსი — გურნიკი 1:0; პოგონი — ზაგლებე 1:0

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| რუხი | 9 | 6 | 3 | 0 | 19:6 | 21 |
| პოლონია | 9 | 6 | 2 | 1 | 17:7 | 20 |
| ვისლა | 9 | 5 | 3 | 1 | 19:11 | 18 |
| პლოცკი | 9 | 5 | 1 | 3 | 14:13 | 16 |
| ამიცა | 9 | 4 | 3 | 2 | 15:12 | 15 |
| ჰალეკსი | 9 | 4 | 3 | 2 | 11:11 | 15 |
| პოგონი | 9 | 3 | 5 | 1 | 11:10 | 14 |
| ზაგლებე | 9 | 4 | 2 | 3 | 10:9 | 14 |
| გურნიკი | 9 | 3 | 4 | 2 | 21:13 | 13 |
| ლეგია | 9 | 2 | 6 | 1 | 12:12 | 12 |
| ლკს | 8 | 2 | 3 | 3 | 3:5 | 9 |
| რაძიონკოვი | 9 | 2 | 2 | 5 | 6:16 | 8 |
| ოდრა | 9 | 1 | 3 | 5 | 10:14 | 6 |
| ვიძევი | 8 | 1 | 3 | 4 | 11:16 | 6 |
| ლეხი | 9 | 0 | 2 | 7 | 7:18 | 2 |
| გროცლინი | 9 | 0 | 1 | 8 | 6:19 | 1 |

## თურქეთი

IV ტური. ისთანბული — ფენერბაჰჩე 1:4; ვანი — ბეშიქთაში 0:6; გაზიანთეფი — გიოზთეფე 2:1; ალთაი — ერზურუმი 3:0; დენიზლი — სამსუნი 4:1; ანკარაგიუჯიუ — ანთალია 1:3; ტრაბზონი — ბურსა 2:0; ადანა — გალათასარაი 3:4; გენჩლერბირლიგი — ქოჯაელი 0:4

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ფენერბაჰჩე | 4 | 3 | 1 | 0 | 11:5 | 10 |
| გალათასარაი | 4 | 3 | 0 | 1 | 12:6 | 9 |
| ტრაბზონი | 4 | 3 | 0 | 1 | 7:3 | 9 |
| გაზიანთეფი | 4 | 3 | 0 | 1 | 6:4 | 9 |
| ანთალია | 4 | 3 | 0 | 1 | 6:4 | 9 |
| ბეშიქთაში | 4 | 2 | 1 | 1 | 11:2 | 7 |
| ალთაი | 4 | 2 | 1 | 1 | 8:4 | 7 |
| დენიზლი | 4 | 2 | 1 | 1 | 7:5 | 7 |
| გენჩლერბირლიგი | 4 | 2 | 1 | 1 | 5:6 | 7 |
| ქოჯაელი | 4 | 1 | 3 | 0 | 8:4 | 6 |
| სამსუნი | 4 | 2 | 0 | 2 | 5:9 | 6 |
| გიოზთეფე | 4 | 1 | 2 | 1 | 3:2 | 5 |
| ერზურუმი | 4 | 1 | 1 | 2 | 5:7 | 4 |
| ისთანბული | 4 | 1 | 0 | 3 | 2:7 | 3 |
| ადანა | 4 | 0 | 1 | 3 | 5:8 | 1 |
| ვანი | 4 | 0 | 1 | 3 | 3:12 | 1 |
| ანკარაგიუჯიუ | 4 | 0 | 1 | 3 | 1:10 | 1 |
| ბურსა | 4 | 0 | 0 | 4 | 1:8 | 0 |

## ნორვეგია

XXII ტური. სტაბეკი — მოლდე 4:2; ვიკინგი — ბრანი 2:0; ლილესტრიომი — ბოდიო გლიმტი 3:0; მოსი — ვოლერენგა 1:0; ოდ გრენლანდი — სტრიომსგოდსეტი 2:2; სკეიდი — რუსენბორგი 1:7; ტრომსიო — კონგსვინგერი 4:1

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| რუსენბორგი | 23 | 17 | 2 | 4 | 69:24 | 53 |
| ბრანი | 23 | 15 | 1 | 7 | 41:34 | 46 |
| ლილესტრიომი | 23 | 14 | 3 | 6 | 55:34 | 45 |
| მოლდე | 23 | 13 | 2 | 8 | 45:37 | 41 |
| ტრომსიო | 23 | 11 | 4 | 8 | 59:40 | 37 |
| სტაბეკი | 23 | 11 | 4 | 8 | 50:45 | 37 |
| ვიკინგი | 23 | 11 | 3 | 9 | 45:39 | 36 |
| ოდ გრენლანდი | 23 | 10 | 3 | 10 | 34:43 | 33 |
| ბოდიო გლიმტი | 23 | 9 | 4 | 10 | 46:47 | 31 |
| მოსი | 23 | 8 | 2 | 13 | 34:42 | 26 |
| სტრიომსგოდ. | 23 | 7 | 3 | 13 | 39:53 | 24 |
| ვოლერენგა | 23 | 6 | 3 | 14 | 33:49 | 21 |
| კონგსვინგერი | 23 | 5 | 2 | 16 | 30:54 | 17 |
| სკეიდი | 23 | 5 | 2 | 16 | 29:68 | 17 |

ფეხბურთი

## პორტუგალია

IV ტური

**ბელენენსეში 4:2 ალვერკა**

1:0 კარლუში (8), 1:1 ნევესი (35), 2:1 სე-ბა (43), 3:1 სებრალი (71), 3:2 ნევესი (83), 4:2 კარლუში (84)

**გიმარაეში 1:0 ვისენტე**

1:0 ფერნანდო მეირა (50)

**მარიტიმუ 3:0 ფარენსე**

1:0 სუნუდცა (29), 2:0 რამონი (56), 3:0 იოკანოვიჩი (90)

**სალგეირუში 2:0 სანტა კლარა**

1:0 რენატუ სილვა (33პ), 2:0 მანუელ რამოსი (90)

**პორტუ 4:1 რიუ ავე**

1:0 ჟარდელი (15), 1:1 ვისენტე (27), 2:1, 3:1 ჟარდელი (49, 76), 4:1 რუი ბაროსი (90)

**ლეირია 0:0 ბოავიშტა**

**კამპომაიორენსე 2:4 ბრაგა**

0:1 რენე რივასი (5ს.კ.), 1:1 სილვა (51), 1:2 ელპიდიუ სილვა (55), 1:3 ჟოზე ბა-რუში (84), 1:4 პენაში (89), 2:4 როჟე-რიუ მატიაში (90პ)

**ბენფიკა — სეტუბალი**

**სპორტინგი — ამდორა**

ნუხელ გვიან გაიმართა

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| გიმარაეში | 4 | 2 | 2 | 0 | 7:3 | 8 |
| პორტუ | 4 | 2 | 2 | 0 | 6:2 | 8 |
| ბოავიშტა | 4 | 2 | 2 | 0 | 3:1 | 8 |
| ბელენენსეში | 4 | 2 | 1 | 1 | 8:4 | 7 |
| სპორტინგი | 3 | 2 | 1 | 0 | 7:3 | 7 |
| ჟილ ვისენტე | 4 | 2 | 1 | 1 | 6:2 | 7 |
| ბენფიკა | 3 | 2 | 1 | 0 | 5:1 | 7 |
| რიუ ავე | 4 | 2 | 1 | 1 | 7:6 | 7 |
| ალვერკა | 4 | 2 | 1 | 1 | 6:6 | 7 |
| სალგეირუში | 4 | 2 | 0 | 2 | 4:5 | 6 |
| სეტუბალი | 3 | 1 | 1 | 1 | 6:5 | 4 |
| მარიტიმუ | 4 | 1 | 1 | 2 | 5:5 | 4 |
| ბრაგა | 4 | 1 | 0 | 3 | 6:7 | 3 |
| ფარენსე | 4 | 1 | 0 | 3 | 2:10 | 3 |
| ამადორა | 3 | 0 | 2 | 1 | 3:6 | 2 |
| ლეირია | 4 | 0 | 2 | 2 | 2:5 | 2 |
| სანტა კლარა | 4 | 0 | 2 | 2 | 2:7 | 2 |
| კამპომაიორენსე | 4 | 0 | 0 | 4 | 2:9 | 0 |

## შვეიცარია

XII ტური

**არაუ 4:1 ქსამაქსი**

1:0, 2:0 ივანოვი (30, 49), 2:1 ბიელი (51), 3:1 შელდმანი (77), 4:1 ვოიჩეკოვსკი (90)

**ბაზელი 1:0 ლუგანო**

1:0 ბარბერისი (32)

**ლუცერნი 2:2 სენტ გალენი**

1:0 ზელვეგერი (26 ს.კ.), 2:0 ვისი (37), 2:1 ამოა (43), 2:2 მიულერი (78)

**სერვეტი 1:1 დელემონი**

1:0 პეტროვი (73პ), 1:1 ტომენი (79)

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| სენტ გალენი | 12 | 6 | 4 | 2 | 21:14 | 22 |
| ბაზელი | 12 | 5 | 6 | 1 | 15:7 | 21 |
| სერვეტი | 12 | 6 | 2 | 4 | 22:18 | 20 |
| გრასჰოპერი | 11 | 4 | 4 | 3 | 19:13 | 16 |
| ივერდონი | 11 | 4 | 4 | 3 | 17:13 | 16 |
| ლოზანა | 11 | 4 | 4 | 3 | 14:11 | 16 |
| ლუცერნი | 12 | 4 | 4 | 4 | 13:15 | 16 |
| არაუ | 12 | 4 | 2 | 6 | 17:25 | 14 |
| ქსამაქსი | 12 | 2 | 6 | 4 | 17:23 | 12 |
| დელემონი | 12 | 3 | 3 | 6 | 15:23 | 12 |
| ციურიხი | 11 | 2 | 5 | 4 | 8:14 | 11 |
| ლუგანო | 12 | 2 | 4 | 6 | 14:16 | 10 |

## ჩეხეთი

VII ტური. ჰრადეც კრალოვე — ოპავა 2:2; ბუდეიოვიცე — დუკლა 5:0; ბლშანი — დრნოვიცე 0:2; ბრნო — სპარტა 1:1; ბანიკი — იაბლონეცი 1:1; ლიბერეცი — ვიქტორია 1:0

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| სლავია | 6 | 4 | 2 | 0 | 8:3 | 14 |
| დრნოვიცე | 7 | 4 | 1 | 2 | 9:6 | 13 |
| ბუდეიოვიცე | 7 | 4 | 1 | 2 | 13:11 | 13 |
| სპარტა | 7 | 3 | 3 | 1 | 17:8 | 12 |
| ბოჰემიანსი | 6 | 3 | 2 | 1 | 8:5 | 11 |
| ლიბერეცი | 7 | 2 | 5 | 0 | 7:4 | 11 |
| ტეპლიცე | 6 | 3 | 1 | 2 | 11:10 | 10 |
| ბრნო | 7 | 3 | 1 | 3 | 10:11 | 10 |
| ბანიკი | 7 | 2 | 3 | 2 | 13:10 | 9 |
| დუკლა | 7 | 2 | 2 | 3 | 6:11 | 8 |
| ვიქტორია | 7 | 1 | 4 | 2 | 9:11 | 7 |
| იაბლონეცი | 7 | 2 | 1 | 4 | 7:12 | 7 |
| ბლშანი | 7 | 2 | 1 | 4 | 6:13 | 7 |
| ოპავა | 7 | 1 | 3 | 3 | 10:10 | 6 |
| სიგმა | 6 | 0 | 4 | 2 | 4:6 | 4 |
| ჰ. კრალოვე | 7 | 0 | 2 | 5 | 6:13 | 2 |

## შოტლანდია

VII ტური

**აბერდინი 1:2 დანდი იუნაიტედი**

0:1 ჰანა (33), 1:1 დოუ (51), 1:2 დოდსი (65)

**დანდი 1:2 სენტ ჯონსტონი**

1:0 პეითსი (10), 1:1, 1:2 ლოუნდესი (81, 84)

**ჰიბერნიანი 0:3 კილმარნოკი**

0:1 რეილი (12), 0:2 ჯეფი (80), 0:3 მა-კოისტი (90პ)

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| რეინჯერსი | 6 | 6 | 0 | 0 | 18:3 | 18 |
| სელტიკი | 6 | 5 | 0 | 1 | 16:3 | 15 |
| დანდი იუნ. | 7 | 4 | 2 | 1 | 12:10 | 14 |
| სტ. ჯონსტონი | 7 | 3 | 2 | 2 | 10:10 | 11 |
| ჰართსი | 6 | 3 | 1 | 2 | 12:10 | 10 |
| კილმარნოკი | 7 | 2 | 1 | 4 | 6:6 | 7 |
| დანდი | 7 | 2 | 0 | 5 | 10:14 | 6 |
| მოზერუელი | 6 | 1 | 3 | 2 | 7:11 | 6 |
| ჰიბერნიანი | 7 | 1 | 3 | 3 | 9:14 | 6 |
| აბერდინი | 7 | 0 | 0 | 7 | 1:20 | 0 |

## დანია

VIII ტური. ესბიერგი — ვიბორგი 1:2; ლიუნგბიუ — ორჰუსი 3:1; სილკებორგი — ოდენსე 0:1; ვაილე — ოლბორგი 2:2; აკადემისკი — ჰერფიოლგე 2:2; ბრიონდბიუ — კოპენჰაგენი 3:1

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| აკადემისკი | 8 | 5 | 3 | 0 | 13:3 | 18 |
| ვიბორგი | 8 | 5 | 2 | 1 | 13:8 | 17 |
| ბრონდბიუ | 8 | 5 | 1 | 2 | 14:8 | 16 |
| ჰერფიოლგე | 8 | 4 | 4 | 0 | 14:8 | 16 |
| ოლბორგი | 8 | 4 | 2 | 2 | 12:10 | 14 |
| ლიუნგბიუ | 8 | 4 | 0 | 4 | 12:10 | 12 |
| სილკებორგი | 8 | 3 | 2 | 3 | 12:5 | 11 |
| კოპენჰაგენი | 8 | 2 | 1 | 5 | 4:9 | 7 |
| ორჰუსი | 8 | 1 | 3 | 4 | 7:12 | 6 |
| ოდენსე | 8 | 1 | 3 | 4 | 7:13 | 6 |
| ვაილე | 8 | 0 | 4 | 4 | 6:16 | 4 |
| ესბიერგი | 8 | 1 | 1 | 6 | 6:18 | 4 |

## ავსტრია

VII ტური. ბრეგენცი — რაპიდი 1:1; გრაცერი — რიდი 0:0; ტიროლი — შტურმი 1:0; ლინცერი — ლუსტენაუ 3:0; ზალცბურგი — აუსტრია 0:1

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ტიროლი | 12 | 11 | 0 | 1 | 27:5 | 33 |
| რაპიდი | 12 | 7 | 2 | 3 | 18:12 | 23 |
| შტურმი | 12 | 5 | 4 | 3 | 18:10 | 19 |
| აუსტრია | 12 | 5 | 3 | 4 | 16:14 | 18 |
| რიდი | 12 | 5 | 2 | 5 | 17:11 | 17 |
| ზალცბურგი | 12 | 4 | 2 | 6 | 7:11 | 14 |
| გრაცერი | 12 | 4 | 2 | 6 | 15:20 | 14 |
| ლუსტენაუ | 12 | 4 | 2 | 6 | 12:17 | 14 |
| ლინცერი | 12 | 2 | 3 | 7 | 10:19 | 9 |
| ბრეგენცი | 12 | 2 | 2 | 8 | 8:29 | 8 |

## შვედეთი

XXI ტური. ტრელებორგი — იურგარდენი 2:2; ფრიოლუნდა — კალმარი 2:0; ჰალმსტადი — მალმიო 2:1; აიკ — ჰამარბი 2:0; ჰელსინგბორგი — ნორჩიოპინგი 0:1; ელფსბორგი — გიოტებორგი 0:1; იორგრიტე — იორებრო 1:1

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| აიკ | 21 | 13 | 4 | 4 | 33:11 | 43 |
| ჰალმსტადი | 21 | 12 | 4 | 5 | 39:18 | 40 |
| ჰელსინგბორგი | 21 | 12 | 3 | 6 | 33:22 | 39 |
| იორგრიტე | 21 | 10 | 7 | 4 | 35:18 | 37 |
| გიოტებორგი | 21 | 10 | 5 | 6 | 22:24 | 35 |
| ნორჩიოპინგი | 21 | 8 | 5 | 8 | 30:29 | 29 |
| ფრიოლუნდა | 21 | 7 | 6 | 8 | 25:28 | 27 |
| იორებრო | 21 | 8 | 3 | 10 | 22:27 | 27 |
| კალმარი | 21 | 8 | 3 | 10 | 26:33 | 27 |
| ტრელებორგი | 21 | 6 | 6 | 9 | 33:39 | 24 |
| ელფსბორგი | 21 | 6 | 5 | 10 | 31:40 | 23 |
| მალმიო | 21 | 6 | 3 | 12 | 24:36 | 21 |
| იურგარდენი | 21 | 4 | 7 | 10 | 21:34 | 19 |
| ჰამარბი | 21 | 4 | 5 | 12 | 22:37 | 17 |

## სლოვენია

მე-7 ტური. პრევალიე — სობოტა 1:1, რუსე —ველენიე 1:3, ბელტინჩი — დომჟალე 1:1, გორიცა — აიდოვშინა 5:0, სელიე — დრავოგრადი 0:0, ოლიმპია — მარიბორი 2:4

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| მარიბორი | 7 | 7 | 7 | 0 | 27:6 | 21 |
| ველენიე | 7 | 4 | 1 | 2 | 14:10 | 13 |
| ოლიმპია | 7 | 4 | 0 | 3 | 18:9 | 12 |
| დრავოგრადი | 7 | 3 | 2 | 2 | 8:9 | 11 |
| სობოტა | 7 | 3 | 1 | 3 | 9:7 | 10 |
| გორიცა | 7 | 2 | 3 | 2 | 11:11 | 9 |
| აიდოვშინა | 7 | 2 | 3 | 2 | 11:12 | 9 |
| სელიე | 7 | 1 | 5 | 1 | 8:9 | 8 |
| დომჟალე | 7 | 2 | 2 | 3 | 8:16 | 8 |
| პრევალიე | 7 | 0 | 5 | 2 | 11:13 | 5 |
| ბელტინჩი | 7 | 0 | 4 | 3 | 3:12 | 4 |
| რუსე | 7 | 0 | 2 | 5 | 4:16 | 2 |

# სარბიელი

ეროვნული ბიბლიოთეკა

# სპორტული ლატარია "CROCO"

# გათამაშების წესები

**ჩემპიონთა ლიგა. II ტური**

21 სექტემბერი

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 501 | პორტუ (პორტუგალია) — ოლიმპიაკოსი (საბერძნეთი) | 1,6 | 3,0 | 5,6 |
| 502 | რეალი (ესპანეთი) — მოლდე (ნორვეგია) | 1,1 | 6,0 | 12,0 |
| | 0:1 | 1,4 | 3,6 | 4,0 |
| 503 | რეინჯერსი (შოტლანდია) — ბაიერნი (გერმანია) | 2,6 | 2,9 | 2,4 |
| 504 | პსვ (ჰოლანდია) — ვალენსია (ესპანეთი) | 2,3 | 2,8 | 2,9 |
| 505 | სპარტაკი (რუსეთი) — სპარტა (ჩეხეთი) | 1,4 | 3,5 | 7,0 |
| | 0:1 | 2,0 | 3,2 | 2,3 |
| 506 | ბორდო (საფრანგეთი) — ტილბურგი (ჰოლანდია) | 1,2 | 5,0 | 9,0 |
| | 0:1 | 1,7 | 3,2 | 3,2 |
| 507 | ჰერტა (გერმანია) — ჩელსი (ინგლისი) | 2,5 | 2,9 | 2,5 |
| 508 | მილანი (იტალია) — გალათასარაი (თურქეთი) | 1,15 | 5,6 | 10,0 |
| | 0:1 | 1,6 | 3,0 | 3,5 |

22 სექტემბერი

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 509 | მარიბორი (სლოვენია) — ლევერკუზენი (გერმანია) | 3,6 | 2,9 | 1,9 |
| 510 | ლაციო (იტალია) — დინამო (უკრაინა) | 1,3 | 4,0 | 7,5 |
| | 0:1 | 1,9 | 3,3 | 2,5 |
| 511 | არსენალი (ინგლისი) — აიკ (შვედეთი) | 1,15 | 5,6 | 10,0 |
| | 0:1 | 1,5 | 3,5 | 3,5 |
| 512 | ბარსელონა (ესპანეთი) — ფიორენტინა (იტალია) | 1,7 | 3,0 | 4,7 |
| 513 | დორტმუნდი (გერმანია) — ბოავიშტა (პორტუგალია) | 1,15 | 5,6 | 10,0 |
| | 0:1 | 1,5 | 3,5 | 3,5 |
| 514 | რუსენბორგი (ნორვეგია) — ფეიენოორდი (ჰოლანდია) | 2,2 | 2,9 | 3,0 |
| 515 | შტურმი (ავსტრია) — მანჩესტერი (ინგლისი) | 7,5 | 4,0 | 1,3 |
| 516 | კროაცია (ხორვატია) — მარსელი (საფრანგეთი) | 2,5 | 2,9 | 2,5 |

**შვეიცარია.** გადადებული მატჩი

23 სექტემბერი

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 001 | ქსამაქსი — ბაზელი | 2,4 | 2,8 | 2,7 |

**ინგლისი. ლიგის თასი. II ეტაპი.** საპასუხო მატჩები

21 სექტემბერი

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 002 | ასტონ ვილა — ჩესტერი | 1,1 | 6,0 | 12,0 |
| 003 | ბოლტონი — ჯილინგემი | 1,4 | 3,5 | 7,0 |
| 004 | ბორნმუთი — ჩარლტონი | 3,0 | 2,9 | 2,2 |
| 005 | როვერსი — ბირმინგემი | 3,2 | 2,9 | 2,1 |
| 006 | ფულემი — ნორვიჩი | 1,5 | 3,4 | 5,6 |
| 007 | იფსვიჩი — ქრიუ | 1,25 | 4,4 | 8,0 |
| 008 | ლეიტონი — გრიმსბი | 2,7 | 2,8 | 2,4 |
| 009 | ლივერპული — ჰალი | 1,1 | 6,0 | 12,0 |
| 010 | მიდლსბრო — ჩესტერფილდი | 1,1 | 6,0 | 12,0 |
| 011 | ნოტსი — ჰადერსფილდი | 2,5 | 2,9 | 2,5 |
| 012 | პრესტონი — შეფილდ იუნაიტედი | 2,5 | 2,9 | 2,5 |
| 013 | საუთჰემპტონი — მანჩესტერ სიტი | 1,6 | 3,2 | 5,0 |
| 014 | სტოკპორტი — ბარნსლი | 2,3 | 2,9 | 2,8 |
| 015 | უოლსოლი — სანდერლენდი | 4,0 | 3,0 | 1,8 |
| 016 | უიკომბი — ვესტ ბრომვიჩი | 2,8 | 2,9 | 2,3 |
| 017 | უიგანი — უოტფორდი | 2,5 | 2,9 | 2,5 |
| 018 | უიმბლდონი — კარდიფი | 1,15 | 5,6 | 10,0 |

22 სექტემბერი

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 019 | ბლექბერნი — პორტსმუთი | 1,4 | 3,5 | 7,0 |
| 020 | ბრისტოლი — ნოტინგემი | 2,9 | 2,8 | 2,3 |
| 021 | ქოვენთრი — ტრანმერი | 1,2 | 5,0 | 9,0 |
| 022 | დერბი — სუონსი | 1,2 | 5,0 | 9,0 |
| 023 | ევერტონი — ოქსფორდი | 1,1 | 6,0 | 12,0 |
| 024 | ლესტერი — კრისტალ პალასი | 1,3 | 4,0 | 7,5 |
| 025 | რედინგი — ბრედფორდი | 3,0 | 2,9 | 2,2 |
| 026 | უენსდი — სტოკი | 1,4 | 3,8 | 6,0 |

**ჰოლანდია.** თასი

22 სექტემბერი

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 027 | უტრეხტი — დენ ბოსხი | 1,6 | 3,2 | 5,0 |

**პოლონეთი. სუპერთასი**

22 სექტემბერი

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 028 | ვისლა — ამიცა | 1,5 | 3,4 | 5,6 |

**ჰოკეი. ევროლიგა. I ტური**

21 სექტემბერი

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 801 | მეტალურგი (რუსეთი) — ვშეტინი (ჩეხეთი) | 1,3 | 4,4 | 4,0 |
| 802 | სლოვანი (სლოვაკეთი) — ფილახი (ავსტრია) | 1,4 | 4,4 | 3,4 |
| 803 | ტურკუ (ფინეთი) — მოდო (შვედეთი) | 1,7 | 4,4 | 2,4 |
| 804 | მანჰაიმი (გერმანია) — ვოლერენგა (ნორვეგია) | 1,35 | 4,4 | 3,6 |

**კალათბურთის ევროლიგის მატჩების კოეფიციენტებს გაეცნობით ოთხშაბათს**

კოეფიციენტების შესაძლო ცვლილებები ადგილზე დააზუსტეთ

ეროვნული ბიბლიოთეკა

კორაჩის თასი. შესარჩევი წრე. საპასუხო მატჩი

**ბკ კიევი — აზოტი**

22 სექტემბერი. კიევი. 21:30 საათი

# აზოტი კიევში პრაქტიკას გაივლის

გუშინ, საღამოს ცხრა საათზე, თბილისიდან კიევს გაემგზავრა ქვეყნის ორგზის ვიცე-ჩემპიონი რუსთავის „აზოტი“. ქართველი კალათბურთელები უკრაინის დედაქალაქში სასტუმრო „სპორტში“ დაბინავდებიან, კიეველთა ცენტრალური საფეხბურთო სტადიონის სიახლოვეს. ხვალ კი რუსთაველები კორაჩის თასის შესარჩევი წრის საპასუხო შეხვედრაში უკრაინულ „ბკ კიევს“ დაუპირისპირდებიან.

„აზოტის“ შემადგენლობა სტუმრადაც თბილისური მატჩის ანალოგიური იქნება. მთავარ მწვრთნელ ოთარ ხმელიძეს გუნდში არანაირი ცვლილებები არ შეუტანია. გამგზავრებამდე კი მან აი, ეს გვითხრა:

— გეთანხმებით, რომ ორი მატჩის ჯამში გამარჯვებული ჯერ კიდევ ჩვენი და „ბკ კიევის“ თბილისში თამაშისას გაირკვა. 26-ქულიანი დეფიციტის აღმოფხვრა, ალბათ, უფრო ფანტასტიკის სფეროს განეკუთვნება, მაგრამ „აზოტი“ მაინც ბოლომდე სათამაშოდ არის განწყობილი. შევეცდებით, დავამტკიცოთ, რომ ბრძოლა ჩვენც შეგვიძლია და უფრო მეტი ხელშეწყობით თბილისშიც ღირსეულად დავუხვდებოდით მეტოქეს.

ამაში ძირითადად სათამაშო პრაქტიკის უქონლობას ვგულისხმობ, რომელიც ოფიციალურ შეხვედრამდე ჩემს კალათბურთელებს საერთოდ არ ჰქონდათ. სხვა შემთხვევაში ჯერაც საკითხავი იქნებოდა მომდევნო ეტაპზე გამსვლელის ბედი.

ოპტიმისტი კი ვარ, მაგრამ თავს ზემოთ ძალა არ არის. ამ მატჩს გამოცდილების მისაღებად და გუნდის კიდევ უფრო შესათამაშებლად თუ გამოვიყენებთ, რაც კარსმომდგარ საქართველოს ჩემპიონატში დიდად წაგვადგება.

რაც შეეხება ჩვენს სავარაუდო სათამაშო ტაქტიკას, ამას თვით შეხვედრის პროცესი გვიკარნახებს და წინასწარ რაიმეს თქმა მიჭირს.

**გიორგი გიქაშვილი**

# ნაცვლიშვილი ოპერაციას ვერ გადაურჩა

საქართველოს ნაკრებისა და ისრაელის „ბნეი ჰერცლიას“ ფორვარდი ვახტანგ ნაცვლიშვილი ისრაელის ჩემპიონატის პირველი ტურის მატჩის მესამე წუთზე სერიოზულად დაშავდა. ტრავმა მძიმე აღმოჩნდა, ვატოს მუხლის მყესები დაუწყდა, ხოლო წინასწარი დიაგნოზის მიხედვით სეზონის ბოლომდე ველარ ითამაშებდა.

ექიმების საბოლოო დასკვნამდე იმის იმედი მაინც რჩებოდა, რომ ქართველი კალათბურთელი ოპერაციას გადაურჩებოდა და შედარებით მალე გამოკეთდებოდა, რისი წყალობითაც სეზონი ბოლომდე არ გაუცდებოდა. სამწუხაროდ, ეს ვარაუდი არ გამართლდა. პარასკევს ჩატარებულმა მუხლის კომპლექსურმა გამოკვლევამ ცხადჰყო, რომ ნაცვლიშვილი საოპერაციოა და ამ სეზონის ბოლომდე ნამდვილად ვერ ითამაშებს. ამის შესახებ ოფიციალურად განაცხადა „ბნეი ჰერცლიას“ ხელმძღვანელობამ.

ვატო „ბნეი ჰერცლიაში“ „ბოსმანის მოთამაშის“ სტატუსით ირიცხებოდა. ანუ, ქართველი კალათბურთელი ისრაელში უცხოელად არ ითვლებოდა (როგორც ევროკავშირის წევრი ქვეყნის მოთამაშე არ ითვლება ევროკავშირის ნებისმიერ ქვეყანაში უცხოელად, ისე, „დანარჩენი ქვეყნების“ წარმომადგენლები არ ითვლებიან უცხოელებად „დანარჩენ ქვეყნებში“ თამაშისას). კლუბმა განაცხადა, რომ იწყებს ნაცვლიშვილის შემცვლელის ძებნას, რათა გუნდის წინა ხაზს სიძლიერე შეუნარჩუნოს. აღსანიშნავია, რომ ქართველი კალათბურთელის შემცვლელი ან „ბოსმანის მოთამაშე“ უნდა იყოს, ანაც ისრაელის მოქალაქე, რადგან „ბნეი ჰერცლიას“ ამოწურული აქვს უცხოელ მოთამაშეთა ლიმიტი.

ნაცვლიშვილი ისრაელში გაიკეთებს ოპერაციას და იქვე იმკურნალებს, შემდეგ კი თბილისში გამოემგზავრება. ჯერჯერობით უცნობია, იგი კვლავ „ბნეი ჰერცლიას“ კონტრაქტქვეშ დარჩება თუ ახალი კლუბის ძებნას დაიწყებს.



ვახტანგ ნაცვლიშვილი

**სლოვენია**

II ტური

**ზაგორიე 61:73 სლოვანი**

ზაგორიე: იუვანი (2), პეტერლინი (6), რიტუპერი (13), იაპიჩი (2), ლებანი (5), ჩოპი (4), პრიმორაცი (12), ჩოვიჩი (10), ბასინი (7)

სლოვანი: ნოვაკი (16), ლაკოვიჩი (16), ჟაკელი (3), შინკოვეცი (13), უგრეხელიძე, ჯურკოვიჩი (5), კოვაჩი (2), პავიჩი (4), ბოისა (3), შუშტარშიჩი (9), ცქიტიშვილი (2)

ქალაქ ზაგორიეს სპორტის სასახლეში გამართულ შეხვედრას სულ 750 კაცი დაესწრო. თითქოს არაფერია, მაგრამ ეს მაჩვენებელი სარეკორდო კი გამოდგა: ამაზე მეტი მაყურებელი მეორე ტურის არც ერთ მატჩზე არ მისულა. ანტირეკორდი კი ლიუბლიანისა და, საერთოდ, სლოვენიის მთავარმა სარბიელმა „ჰალა ტივოლიმ“ დაამყარა: 5-ათასიან დარბაზში „ოლიმპია“-„ლოკა კავას“ მატჩს 300 მოწმე ჰყავდა.

# ქართველებმა იუხეშეს

„სლოვანის“ ქართველებმა ცოტა ითამაშეს. ბოისამ — თოთხმეტი წუთი, უგრეხელიძემ — თორმეტი, ხოლო ცქიტიშვილმა — ექვსი. ამის მიზეზი კი უცბად მიღებული ბევრი პერსონალური ჯარიმა იყო. მაგალითად, ბოისამ შეხვედრა სასტარტო ხუთეულში დაიწყო, მაგრამ ზედიზედ სამი პერსონალური აიკიდა და მწვრთნელმაც მალე გამოცვალა. ვლადიმერი ეპიზოდურად კი ჩნდებოდა მოედანზე, მაგრამ სკამზე ჯდომამ უფრო დიდხანს მოუწია. ბოისამ ორიდან ერთი სამქულიანი ჩააგდო, ოთხი მოხსნა და ერთი ჩაჭრა გააკეთა. ნიკა ცქიტიშვილი შეცვლაზე შევიდა და მანაც მალე მიიღო სამი პერსონალური, თუმცა ერთადერთი სროლა შედეგიანად გამოიყენა. ამასთანავე, გუნდს ერთი მოხსნით და ორი ჩაჭრით შეეწია. დავით უგრეხელიძე კი მხოლოდ ძირითადი ცენტრის, პაველ ჯურკოვიჩის დუბლიორობით შემოიფარგლა: მან ერთხელ, ისიც წარუმატებლად შეუტია ფარს და მატჩიც ოთხი პერსონალურით დაასრულა. შეგახსენებთ, რომ უგრეხელიძის „სლოვანში“ თამაში ჩემპიონატის დაწყებამდე ერთი დღით ადრე გადაწყდა, ამიტომაც ქართველ ცენტრს ჯერ გუნდთან ხეირიანი შეთამაშება მოუწევს.

ხვალ „სლოვანი“ კორაჩის თასის შესარჩევი ეტაპის საპასუხო მატჩში უმასპინძლებს უნგრეთის „ატომერომუს“ (პირველი მატჩი ლიუბლიანელებმა 86:85 მოიგეს), სლოვენიის ჩემპიონატის მესამე ტურში კი შაბათს მიიღებს „როგლა ატრასს“.

ბავშვთა კალათბურთის აკადემია აცხადებს

1990, 1991 და 1992 წლებში დაბადებულ მოზარდთა მიღებას

მისამართი: ჭავჭავაძის გამზირი 49ა

ფიზიკური აღზრდის და სპორტის აკადემიის შენობაში

☎ 23 20 05

# ფედერაცია ურჩებს აჯარიმებს

საქართველოს კალათბურთის ფედერაცია კიდევ ერთ, როგორც ამბობენ, უკანასკნელ დათმობაზე წავიდა, როცა კლუბთან საბოლოო განაცხადების წარდგენის ვადა რამდენიმე დღით გადაუწია. ფედერაციამ 20 სექტემბერი 24-ით შეცვალა, თუმცა ურჩ გადამხდელებს თითი მკაცრად დაუქნია და წინასწარ დათქმული პირობის დაუცველობისთვის მათ 500 ლარი ჯარიმაც დააკისრა.

„ვითა“, „დინამო“, „შევარდენი“, სდასუ და „კოლხა“ — აი, ის გუნდები, რომლებმაც დღემდე ვერც განაცხადი წარადგინეს ფედერაციაში და ვერც ჩემპიონატში სამონაწილეო თანხის (3800 ლარი — რედ.) გადახდა მოახერხეს.

იმ გუნდების ვინაობას კი, რომელთაც ათ დღეში დასაწყებ მეცხრე ეროვნულში მონაწილეობის სრული უფლება აქვთ, ქვემოთ გაეცანით: სტუ, თსუ, „აზოტი“, ასკ, „გორი“, „ბათუმი“, „მაკაბი“, „სამედიცინო აკადემია“.

**საბა ესებუა**

**თავისუფალი აგენტების ბაზარი**

17-18-19 სექტემბერი

***ორლანდო მეჯიქი:*** დაითხოვა ფორვარდი მახტარ ნდაიე; დაითხოვა ფარნახაზელი ტიმ ლეგლერი; აიყვანა უგუნდო ფორვარდი მონტი ვილიამსი

# ლიგა წესებს ცვლის ბარკლის გაუჭირდება

1998-99 წლების სეზონში ეროვნული საკალათბურთო ასოციაციის გუნდების საშუალო შედეგიანობა 91,0 ქულა იყო. ასეთი დაბალი საშუალო მაჩვენებელი არ დაფიქსირებულა 1954-55 წლების სეზონის შემდეგ, როცა ბურთის ფლობაზე დროის ლიმიტი დააწესეს.

ამიტომაც, შედეგიანობის კლებით შეშფოთებულმა ლიგის მმართველებმა ითათბირეს და ასოციაციის სპეციალურ კომიტეტს წესების შეცვლა დაავალეს. ცვლილებებს შედეგიანობის გაზრდაზე უნდა ემოქმედა. კომიტეტმა შეიმუშავა ახალი წესები, საზაფხულო ლიგებში ექსპერიმენტი ჩაატარა და წინადადებები ეროვნული საკალათბურთო ასოციაციის დირექტორთა საბჭოს მოახსენა. საბჭომ კი საკითხი კლუბების განსახილველად გაიტანა.

წესები რომ შეცვლილიყო, 29 კლუბიდან 22-ს მაინც უნდა ეთქვა, თანხმობა. კონკრეტულად რამდენ გუნდს დაუჯდა ჭკუაში წესების შეცვლა, ჯერჯერობით, უცნობია, თუმცა, ამგვართა რიცხვი 22-ს რომ აღემატება, ფაქტია. ეროვნული საკალათბურთო ასოციაციის მმართველებმა ზუსტი რიცხვი არ დაასახელეს, თუმცა აღნიშნეს, საკმარისზე მეტი ხმა დაგროვდა და წესები შეიცვლებაო. ამრიგად, ამიერიდან:

1) გამკაცრდა კონტროლი უბურთოდ მყოფი მოთამაშეების ორთაბრძოლებზე. დაუშვებელია მეტოქეზე იდაყვებით მიწოლა ნებისმიერ სათამაშო სიტუაციაში, გარდა საჯარიმო სროლის შემდეგ ფარიდან ასხლეტილ ბურთზე ბრძოლისას.

2) თუკი ბურთით მყოფი მოთამაშე ზურგით დგას მეტოქის ფარისკენ, მეურვეს ერთი-ერთზე ეთამაშება და იმყოფება მეტოქის ფარის სიახლოვეს (პირით ხაზსა და საჯარიმო სროლის ხაზს შორის), ამ მდგომარეობაში მას მხოლოდ 5 წამი შეუძლია იყოს. ამ დროის გასვლის შემდეგ მან ან პასი უნდა მისცეს თანაგუნდელს, ან ისროლოს. წინააღმდეგ შემთხვევაში მის გუნდს ბურთი ჩამოერთმევა და მეტოქე გუნდს გადაეცემა.

3) თუკი დამცველი გუნდი დაარღვევს თამაშის წესს, რის გამოც შემტევი გუნდი საჯარიმოებს არ ესვრის, მაშინ შემტევი გუნდისთვის ბურთის ფლობის ლიმიტი იქნება არა ძველებურად 24, არამედ 14 წამი.

აი, ასე ფიქრობენ ლიგის მმართველები შედეგიანობის გაზრდას. სხვათა შორის, ატლანტის საზაფხულო ლიგაში ახალი წესები რომ გამოსცადეს, მკვეთრად იმატა პერსონალური საჯარიმოების რაოდენობამ. მოთამაშეები და მწვრთნელები ჩიოდნენ, ყველა მიკარებაზე ჯარიმას გვაძლევენო. „ნიუ იორკ ნიქსის“ ფორვარდმა ენტონი მეისონმა აღნიშნა, რომ ამგვარი წესების გადამკიდე, თამაშისას მარტო სასტვენის ხმას თუ გაიგონებო. „ორლანდო მეჯიქის“ მწვრთნელმა დოკ რივერსმა კი თქვა, რომ პერსონალური საჯარიმოების მომრავლება სათამაშო დროის გაზრდას გამოიწვევსო.

რაც შეეხება მეორე ცვლილებას. მის გამო მნიშვნელოვნად იზარალებენ „ჰიუსტონ როკიტსის“ ჩარლზ ბარკლი და „ინდიანა პეისერზის“ მარკ ჯექსონი. ისინი ძალიან ხშირად უტევენ მეტოქის ფარს ზურგშექცევით. თანაც, ასეთ დროს მათ მიერ ბურთის ტარება ხუთ წამზე მეტხანს გრძელდება ხოლმე.

ახალი წესების დეტალური განხილვა ამ კვირაში შედგება ვანკუვერში, სადაც ეროვნული საკალათბურთო ასოციაციის კლუბების მწვრთნელები და გენერალური მენეჯერები შეიკრიბებიან. ლიგის გუნდები კი საჩვენებელ მატჩებს (იწყება 10 ოქტომბერს) და რეგულარულ ჩემპიონატსაც (იწყება 2 ნოემბერს) ახალი წესებით ითამაშებენ.



ამიერიდან მარკ ჯეკსონს (№13) ამგვარი შეტევისთვის მხოლოდ ხუთი წამი ექნება

**ლოკომოტივი 1 8:9 (8:6) დათვები**

ლოკომოტივი 1: აბრამიშვილი (კერესელიძე), თოფურიძე, მაჭუტაძე, ჩადუნელი, მოგელაძე, ჯაველიძე (ცხომელიძე), სუჯაშვილი, კახიანი, სარიშვილი, კვინიხიძე, ძნელაძე, ანდღულაძე, ბუგიანიშვილი, გუგავა, ასათიანი
1ლ — გუგავა
1ს — ძნელაძე
დათვები: აშვეთია, გურეშიძე (თედორაძე), ფირცხალავა, სვანიძე, რეხვიაშვილი, ჩირგაძე (აბაშიძე), გოგისვანიძე, აბდალაძე, გიორგაძე, ნ. ძაგნიძე, ჩუბინიძე, ძოწენიძე, ე. ძაგნიძე, შერვაშიძე, მაჩიტიძე.
3ს — ე. ძაგნიძე (3)
გაძევება: ნ. ძაგნიძე (38წ.)
მსაჯი: გ. აბაშიძე
მეთვალყურე: ა. ქურდობაძე

# დათვი გვირაბის ბოლოს



გაჩო კოთოლაძის ფოტო

ლოკომოტივი 1 — ყოჩები. თბილისელ გუგავას (ბურთით) ერთადერთი და საშარო ლელო

ეს მატჩი ქართულ სარაგბო თემში დიდ ინტერესს იწვევდა — ჩემპიონობისთვის მებრძოლი „ლოკომოტივი 1“ ხომ გათამაშების ერთპიროვნულ ლიდერს, ჯერაც დაუმარცხებელ ბათუმის „დათვებს“ მასპინძლობდა. ამ გუნდების დაპირისპირება ბათუმში ფრედ დასრულდა. მაშინ მასპინძელთა გუნდის თავკაცობამ თამაშის შედეგი გააპროტესტა და მთავარი მსაჯი არაობიექტურობაში დაადანაშაულა. რაგბის კავშირში ყველაფერ ამაზე იმსჯელეს და არბიტრი გაამართლეს, ხოლო ლევან მგელაძემ განაცხადა, რომ არასოდეს იმსაჯებს და მატჩს „დათვების“ მონაწილეობით. საქართველოში მაღალკვალიფიციური მსაჯები ნაკლებად მოიძებნება, და ცხადია, დიდი მნიშვნელობა ჰქონდა, თუ ვინ განსჯიდა შეხვედრას. საბოლოოდ არჩევანი გოჩა აბაშიძეზე შეჩერდა.

მატჩი, როგორც გითხარით, ძალიან პრინციპული იყო: რკინიგზელები გამარჯვების შემთხვევაში უშუალო კონკურენტთან ქულათა სხვაობას შეამცირებდნენ, ხოლო თუ სტუმრები იძალებდნენ, სანუკვარ ჯილდომდე კიდევ ერთ ნაბიჯს გადადგამდნენ.

თავიდან „ლოკომოტივმა“ შეუტია და პირველივე წუთზე საკმაოდ ხელსაყრელი პოზიციიდან ჯარიმის დარტყმის უფლებაც მოიპოვა, მაგრამ ამ საქმის ოსტატმა კვინიხიძემ ბურთი კარს ააცილა. სტუმრებმა რკინიგზელებს ემზარ ძაგნიძის ორი ზუსტად შესრულებული ჯარიმით უპასუხეს და დაიწყო... მასპინძლებმა მდევრის როლში ყოფნა ვერ იგუეს. ჯერ ძნელაძემ შეამცირა ანგარიშში სხვაობა, ტაიმის დასრულებამდე ხუთი წუთით ადრე კი ლოკომოტიველთა შეტევა ლელოთი დაგვირგვინდა. სწორედ ამ ეპიზოდმა გამოიწვია ბათუმელთა უკმაყოფილება. მათ ჩათვალეს, რომ გუგავამ აუტიდან დაამიწა ბურთი სალელოე მოედანზე. სტუმრები გვერდით მსაჯს მივარდნენ, მან კი მატჩის გაძღოლა აღარ ისურვა და თავისი უფლება-მოვალეობანი რაგბის კავშირის გენერალურ მდივან გია ჭუმბურიძეს გადაულოცა. აყალ-მაყალი ამით არ დასრულებულა: მთავარი მსაჯის სიტყვიერი შეურაცხყოფისთვის გააძევეს ბათუმელთა ლიდერი და კაპიტანი ნუგზარ ძაგნიძე. გააძევეს და სტუმრებმა პროტესტის ნიშნად მინდორი დატოვეს. ბათუმელთა დამრიგებელი რამაზ სვანიძე, როგორც ჩანს, კარგი ფსიქოლოგია — სულ ხუთ წუთში დაარწმუნა შეგირდები მატჩი გაეგრძელებინათ. ასე ჩათავრდა ტაიმი.

მეორე ნახევარში კი იყო უშეღავათო ბრძოლა, რომელიც ნებისმიერ თამაშს დაამშვენებდა. ნამდვილ სპორტულ სანახაობასთან ერთად არაერთხელ ვიხილეთ ხელჩართული ჩხუბი. სწორედ ამისთვის დაისაჯნენ ათწუთიანი გაძევებით ლოკომოტიველი ასათიანი და ბათუმელი მაჩიტიძე.

კაცნაკლული სტუმრები ბევრს უტევდნენ და უმცროსმა ძაგნიძემ კვლავ დააწინაურა თავისი გუნდი. ამის შემდეგ თამაშმა ძირითადად მოედნის ცენტრში გადაინაცვლა, მეტოქეები შერკინების ხარჯზე ცდილობდნენ უპირატესობის მოპოვებას. მსაჯის მიერ დამატებულ ბოლო წუთზე რკინიგზელებს საჯარიმო დარტყმა ზუსტად რომ შეესრულებინათ, გაიმარჯვებდნენ, მაგრამ კვინიხიძემ მეხუთე ცდაც ვერ გამოიყენა. ამასობაში აბაშიძემაც ჩასტვინა და ბათუმელთა გამარჯვება დააფიქსირა.

**ბაჩო სვანიძე**



**ასკ 5:26 (0:21) ყოჩები**

ასკ: ლიქოკელი, სუჯაშვილი, შენგელია (მაისურაძე), მათიაშვილი (ჭელიძე), უჩავა, სვანიძე (ჯარმელაშვილი), მინაშვილი, გაფრინდაშვილი, აბუსერიძე, აბრამიშვილი (იაშვილი), ზაქარიაძე, კილაურიძე, კაპანაძე, კოდუა (ანთაძე), კიკნაძე
1ლ — მინაშვილი
ყოჩები: ესაკია (ფირიაშვილი), კიკუაშვილი, პაპავა (ჩიქავა), ხურცილავა (გუშარაშვილი), სულთანიშვილი, ტყეშელაშვილი, ჭელიძე, სოფრომაძე (ურუშაძე), გიორხელიძე (ხელაძე), ტეფნაძე, წიკლაური, ბარძიმიშვილი, ლიპარტელიანი, პეტრიაშვილი, ხელაშვილი (მხეიძე)
4ლ — ხურცილავა, პეტრიაშვილი, გიორხელიძე (2)
3გ — ტყეშელაშვილი
მსაჯი: ნ. რობიტაშვილი
მეთვალყურე: ა. ქურდობაძე



# ოცნების ქალები და რუსები

## ჩვენმა ნაცნობმა ვინუსს მოუგო

ფედერაციის თასის ფინალი

**აშშ 4:1 რუსეთი**

**ვინუს უილიამსი** (აშშ) — ელენა ლიხოვცევა (რუსეთი) 6:3, 6:4; **ლინდსი დევენპორტი** (აშშ) — ელენა დემენტიევა (რუსეთი) 6:4, 6:0
**დევენპორტი** — ლიხოვცევა 6:4, 6:4; **დემენტიევა** — ვ. უილიამსი 1:6, 6:3, 7:6 (7:5)
წყვილები: **ვ. უილიამსი** და **სერენა უილიამსი** — დემენტიევა და ელენა მაკაროვა 6:2, 6:1

ქალთა გუნდური მსოფლიოს ჩემპიონატის, ფედერაციის თასის ფინალი ზუსტად ისე დასრულდა, როგორც ბევრი ვარაუდობდა — აშშ-ის გუნდის დამაჯერებელი გამარჯვებით.

„მე ჩემს ჩოგბურთელებს ბევრს ვთხოვ, ამიტომ ფინალში მხოლოდ წარმატება არ დამაკმაყოფილებს. კარგი იქნება, თუ თითოეულ მატჩს მშრალად (6:0, 6:0) მოვიგებთ“ — ეს სიტყვები ამერიკელთა კაპიტანს, ლეგენდარულ ბილი ჯინ კინგს ეკუთვნის, რომელსაც განზრახული ჰქონდა, სტუმრები თავლაფდასხმულნი გაეშვა შინ.

კინგს ნამდვილად შეეძლო, თავისი „დრიმ თიმისგან“ ასეთი რამ მოეთხოვა: მის განკარგულებაში იმდენად ძლიერი გუნდი იყო, რომ მსოფლიოს მეხუთე ჩოგანი და ცხრა დიდი სლემის ტიტულის მფლობელი მონიკა სელეში საერთოდ უთამაშებელი დარჩა, აშშ-ის ღია პირველობის ჩემპიონ სერენა უილიამსს კი მხოლოდ წყვილებში მოუხდა ასპარეზობა.

„არ შეიძლება მათგან ერთი ჩოგბურთელი რომ ვისესხოთ დროებით? — მოსწრებულად შენიშნა რუსების ლიდერმა ელენა ლიხოვცევამ მატჩის წინ — მოგება, რა თქმა უნდა ძალიან გვსურს, მაგრამ თუ არაფერი გამოგვივა, გული მაინცდამაინც არ დაგვწყდება, ჩვენი მეტოქეები მეტისმეტად ძლიერები არიან“.

ასპარეზობის პირველ დღეს, მოულოდნელობა არ მომხდარა. ვინუს უილიამსმა, რომელიც კინგის ზედამხედველობით უქმეებზე ბადესთან თამაშში იწაფებოდა, იოლად დაძლია ლიხოვცევას წინააღმდეგობა.

ერთეულთა მეორე შეხვედრაში თბილისის ტურნირის მუდმივმა სტუმარმა, 17 წლის ელენა დემენტიევამ თავიდან გვარიანად გააწვალა მსოფლიოს მეორე ჩოგანი ლინდსი დევენპორტი, თუმცა პირველი სეტის წაგების შემდეგ აირია, განერვიულდა და ერთი გეიმიც ველარ მიითვალა.

სარეკორდო, მე-16 ტიტული ამერიკელებს კვირას პირველივე შეხვედრის შემდეგ იმავე დევენპორტმა გაუფორმა ლიხოვცევას დამარცხებით, მერე კი თანაგუნდელებთან ერთად აშშ-ის დროშით ხელში კორტს რამდენჯერმე შემოუარა.

„შენი ქვეყნის სახელით გამარჯვება ძალიან ბევრს ნიშნავს. ჩვენ, ჩოგბურთელები, არ ვართ ჩვეულნი გუნდში ყოფნას, ამიტომ როცა ასეთი შესაძლებლობა გვეძლევა, დიდ სიამოვნებას ვღებულობთ“ — აღნიშნა ლინდსიმ.

„კარგია, რომ ფედერაციის თასი იქ დაბრუნდა, სადაც მისი ადგილია — აშშ-ში. ამ მოთამაშეების წყალობით ჩვენ შეგვიძლია კიდევ დიდი ხანი არავის გავატანოთ იგი“ — დაუმატა კინგმა.

თუმცა ამერიკელთა კაპიტნის სურვილს, მეტოქეებისთვის მშრალად მოეგოთ, ასრულება არ ეწერა. ამაში მთავარი დამნაშავე კი თბილისურ-ბათუმური ტურნირებიდან ჩვენთვის კარგად ნაცნობი ელენა დემენტიევა გახლდათ, რომელმაც ერთეულების უკანასკნელ შეხვედრაში თვით უფროსი უილიამსის დამარცხება შეძლო.

ვინუსი გადამწყვეტ ხელში 4:1-ს იგებდა, ერთგან მატჩ-პოინტიც კი ჰქონდა, მაგრამ ქერა და კანჭგრძელმა რუსმა დევენპორტისგანაც ნაქები დაბალი, მძლავრი ფორჰენდებით ამერიკელს ანგარიში გაუთანაბრა, მერე ტაი-ბრეიკზეც უფრო სტაბილურად გაისარჯა, მოგების აღსანიშნავად კი მუხლებზე დაეცა.

„წაგება ძალიან არ მწყენია, რადგან შეტევასა და ბადესთან გასვლებში ვვარჯიშობდი, ისე ხომ ვერასოდეს ვისწავლი. არ ვიცი, რა მოხდა, თითქოს იოლად უნდა გამემარჯვა, მაგრამ ბოლოს შეცდომებს მოვუხშირე და ...“ — თავი იმართლა ვინუსმა.



REUTERS

ხუან კარლოს ფერერო



REUTERS

გამარჯვებული აშშ-ის გუნდი:
ლინდსი დევენპორტი, სერენა და ვინუს უილიამსები, მონიკა სელეში

მალიორკას ღია პირველობა.
ესპანეთი. თიხნარი.
საპრიზო 500 ათასი $

მეოთხედფინალი: **ალექს კორეტხა** (2, ესპანეთი) — ერნან გუმი (არგენტინა) 6:3, 6:2; **დომინიკ ჰრბატი** (4, სლოვაკეთი) — მარკუს ჰიპფლი (ავსტრია) 4:6, 7:5, 6:3; **ხუან კარლოს ფერერო** (ესპანეთი) — ფრანსისკო კლავეტი (5, ესპანეთი) 6:0, 6:3; **ხულიან ალონსო** (ესპანეთი) — ხუან ანტონიო მარინი (კოსტა რიკა) 7:6 (7:5), 7:5.
ნახევარფინალი: **კორეტხა** — ჰრბატი 6:4, 6:4; **ფერერო** — ალონსო 6:2, 7:6 (13:11)
ფინალი: **ფერერო** — კორეტხა 2:6, 7:5, 6:3

გასულ უქმეებზე ჩოგბურთის სამყაროს თავზე ახალი ვარსკვლავი აკიაფდა.

19 წლის ესპანელი მეფური სახელით და სამხრეთაფრიკელი კოლეგის მსგავსი გვარით — ხუან კარლოს ფერერო სეზონის დასაწყისში კლასიფიკაციაში მხოლოდ 348-ე იყო, მაგრამ პროფესიონალებში წრთობა რამდენიმე ჩელენჯერზე გაიარა, თავის პირველივე ATP-ის ტურნირზე კასაბლანკაში ნახევარფინალს უწია, კვირას კი უკვე პირველი ტიტულიც მოიპოვა.

ფერერო გარეგნულადაც და თამაშის სტილითაც კიდევ ერთი ამომავალი ვარსკვლავის, ავსტრალიელი ლეიტონ ჰიუიტის ალი-კვალია: ქერა, გრძელთმიანი, ძვალტყავა ჩოგბურთელი არ გამოირჩევა სიმაღლით და ძალით, ძირითადად კონტრშეტევებზე თამაშობს, მაგრამ პირველივე ხელსაყრელ შემთხვევაში რისკიან დარტყმებსაც არ ერიდება.

„ესპანური ჩოგბურთი ბედნიერი უნდა იყოს, რადგან ჩვენთან ახალი შესანიშნავი მოთამაშე გამოჩნდა“ — აღნიშნა ქვეყნის პირველმა ჩოგანმა ალექს კორეტხამ ნორჩ თანამემამულესთან დამარცხების შემდეგ.

როგორც მოსალოდნელი იყო, კარიერის პირველ ფინალში მოსაპარეზე ფერერომ მატჩი ნერვიულად დაიწყო, ბევრს სცოდავდა და პირველი ხელი იოლად დათმო. კორეტხას შეხვედრის თავის სასარგებლოდ დასრულების შესაძლებლობა მეორე სეტის ბოლოს მიეცა, მაგრამ 4:4-ზე ბრეიკ-პოინტი ვერ გამოიყენა, საკუთარი მოწოდება კი მალე მშრალზე წააგო.

ATP ტურის ყველაზე გამძლე ჩოგბურთელად აღიარებულ კორეტხას ჯერ კიდევ შარშან, გადამწყვეტ მომენტში დიდი უპირატესობა ექნებოდა, მაგრამ გაზაფხულზე უცნობი, ენერგიისგამომცლელი დაავადების გადატანის შემდეგ იგი ჯერაც ვერაა ჯანზე და მატჩის ბოლოსთვის მეტისმეტად გადაღლილად გამოიყურებოდა.

სწორედ ამიტომ 66 500 დოლარი და მთავარი ჯილდო ფერეროს ერგო, კორეტხას კი ჩოგბურთელთა წვეულებაზე ოთხშაბათს მოგებული მოტოციკლით „ჰარლი დევიდსონით“ დაკმაყოფილება მოუხდა.

ტაშკენტი. უზბეკეთი. „პრეზიდენტის თასი“. დარბაზი, ჰარდი.
საპრიზო 500 ათასი $

ნახევარფინალი: **ნიკოლას კიფერი** (3, გერმანია) — დანიელ ვაცეკი (ჩეხეთი) 7:6 (7:4), 6:2; **გეორგ ბასტლი** (შვეიცარია) — პეტერ ვესელსი (ჰოლანდია) 6:4, 6:3
ფინალი: **კიფერი** — ბასტლი 6:4, 6:2

„ტაშკენტში წამოსვლისას წინათგრძნობა მქონდა, რომ აქ აუცილებლად გავიმარჯვებდი, ეს კი ხშირად არ ხდება. როგორც ხედავთ, ყველაფერი გამართლდა“ — განაცხადა 22 წლის ნიკოლას კიფერმა სეზონში მესამე ტურნირის მოგების შემდეგ.

ისე, გერმანელს ხელი ტაშკენტში მიწვეულმა სხვა განთესილებმაც შეუწყვეს, რომელთაგან მეოთხედფინალისთვისაც კი არავის მიუღწევია, რის გამოც კიფერს მეტისმეტად სუსტი მეტოქეების დამარცხება დასჭირდა.

ფინალში გასული შვეიცარიელი გეორგ ბასტლი, მაგალითად, პროფესიონალებში მხოლოდ შარშან ჩაეწერა, ადრე ჰოკეით უფრო იყო გატაცებული, იუნიორთა ეროვნულ ნაკრებშიც ასპარეზობდა და აქამდე ATP ტურზე ზედიზედ ორი მატჩიც არასოდეს მოუგო.

ჰო, როგორც ტაშკენტური ადათ-წესი მოითხოვს, ფინალისტები თვით პრეზიდენტმა ისლამ ქარიმოვმა დააჯილდოვა და ეროვნულ სამოსში ჩაპანებში გამოაწყო.

**ავთანდილ სვანიძე**

# ევროპაში ვერც ხელბურთით შევედით

ქართველ და დანიელ ხელბურთელ ვაჟთა ევროპის 2000 წლის ჩემპიონატის შესარჩევი ტურნირის პლეი ოფის პირველი, თბილისური მატჩის შემდეგ, სკანდინაველთა 32:25 გამარჯვებით რომ დასრულდა, საპასუხო მატჩში ჩვენების წარმატებაზე ძნელად თუ ვიფიქრებდით. ასეც მოხდა. შაბათს ქალაქ სილკებორგში დანიელებმა 1100 მაყურებლის თვალწინ 31:23 მოგებით ევროპის ჩემპიონატზე თამაშიც გაინაღდეს. ზაზა დოლიძის შეგირდებს პირველი ტაიმი ოთხი ბურთის სხვაობით — 12:16 დაუთმიათ, მეორეში კი, თბილისური მატჩის მსგავსად, მასპინძლებს გაულაღებიათ და შეხვედრაც რვა ბურთით მოუგიათ. ასე რომ, 2000 წლის 21-30 იანვარს ხორვატიაში დანიელები იასპარეზებენ.

ამ უქმეებზე საპლეიფო მატჩები სხვებმაც გამართეს. უნდა გამოვარჩიოთ ქართველ ხელბურთელთა ამასწინდელი მეტოქის, პორტუგალიის ნაკრების წარმატება, რომელმაც ევროსაგზური ხელბურთის სამყაროში სახელდაგდებულ იუგოსლავიელებს ააცალა ცხვირწინ.

მაშ ასე, ხორვატიაში მასპინძლებს და კონტინენტის ჩემპიონ შვედებს ის ათი გუნდი დაემატება, რომელთაც პლეი ოფის მატჩებში იმარჯვეს. ამ გუნდების წილისყრა 26 სექტემბერს ზაგრებში გაიმართება. 12 გუნდი ორ ჯგუფად განაწილდება და ერთმანეთს ევროპის ჩემპიონის ოქროს მედლებს შეეცილებიან.

### ევროპის 2000 წლის ჩემპიონატის შესარჩევი ტურნირი

პლეი ოფი

**დანია — საქართველო 31:23 (32:25)**
**ესპანეთი — ავსტრია 29:22 (28:22)**
**რუსეთი — თურქეთი 33:23 (29:24)**
**ნორვეგია — იტალია 26:17 (27:21)**
**მაკედონია — ისლანდია 32:29 (23:32)**
**ბელარუსი — უკრაინა 23:23 (21:29)**
**იუგოსლავია — პორტუგალია 23:22 (28:30)**
**უნგრეთი — სლოვენია 23:27 (29:32)**
**გერმანია — პოლონეთი 30:25 (26:16)**
**საფრანგეთი — რუმინეთი 19:18 (22:15)**

*ფრჩხილებში მითითებულია პირველი მატჩის შედეგები, დახრილი შრიფტით — ევროპის ჩემპიონატის ფინალურ ეტაპზე გასული გუნდები.*




თბილისური მატჩის მერე ლევან გელაშვილს (11) და მის თანაგუნდელებს სილკებორგში შანსი აღარც ჰქონდათ



# ეს რა მოხდა?!
## დე ლა ჰოია ჩემპიონი აღარ არის

პუერტორიკოელმა ფელიქს ტრინიდადმა ქულებით დაამარცხა ამერიკელ-მექსიკელი ოსკარ დე ლა ჰოია, აართვა მას საბჭოს (ვბკ) ჩემპიონის ტიტული და თავის ფედერაციის (იბფ) ტიტულს მიუმატა, ველთერის (66,6 კგ) წონაში. ამერიკული კრივის „ოქროს ბიჭუნა" ოსკარ დე ლა ჰოია გაოგნებული დარჩა ამ გადაწყვეტილებით. ტრინიდადმა ხომ მოიგო ბოლო სამი რაუნდი და არა მთლიანად მატჩი. დე ლა ჰოიასა და მისი პრომოუტერის ბობ არუმის გაოგნება გამოიწვია იმ ამბავმა, რომ სამივე დამთვლელმა მსაჯმა მეორე რაუნდი ტრინიდადს მოაგებინა. ეს მაშინ, როცა დე ლა ჰოიამ ამ რაუნდში ცხვირიდან სისხლი ადინა მოწინააღმდეგეს.

ადრეული რაუნდებიდანვე ოსკარმა ქულათა კარგი მარაგი შექმნა და გასაქანს არ აძლევდა მეტოქეს. თორმეტრაუნდიან ბრძოლაში ნოკდაუნი არ ყოფილა. მსაჯებზე განსაკუთრებულად იმოქმედა ტრინიდადის აქტიურობამ ბოლო სამ რაუნდში. თუმც, მათი გადაწყვეტილებაც არ იყო ერთსულოვანი: ჯერი როტმა 115:113 დათვალა, მასავით ამერიკელმა გლენ ჰამადამ 114:114, ბელგიელმა ბობ ლოგისტმა კი 115:114 ასევე პუერტორიკოელის სასარგებლოდ.

სერიოზული ტრავმები არ ყოფილა. ტრინიდადს ცხვირი და მარცხენა თვალი დაუსივდა. თუმც, ბრძოლა ძალიან მძიმე იყო.

ამ წონისათვის, ბრძოლას კოლოსალური ჰონორარები ჰქონდა: დე ლა ჰოიამ 15 მილიონი დოლარი აიღო, ტრინიდადმა 10,5. დე ლა ჰოიას წილი ჰქონდა პიროვნულ ტელეკაბელზე და აქედანაც 21 მილიონი მოუგროვდა.

ბრძოლა დასრულდა, თუ არა, ტრინიდადის პრომოუტერმა დონ კინგმა შესძახა: „ერთი დაემხო, მეორე მოდის"! სუპეროლრაშმა კინგმა მალევე რემატჩზე დაიწყო ლაპარაკი, თუმცა, იქვე დაურთო, ფელიქსის ჰონორარი უნდა გაორმაგდესო.

„ამას მოლაპარაკება უნდა", თქვა საკმაოდ დაბნეულმა ტრინიდადმა.

დე ლა ჰოია კი ძალიან განაწყენებული იყო:

„ვიცი, რომ მოგებული ვარ. ტრინიდადი დიდი, ძლიერი მოკრივეა. გული ჩამწყდა. ვფიქრობდი, რომ მოვიგე. თავიდან შოუს გამართვა მოვიწადინე, მაგრამ ასე ვერაფერს გავაწყობდი. ბოდიში ჩემს გულშემატკივრებთან, მე ისინი მიყვარს. დავბრუნდები და სულ სხვანაირი ვიქნები".

ოცდათექვსმეტ ბრძოლაში დაუმარცხებელი ტრინიდადი კი მალე გამოერკვა და მომენტისათვის ჩვეულ თავისქებას მოჰყვა. ამაღამ დავამტკიცე ვინცა ვარო.

არადა, დე ლა ჰოიას ბრძოლის სადავეები ხელში ეჭირა. ის ჯებით სტანჯავდა ტრინიდადს და ახლო მისვლისას იოლი დარტყმების გაცვლით უშლიდა ნერვებს. უკვე მესამე რაუნდში ტრინიდადის თეთრი ტრუსი სისხლით იყო შეღებილი. ტრინიდადის პირველი მძლავრი დარტყმა მეოთხე რაუნდში იხილა ხალხმა. მეხუთე რაუნდში ხელებჩამოშვებული დე ლა ჰოია რინგის შუაგულისკენ იტყუებდა პუერტორიკელს, რაუნდის მიწურულს მან რამდენიმე ჯებითა და შთამბეჭდავი მარცხენა-მარჯვენა-მარცხენათი გააბურთავა ტრინიდადი.

მეშვიდე რაუნდში „მენდელდი ბეი ჰოტელის" დარბაზში თავმოყრილმა მაყურებელმა მეტი აქტიურობა მოსთხოვა მოკრივეებს. ამ რაუნდის გონგის შემდეგ ტრინიდადმა ლონივრად დასცხო ოსკარს თავში, დე ლა ჰოიაც გაექაჩა, მაგრამ რეფერი მიჩ ჰალპერნი შუაში ჩადგა და ჩხუბი აკვეთა.

მეათე რაუნდი ღია და თავზეხელაღებული იყო. სწორედ აქ გამოიღვიძა ტრინიდადმა, რომელმაც შთამბეჭდავად ჩაატარა ბოლო ცხრა წუთი.

მისი შეტევებით დასრულდა ბრძოლა, რომელზე დასასწრები ბილეთიც შავ ბაზარზე 7 ათასი დოლარი ღირდა.

ფელიქს ტრინიდადი ორი ვერსიის ჩემპიონია, დე ლა ჰოია კი რემატჩს ელის.

**ალბერტ ხაჩატურიშვილი**



REUTERS-ის ფოტო

ფელიქს ტრინიდადი და მისი პატრონი, კრივის შავ საქმეთა გამგებელი დონ კინგი






★ — დღევანდელი ეტაპის სტარტი

# ულრიხი — ძველი რიხი

„ვუელტაზე", სადაც პირველი ვიოლინო უმეტესად რომელიმე ესპანელია ხოლმე, შაბათს, მეცამეტე ეტაპი შვეიცარიულ-გერმანული იყო. შვეიცარიული იმიტომ, რომ ალექს ცულემ (ბანესტო), რომელმაც მთლიანობაში წლევანდელი „ვუელტა" ჩააგდო, ბოლო პირინეული ეტაპი ბრწყინვალედ მოიგო და მთებში რბოლისა და მრავალდღიანი ტურნირების ოსტატის ცოტათი შელახული სახელი აღიდგინა. გერმანული კიდევ იმიტომ, რომ იან ულრიხმა, ფაქტობრივად, საბოლოო გამარჯვება გაინაღდა. მისი კონკურენტებიდან ერთადერთი იგორ გონსალეს გალდეანოლა იბრძვის, მაგრამ ესპანელს წარმატების მინიმალური შანსი აქვს.

რიცხვი „13" კი უიღბლო გამოდგა რუსი პაველ ტონკოვისა (მაპეი) და ესპანელი აბრაამ ოლანოსთვის (ონსე), პირველმა ულრიხთან სამ წუთზე მეტი დათმო და „ვუელტას" მოგების პრეტენდენტთა სიიდან ამოიშალა, მეორე კი საერთოდ დაემშვიდობა ტურნირს.

„ვუელტას" ორგზის გამარჯვებულმა ალექს ცულემ (1996-97 წწ) ბოლო მთიან ეტაპზე სცადა ბედი და სტარტიდან 73 კილომეტრის გავლის შემდეგ სამკაციან შეტევაშიც ჩაერთო. ნიკოლა მიჩელი რომ უკეთ ეკონტროლებინა, „ბანესტოს" ლიდერმა თანაგუნდელი ხონ ოდრიოსოლა აიყოლია. სამეულმა დიდი უპირატესობის მოპოვება ვერ შეძლო, მაგრამ პელოტონს მაინც საკმაოდ დაშორდა. უკანასკნელ აღმართს — კასტელარ დელ რიოუს ლტოლვილები მდევრებზე წუთნახევრით ადრე მიადგნენ და იქვე ერთი კაცი დაკარგეს — ოდრიოსოლამ კომპანიონების სიჩქარეს ველარ გაუძლო და ჩამორჩა. მწვერვალისკენ მიმავალ გზაზე ერთი ხანობა ცულეს თითქოს გაუჭირდა და მიჩელის ბორბალშიც ჩაუჯდა, მაგრამ ეს ოდენ ტაქტიკური ხრიკი აღმოჩნდა. შვეიცარიელს ჯან-ლონე საკმარისად შერჩენოდა, ბოლო 500 მეტრზე იტალიელს სპრინტშიც გაეჯიბრა და მოუგო, რითაც თავისი ძალიან დაბალი ადგილი საერთო ჩათვლაში (ულრიხთან საათზე მეტს აგებს) ქომაგებს დაავიწყა კიდეც.

ულრიხმა თავისი ძალა მაინც დაამტკიცა. მან გაუძლო რობერტო ერასისა (კელმე) და ხოსე მარია ხიმენესის (ბანესტო) შეტევებს და თავისი მთავარი კონკურენტის — იგორ გონსალეს გალდეანოს მეთვალყურეობაც არ დაივიწყებია. არადა, დამხმარე არავინ ჰყავდა. მის ჯგუფში არც ტელეკომელი იყო ვინმე და არც გერმანელი. „ბანესტოს" და „კელმეს" კი სამ-სამი წარმომადგენელი ჰყავდათ, ესპანელებს ხომ თვლა არ ჰქონდათ. „ესპანური გუნდები ძალიან ძლიერები არიან" — თქვა ულრიხმა, მაგრამ ველორბოლის ესპანელი მოყვარულები მას გაცილებით ძლიერად თვლიან. როსტოკელი გერმანელი ხშირად უდგებოდა ჯგუფს სათავეში, რაც ძალების დამატებით ხარჯვას იწვევს. თავის საუკეთესო წლებში დიდი მიგელ ინდურაინიც ასე იქცეოდაო, ამბობდნენ კასტელარ დელ რიოუს ფერდობებზე შეფენილი მაყურებლები.

რვა დღის განმავლობაში ტურნირის ლიდერმა აბრაამ ოლანომ კი ცულესთან შვიდ წუთზე მეტი წააგო და თან განაცხადა, რომ ტრავმის გამო შეჯიბრს მიატოვებდა. ტრავმა კი „ონსეს" ლიდერმა მერვე ეტაპზე მიიღო, როცა სველ გზაზე, კორდალის მთიდან დაშვებისას წაიქცა. მაშინ მან მოახერხა წამოდგომა და უძნელესი ანგლირუს უღელტეხილის დაძლევა, მაგრამ წაქცევისას ნეკნი გაუტეხავს, რომელიც შაბათს ძლიერ ასტკივებია. ეტაპის დაწყებამდე კი „ონსემ" კიდევ ერთი მრბოლი დაკარგა. „ვუელტას" გაგრძელება გაუარესებული ჯანმრთელობის გამო ფრანგმა ლორან ჟალაბერმაც იუარა.

კვირას მეთოთხმეტე ეტაპი გაიმართა ბარსელონის გარშემო. მრბოლებს ერთი პირობა საერთოდ არ უნდოდათ სტარტზე გასვლა, რადგან წვიმიან ამინდს გზა საკმაოდ სახიფათო გაეხადა, მაგრამ ბოლოს ეტაპი მაინც ჩატარდა. თუმცა სპორტსმენებმა დაგეგმილი 141 კილომეტრის ნაცვლად მხოლოდ 94,4 გაიარეს. გამარჯვება შეტევების მოყვარულ ფაბიო როსკიოლის დარჩა. გუშინ ჩატარებულ მეთხუთმეტე ეტაპზე კი თავი რუსმა ვიაჩესლავ ეკიმოვმა ისახელა. რუსმა დღის მთავარ იერიშში მიიღო მონაწილეობა და საფინიშო სპრინტში ფრენკი ენდრიუსა და პაოლო ბეტინის აჯობა. ლიდერთა ჯგუფი ცხრა კაცისაგან შედგებოდა და მან პელოტონს 12 წუთზე მეტიც მოუგო, თუმცა ამას საერთო ჩათვლის წინა რიგებში არანაირი ცვლილება არ გამოუწვევია.

**გაიოზ თალაკვაძე**

### მეცამეტე ეტაპი

ანდორა — დელ რიუ, 149 კმ

1. ალექს ცულე (შვეიცარია, ბანესტო) — 3 სთ 54 წთ 34 წმ
2. ნიკოლა მიჩელი (იტალია, ლიკიგასი) — + 15 წმ
3. ხოსე მარია ხიმენესი (ესპანეთი, ბანესტო) — + 33
4. ლეონარდო პიეპოლი (იტალია, ბანესტო) — + 37
5. იან ულრიხი (გერმანია, ტელეკომი) — + 39

### მეთოთხმეტე ეტაპი

ბარსელონა, 94,4 კმ

1. ფაბიო როსკიოლი (იტალია, ამიკა) — 2 სთ 34 წთ 41 წმ
2. მასიმილიანო ლელი (იტალია, კოფიდისი) — იგივე დრო
3. გლენ მაგნუსონი (შვედეთი, პოსტალი) — + 1 წთ 52 წმ
4. ფრანკ ჰოი (დანია, პოსტალი)
5. ანდრეი ზინჩენკო (რუსეთი, ვიტალიციო) — ყველას იგივე დრო

### მეთხუთმეტე ეტაპი

ლა სენია — ვალენსია, 193,4 კმ

1. ვიაჩესლავ ეკიმოვი (რუსეთი, ამიკა) — 4 სთ 31 წთ 45 წმ
2. ფრენკი ენდრიუ (აშშ, პოსტალი)
3. პაოლო ბეტინი (იტალია, მაპეი)
4. ედი მაძოლენი (იტალია, საეკო)
5. პასკალ ერვე (საფრანგეთი, ფესტინა) — ყველას იგივე დრო

### საერთო ჩათვლა

1. იან ულრიხი — 64 სთ 03 წთ 22 წმ
2. იგორ გონსალეს გალდეანო (ესპანეთი, ვიტალიციო) — + 49 წმ
3. რობერტო ერასი (ესპანეთი, კელმე) — + 2 წთ 35 წმ
4. ხოსე მარია ხიმენესი — + 3 წთ 35 წმ
5. პაველ ტონკოვი (რუსეთი, მაპეი) — + 3 წთ 45 წმ

საქართველოს ჭიდაობის ფედერაცია თანაუგრძნობს ფედერაციის პრეზიდენტ დავით გობეჯიშვილს მამის **ნიკოლოზ გობეჯიშვილის** გარდაცვალების გამო

ეროვნული ბიბლიოთეკა

## გერმანია

მეორე ბუნდესლიგა.
V ტური
კიოლნი 1:1 ბერლინი

## ჩეხეთი

VII ტური
ბოჰემიანსი 0:0 ტეპლიცე
სლავია 2:0 სიგმა

## იტალია

სერია B. IV ტური
ატალანტა 1:0 ნაპოლი

## შვეიცარია

XII ტური
ციურიხი 1:0 ივერდონი
ლოზანა 3:3 გრასჰოპერი

## საბერძნეთი

I ტური. კალამატა — ოფი 0:0; პანიონიოსი — პანილიაკოსი 1:2; პროდეფტიკი — ოლიმპიაკოსი 0:3; ეთნიკოსი — კავალა 1:0; ქსანთი — არისი 0:0; პანაჰაიკი — იონიკოსი 1:1; ირაკლისი — აპოლონი 1:0; პანათინაიკოსი — ტრიკალა 2:0; პაოკ — აეკ 4:4

## შოტლანდია

VII ტური
მოზერუელი 1:0 ჰართსი

## კასპაროვი — მსოფლიო





1. e4 c5 2. მf3 d6 3. კb5+ კd7 4. კxd7+ ლxd7 5. c4 მc6 6. მc3 მf6 7. 0-0 g6 8. d4 cxd4 9. მxd4 კg7 10. მde2 ლe6 11. მd5 ლxe4 12. მc7+ მფd7 13. მxa8 ლxc4 14. მb6+ axb6 15. მc3 ეa8 16. a4 მe4 17. მxe4 ლxe4 18. ლb3 f5 19. კg5 ლb4 20. ლf7 კe5 21. h3 ეxa4 22. ეxa4 ლxa4 23. ლxh7 კxb2 24. ლxg6 ლxe4 25. ლf7 კd4 26. ლb3 f4 27. ლf7 კe5 28. h4 b5 29. h5 ლc4 30. ლf5+ ლe6 31. ლxe6+ მფxe6 32. g3 fxg3 33. fxg3 b4 34. კf4 კd4+ 35. მფh1 b3 36. g4 მფd5 37. g5 e6 38. h6 მe7 39. ეd1 e5 40. კe3 მფc4 41. კxd4 exd4 42. მფg2 b2 43. მფf3 მფc3 44. h7 მg6 45. მფe4 მფc2 46. ეh1 d3

# გმირი

თავზეხელაღებულთ რა გამოლევს დედამიწის ზურგზე. ეს ავსტრალიელი გოგო ოცდაოთხი წლისაა. მას სუზი მერონი ჰქვია. ბიჭები კი, ასეთი მონდომებით რომ შველიან, მისი ძმა და ბოიფრენდი არიან. სუზი პირველი ადამიანია დედამიწის ზურგზე, იამაიკიდან კუბაზე რომ ცურვით მივიდა. გმირმა გოგომ ოცდათექვსმეტი საათი წყალში გაატარა, გაცურა 190 მილი, მოჰყვა ტროპიკულ წვიმაში, გაუძლო მეტრნახევრიან ტალღებს, ზვიგენთა შემოტევას და ბოლოს მიაღწია მარია დელ პორტილოს ნაპირებს. ქარბორბალა ფლოიდის გამძლებ გმირქალს ხელი ჩამოართვა კომანდანტე ფიდელმაც, ვინაც სუზის კუბის გმირი უწოდა.





# კიდევ ერთი ლეგენდა




REUTERS ლას ვეგასიდან

ოჰ, ეს ამერიკელები! რარიგ უყვართ წარსულის ვარსკვლავთა წარმოჩენა და დაფასება. დღე არ არის, ბეისბოლისა და იქაური ფეხბურთის თამაშების წინ ცერემონიალი არ გაიმართოს. აი, საფეხბურთო ლიგის მორიგი შეჯიბრის წინ, დენვერში, იქაურ „ბრონკოთა“ მეპატრონემ პეტ ბოულენმა ხალხს გაახსენა გუნდის ყოფილი მეშვიდე ნომერი, განთქმული კვორტერბეკი ჯონ ილუეი (მარცხნივ). ილუეი დიდების დარბაზის ბეჭდის მფლობელიცა ყოფილა და მისი ნომრის უკვდავებაც საშური საქმე გამოსულა.



REUTERS ლას ვეგასიდან

# ამათაც უყურეს

შაბათს რომ ლას ვეგასში კრივი გაიმართა ოსკარ დე ლა ჰოიასა და ფელიქს ტრინიდადს შორის, დარბაზს ბევრი გამოჩენილი ადამიანი მიაწყდა: ღირსეულ ადგილას ბილეთი 1 500 დოლარი ღირდა. შავი ბაზრის ფასი კი საერთოდაც 7 000 იყო. კინოვარსკვლავ მაიკლ დუგლასს რომ ბილეთის შოვნა არ გაუჭირდებოდა, ცნობილია. არც ორ ბილეთზე ეტყოდნენ უარს — ამიტომაც გამოჭიმულან პრესტიჟულ ალაგას ისა და ასევე მსახიობი კეტრინ ზეტა ჯონსი.

ესენი იქეთ იყვნენ და, მსოფლიო ჩოგბურთის მანათობელნი ანდრე აგასი და შტეფი გრაფიც აქ გახლდნენ. ამათ ახლა ერთმანეთში სიყვარული ჰქონიათ.



REUTERS ლას ვეგასიდან

# სქვოში პირამიდებში



სქვოში ჩვენთვისაა უცხო ხილიო, თორემ... აგე, პირამიდების წინაშე განყობილი სქვოშის მოედანი, ალაჰრამის ღია პირველობას რომ მასპინძლობდა ეგვიპტეში. ორმოცდახუთი ათასი წლის გიზის პირამიდები ეგვიპტის მიწაზე და კედელზე ბურთის მცემელთა შეჯიბრი ამ პრესტიჟული ტურნირის გამარჯვებულნი კი ბრიტი პიტერ ნიკოლი და ავსტრალიელი მიშელ მარტინი შეიქნენ.

აქ თქვენ ძალუმ სქვოშობას ხედავთ — ეგვიპტელი აჰმედ ბარადა (მარცხნივ) სქოთ პიტერ ნიკოლს ეპაექრება.

REUTERS ქაიროდან




სარბიელი
სპორტული გაზეთი
გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან
გამოდის სამშაბათს, ოთხშაბათს, ხუთშაბათს, პარასკევს და შაბათს

მთავარი რედაქტორი ზურაბ ფოცხვერია
დირექტორი გიორგი ოქრომჭედლიძე
რედაქტორი თამაზ მიგრიაული
მთავარი რედაქტორის მოადგილეები ილია ბაბუნაშვილი ავთანდილ გურასაშვილი
ფეხბურთის რედაქციის რედაქტორი ვახტანგ ბზიკაძე
ინფორმაციის რედაქციის რედაქტორი სოსო კოტორეიშვილი
ტექნიკური რედაქტორი გურამ ხელაშვილი
კალათბურთის განყოფილების გამგე მერაბ რატიშვილი
ფეხბურთის რედაქცია. ქართული განყოფილება კონსტანტინე გოგიშვილი, სოლომონ გულისაშვილი, გიორგი ვაშაკიძე, კობა ინასარიძე, მამუკა კვანტალიანი, პაატა კვანტალიანი, ხვიჩა სანიკიძე
უცხოური განყოფილება ლაშა გოდუაძე, ვანო ოქროპირიძე; ინფორმაციის რედაქცია ირაკლი თავაძე, გაიოზ თალაკვაძე, ავთანდილ სვანიძე; კალათბურთის განყოფილება გიო აბულაძიანი, გიორგი ბიკაშვილი, კორესპონდენტი ქუთაისში იუზა კაციტაძე
ფოტორეპორტიორები გურამ დოლენჯაშვილი, ბადრი კეთილაძე
სტილისტები მაია აბზიანიძე, ნათელა გიორგობიანი, ლალი გოზალიშვილი კომპიუტერული ცენტრი ელენე გელუტაშვილი, სვეტა დევაძე, მაგდა დოგრაშვილი, კახა თალაკვაძე, ტრისტან კაზურაშვილი, ნინო კედელაშვილი, დავით ნადირაშვილი, მარიკა ტაბიძე, თენგიზ ფოფხაძე, თამარ შიოლაშვილი, გიორგი ხარატიშვილი, ბელა ხატიაშვილი
გამომშვები ზურაბ ინაშვილი

რედაქციის მისამართი: თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული.
საფოსტო მისამართი: თბილისი — 79, საფოსტო ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29
ელექტრონული ფოსტა sarbieli@iberiapac.ge
ელექტრონული ვერსია http://www.opentext.org.ge/sarbieli